პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 3—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— ბელორუსებისა და უკრაინელების ჩაგვრა პოლონეთში
— გაიხსნა რევოლიუციონურ ულმერთოთა გერმანიის კონფერენცია
— საფრანგეთის მუშები განაგრძობენ დახმარების შეგროვებას „ლიუმანიტესათვის“
— სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და ჟანდარმერიას შორის საფრანგეთში
— უკრაინის ცაკის სესია დნეპროსტროიზე

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 274 (2620)

ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის

იმ უდიდეს მიღწევებთან ერთად, რომლებითაც განვლილი სამეურნეო წელიწადი ხასიათდება, სახალხო მეურნეობის განვითარების ამ პერიოდს, მთელი რიგი სუსტი მხარე ახლდა თან. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ხარისხობრივ მაჩვენებლების ჩამორჩენაზე მრეწველობის ზრდის რიცხობრივ შედეგებთან შედარებით. თუ, მაგალითად, მსხვილი სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის ზრდამ საკავშირო მასშტაბით ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს საგრძნობლად გადააჭარბა (2,3 პროც. ხოლო ჩვენში, საქ. ს. მ. უ. საბჭოს ცნობების თანახმად, — 5,5 პროცენტითაც), — მრეწველობის თვითღირებულება საბჭოთა კავშირში შემცირდა მხოლოდ 4,5 პროცენტით (გათვალისწინებული 7 პროცენტის მაგივრად). ეს დაკლებაც უფრო მცირე გამოვა, თუ მხედველობაში მივიღებთ ნაწარმოების ხარისხის გაუარესებას.

დღეს ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა შევჩერდეთ, ვინაიდან ამ მხრივ მეტად ცუდი მდგომარეობაა. აიღეთ საფეიქრო მრეწველობა: ფართოდ მოსახმარი ქსოვილები მოკლე ხანში იხევა და ხუნდება, ნაწილობრივ მაინც ეს ეხება ფეხსაცმელსაც. დაბალი ხარისხის გამოდის სამშენებლო მასალებიც: აგური, კირი, სახურავი, მინა, საღებავი და სხვ. ესევე ითქმის რკინეულზე, ჭურჭეულზე და ზოგ სხვა დარგების პროდუქციაზე. ერთი სიტყვით, პროდუქციის ხარისხის საკითხი ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით დგას. მისი რადიკალური გადაჭრა, ნაწარმოების ხარისხის არსებითი გაუმჯობესება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მთელი ჩვენი მშენებლობის წარმატებისა და მშრომელთა კეთილდღეობის აწევისათვის.

რა იწვევს სამრეწველო პროდუქციის დაბალ ხარისხს? უდავოა, რომ აქ პირველ ყოვლისა დიდ როლს თამაშობს ბევრ ჩვენ საწარმოო დაწესებულებათა სვლა, ასე ვსთქვათ, ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით, ესე იგი მათ მიერ მეტი პროდუქციის დამზადება ხარისხის გაუარესების ხარჯზე. მათ აქვთ მტკიცე დავალება, რომ ამდენი და ამდენი პროდუქცია დაამზადონ. ამ დავალების შესრულება, თუ ნაწარმოების ხარისხიც სათანადო დონეზე იქნება აყვანილი, ხომ რთულ და მძიმე მუშაობას მოითხოვს. და აი, ბევრი ფაბრიკა - ქარხანა მეტ წილად რიცხობრივ ეფექტს მისდევს და იმაზე ნაკლებ ზრუნავს, თუ როგორი იქნება ეს ეფექტი მიღწეული, თუ გინდ მდარე პროდუქციის გამოშვებით. ისინი წარადგენენ თავიანთ ნაწარმთა რიცხობრივ მიღწევებს და თავი მოაქვთ, რომ დავალება „პირნათლად“ შეასრულეს. საწარმოთა ზოგიერთი ადმინისტრაცია ალბად ფიქრობს, რაკი ხარისხის ციფრებზე და პროცენტებზე გადაყვანა ძნელია, მათ პასუხს არ მოსთხოვენ და ამგვარი დანაშაულებრივი დამოკიდებულება მოვალეობისადმი დაუსჯელად ჩაუვლით.

მეორე მიზეზია მუშების საგრძნობი რიცხვის დაბალი კვალიფიკაცია. სამრეწველო მშენებლობა ფართოდ იშლება, შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ეს კი მოითხოვს ახალ-ახალ მუშა-ხელს, რომელიც მეტ წილად სოფლიდან მოდის და მოკლებულია ყოველივე საწარმოო აღზრდას და ტექნიკურ ცოდნას, თავის თავად ცხადია, ასეთმა მუშებმა პირველ ხანებში მაინც, არ იციან მანქანების და ნედლეულის რიგიანად გამოყენება და დაბალი ხარისხის პროდუქციას ამზადებენ. ამასთან, მათ არ ახასიათებს სათანადო დისციპლინა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

ამავე დროს ცუდათაა დაყენებული ნაწარმოების კონტროლის საქმე, დაწყებული ნედლეულით და გათავებული დამზადებული ფაბრიკატით. ამით აიხსნება, რომ მდარე ღირსების და სრულიად უვარგისი საქონელიც არა იშვიათად გამოდის ბაზარზე. ბევრს ფაბრიკა - ქარხანასთან აგრეთვე სრულებით არ არსებობს ლაბორატორია, ან ასეთი მოუწყობელია, და ამიტომ ძნელდება პროდუქციის ხარისხის შესწავლა.

ზოგან ფაბრიკა - ქარხნების მოწყობილობა ჯერ კიდევ ძველი და გაცვეთილია, რაც იწვევს დაბალი ხარისხის ნაწარმოების დამზადებას, მით უმეტეს, თუ ასეთ საწარმოებს რიცხვით გატაცებული ადმინისტრაცია ნორმაზე მეტად ამუშავებს.

შემდეგ, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუარესების ერთი მთავარი მიზეზთაგანი უეჭველად არის ნედლეულის მდარე ღირსებაც. ჩვენ ნედლეულის ნაკლებობას განვიცდით. ასეთ პირობებში მისი გამსაღებელი და შემსყიდველი ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ნედლეულის შერჩევას და მის დახარისხებას.

ჩვენი ამოცანაა გადამჭრელი ღონისძიებებით გადავლახოთ ყველა ეს დაბრკოლება და სასტიკად შევებრძოლოთ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში. ამ მხრივ საყურადღებოა ის ზომები, რომლებიც სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭომ შეიმუშავა. (იხ. „კომუნისტი“-ს გუშინდელი №). სხვათა შორის, შემოღებულია **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა** იმ პირთათვის, რომლებიც გულგრილად მოეკიდებიან პროდუქციის ხარისხის საკითხს და უვარგის პროდუქტებს გამოუშვებენ. საჭიროდ იქნა აღიარებული ნაწარმოებთა გამძლეობის საგარანტიო ვადის დაწესება და სხვ.

ამნაირად სახელმწიფოს წინაშე **სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცხადდება ის, ვინც დაუდევრობას გამოიჩენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.** ამით ხაზი ესმება ამ საკითხის უაღრესად საჭირ-ბოროტო ხასიათს.

ფაბრიკის და ქარხნის, ყოველი საწარმოო ერთეულის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ საზომად აუცილებლად უნდა იყოს მათ მიერ დამზადებულ პროდუქტების ხარისხი. თუ დღემდე ასეთი შეფასება სინამდვილეში მტკიცედ არ ტარდებოდა, ამიერიდან მაინც ამას ბოლო უნდა მოეღოს.

უნდა მოვახდინოთ საწარმოო პროცესების შემდგომი რაციონალიზაცია. მანქანები ნორმალურად უნდა იქნან დატვირთული. უნდა გავაძლიეროთ საზოგადოებრივი და ტექნიკური კონტროლი ნაწარმოების ხარისხის მიმართ. საქონელი ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოუშვათ, როცა ის საფუძვლიანი შემოწმებით ვარგისად იქნება ცნობილი. აუცილებელია მუშახელის კვალიფიკაციის აწევა და მისი შეგნების ამაღლება. უნდა მივაღწიოთ ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებას კონტრაქტაციით, ფასების მოქნილი პოლიტიკით და სხვა საშუალებებით.

ყოველივე ეს დააჩქარებს დასახულ ამოცანის გადაჭრას.

მრეწველობის პროდუქციის ხარისხის საქმის დღევანდელი მდგომარეობა სრულიად შეუწყნარებელია. ამ მხრივ მოკლე ხანში უნდა მივაღწიოთ გადამჭრელ გარდატეხას. მრეწველობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შესრულების დროს ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოებმა, ისე მუშათა მასებმა, რომლებმაც აქაც უნდა გამოიჩინონ მთელი თავისი თაოსნობა და აქტივობა.

ნაციონალურ უმცირესობათა მასიური დევნა პოლონეთში

ინგლისური პრესა ჩინეთში აღიარებს, რომ მუკდენმა საბჭოთა კავშირისაგან მიიღო საკადრისი პასუხი

ბელორუსების და უკრაინელების ჩაგვრა პოლონეთში

ვარშავა, 26 ნოემბერი. სეიმის კომუნისტური ფრაქციის, ბელორუსიის მუშურ-გლეხური ბლოკის, გაერთიანებული „სელრობის“ და „გლეხთა თვითდახმარების“ სხდომაზე მიღებულია დეკლარაცია მდგომარეობის შესახებ დასავლეთ უკრაინაში და დასავლეთ ბელორუსიაში.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ პოლონეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას უყურებს, როგორც თავის კოლონიებს. იმ გადატრიალების შემდეგ, რომელიც პილსუდსკიმ მოახდინა, პოლონეთის ბურჟუაზიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ტერორი გაძლიერდა. განთავისუფლებისათვის მებრძოლ ბელორუს მუშათა და გლეხთა წამება—ეს არის საშინელი რეპრესიების, წვალების და ციხე-კატორღის დაუსრულებელი რგოლი. ბურჟუაზიის და ბელორუს, უკრაინელ, ებრაელ და გერმანელ სოციალ-შეთანხმებლების ცდები ვერ შეაჩერებს განმათავისუფლებელ მოძრაობას მშრომელი მასებისას, რომლებიც შეკავშირებული არიან ერთ ძმურ კავშირში საერთო მტრის—პოლონეთის კაპიტალიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად (ადს).

მდგომარეობა ჩინეთის ფრონტებზე

ბრძოლა შეწყდა

შანხაი, 26 ნოემბერი. აქ მიღებული ცნობებით, **ხენანისა და ხუბეის ფრონტებზე ბრძოლა შესწყდა**. გომინდუნი უკან იხევს შინსის მიმართულებით. **ნამდვილად არ იციან, თუ რა მოხდა ფრონტზე**. ფიქრობენ, რომ ენ-სი-შანის პოზიციის გამოურკვევლობის გამო, ორივე მხარეს (ფინ - იუსიანის და ჩან-კაი-შის) აშინებდა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება. ამით თავისი თავის დასუსტება და შემდეგ ენ - სი-შანის დასვენებული ჯარების თავდასხმა. **არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ გომინდუნმა ჩან-კაი-შისაგან რამდენიმე მილიონი მიიღო და ამიტომ დაიხია უკანო.** ამჟამად მთავარ ყურადღებას იპყრობს გუანდუნში შექმნილი მდგომარეობა. ამბობენ, რომ ჩან - კაი-ში ცდილობს შეუთანხმდეს ვან-ძინ-ვეის, რომ დრო მოიგოს ჯარების გადასაყვანად, რის შემდეგაც ნანკინისათვის საშიში არ იქნება ჩან - ფა-გუის შეტევა კანტონზე. თუმცა საერთო მდგომარეობა გამოურკვეველი არ არის, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ **სამხედრო მოქმედება და მწვავე პოლიტიკური ბრძოლა ჯერ არ წყდება.**

ბანკების ევაკუაცია

პეიპინი, 26 ნოემბერი. აქ ბანკებს ტიანშუნიდან მოაქვთ დიდძალი ფული და მნიშვნელოვანი საბუთები. (ადს).

სოციალ-ფაშისტები „ებრძვიან“ ფაშიზმს

პარიზი, 27 ნოემბერი. რეზოლიუციაში საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის შესახებ, რომელიც მიღებული იყო მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის ბრიუსელის სესიაზე, ნათქვამია, რომ ავსტრიის ხეიმვერის მოქმედებას „შეუძლია მიგვიყვანოს სერიოზულ საერთაშორისო გართულებამდე“. აცხადებს რა რომ „ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ყველა საშუალებებით დაიცავს თავს გადატრიალების ცდებისაგან“, რეზოლიუცია ამავე დროს განმარტავს, რომ სოციალ-დემოკრატები „ყოველივე ზომას მიიღებს სისხლიანი კონფლიქტის ასაცდენად, რომელიც ავსტრიას მიიყვანდა ეკონომიურ და მორალურ დაცემამდე“. შემდეგ რეზოლიუცია აღფრთოვანებულ გამოთქმებში ესალმება პოლონეთის სოციალისტებს „რომლისგანაც მეტ წილად დამოკიდებულია სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების ბედი პოლონეთში, რაც სამხედრო გადატრიალების შესაძლებლობას საფრთხის ქვეშ დგას“. (ადს).

ბელგიის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 26 ნოემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, ბელგიის **პრემიერმა ჟასპარმა მეფეს მისცა განცხადება მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ.** გადადგომა გამოწვეულია მთავრობაში მონაწილე კათოლიკურ და ლიბერალურ პარტიების უთანხმოებით ფლამანდიის ავტონომიური მოძრაობის საკითხის ირგვლივ. **ორივე პარტია ახშობს ფლამანდიის ავტონომიურ მოძრაობას,** მაგრამ კათოლიკეები საჭიროდ სთვლიან დათმობაზე წასვლას ზოგიერთ კულტურულ მოთხოვნათა მიმართ (ადს).

პარიზი, 26 ნოემბერი. გავასის სააგენტოს ცნობით, **ბელგიის მთავრობის გადადგომა მიღებულია** (ადს).

მუშების შეტაკება ჟანდარმერიასთან

პარიზი, 26 ნოემბერი. გიზში (ენის დეპარტამენტი) **სერიოზული შეტაკება მოხდა სათბობი აპარატების ფაბრიკის ლოკაუტგამოცხადებულ მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. ორი ათასმა მუშამ გადასწყვიტა — სამუშაოზე არ მიეშვა შტრეიკბრეხერები, ფაბრიკის დირექტორმა გამოიწვია ცხენოსანი ჟანდარმერია, რომელიც ფაბრიკას შემოერტყა და ცდილობდა მუშაობის საშუალება მიეცა შტრეიკბრეხერებისათვის. მაგრამ მუშებმა ჟანდარმერიას აშკარა წინააღმდეგობა გაუწიეს,** გზა გადაუღობეს შტრეიკბრეხერებს და ჟანდარმებს სტვენითა და რევოლიუციონური სიმღერებით შეხვდნენ. ჟანდარმები ცდილობდნენ გაეფანტათ მუშები მეხანძრეთა შლანგების წყლის მძლავრი ნაკადით. მუშები ჟანდარმებს ესროდნენ ქვებს, აგურებს და სხვ. სამი საათის შეტაკების შემდეგ **დაიჭრა ერთი მუშა - ქალი და ორი ჟანდარმი.** მიუხედავად ამისა, შტრეიკბრეხერებმა მაინც მოახერხეს ფაბრიკაში შესვლა. ორი ათასი მუშის მონაწილეობით გამართულმა მიტინგმა გადასწყვიტა ბრძოლის გაგრძელება. (ადს)

რევოლიუც. ულმერთოთა კონფერენცია

ბერლინი, 26 ნოემბერი. გაიხსნა რევოლიუციონურ ულმერთოთა სრულიად გერმანიის კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან თავისუფალ მოაზროვნეთა და რეფორმისტულ ორგანიზაციებიდან გარიცხულ თავისუფალ მოაზროვნეთა წარმომადგენლები. **კონფერენციამ დაადგინა გააერთიანოს ყველა რევოლიუციონურ ულმერთოთა ორგანიზაციები** და გამოსცეს ულმერთოთა ცენტრალური ორგანო „პროლეტარული ულმერთო“. დამსწრეთა მხურვალე თანაგრძნობით, **კონფერენციამ დაადგინა**, კაპიტალთან და ეკლესიასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, **მოაწყოს საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ულმერთოთა ორგანიზაციასთან.**

ჩინეთ-საბჭ. კავშ. კონფლიქტის გარშემო

სტიმსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. ვაშინგტონში სიტყვით გამოვიდა ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი სტიმსონი რომელმაც მდგომარეობა მანჯურიაში აღიარა ფრიად სერიოზულად. სტიმსონმა განაცხადა, რომ ზაფხულში მას შესაძლებლად მიაჩნდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ირგვლივ წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარება მეგობრული გზით, ახლა კი ის გაკვირვებულია მდგომარეობის სერიოზულობით, რომელიც შექმნილია ერთი მხარისათვის. სტიმსონმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა რთულდება იმიტომ, რომ ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მეთოდები განირჩევიან ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მეთოდებიდან (ადს).

ნანკინის მთავრობის მიწერილობა

შანხაი, 27 ნოემბერი. გომინის სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ მიწერილობა გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოაქვეყნოს კიდევ ერთი ცნობა „საბჭოთა ჯარების განმეორებითი მოწყობილი თავდასხმის შესახებ ჩინეთის ტერიტორიაზე“. ჩჟანსიუე-ლიანს განკარგულება მიეცა ნანკინის მთავრობას აცნობოს მანჯურიის საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობა.

ძველი პოზიცია უცვლელი რჩება

შანხაი, 26 ნოემბერი. „შინ ბაო“ იუწყება: მიუხედავად ნანკინის მთავრობის გადაწყვეტილებისა, რომ 1 იანვრიდან გაუქმებულ იქნას ექსტერიტორიალობა, **დაინტერესებულ სახელმწიფოებს თავისი წარმომადგენლები არ დაუნიშნავთ ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად ამ საკითხის გარშემო.** (ადს)

„ნორთ ჩაინა დეილი მეილ“-ის წერილი

პეიპინი, 26 ნოემბერი. „ნორთ ჩაინა დეილი მეილ“-ი ეხება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას და აცხადებს: საეჭვოა, რომ ჩინეთის მიმართვამ ერთა ლიგასადმი ნაყოფი გამოიღოს. **გაზეთის სიტყვით, ჩინეთმა საბჭოთა კავშირისაგან მიიღო ის, რაც დაიმსახურა.** დასასრულ გაზეთი აცხადებს, რომ **ჩინეთის მთავრობამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომა და ეცადოს მის ლიკვიდაციას**, ვინაიდან შემდგომი ჯიუტობა მხოლოდ გაახანგრძლივებს აგონიას და ჩინეთს მეტის - მეტად სერიოზულ გაჭირვებაში ჩააგდებს.

იაპონური ორგანო „შუნ ტიან ბაო“ მოწინავე წერილში აცხადებს: საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყება ამჟამად ჩინეთისათვის იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებულის კეთილ სურვილს მიენდოს; დღევანდელ პირობებში ჩინეთი მოლაპარაკებას ვერ დაიწყებს. (ადს).

ყალბი საბუთების საშუალებით

ბერლინი, 26 ნოემბერი. 52 რევოლიუციონერი მუშისა და გლეხის პროცესის გამო, რომელიც სოფიაში სწარმოებს, კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის მდივანმა **ვილჰელმ პიკმა** განცხადებით მიმართა სოფიის სასამართლოს. პიკი, როგორც კომინტერნის აღმასკომისა და გერმანიის კომპარტიის ც. კ-ის წევრი ადასტურებს, რომ ბულგარეთში მუშათა და გლეხთა აჯანყება (1923 წ.) კომინტერნის დირექტივებით არ მომხდარა, როგორც ეს ნათქვამია საბრალმდებლო დასკვნაში. განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია: ბურჟუაზიული პრესის ცნობით, **ყალბი საბუთების დამამზადებელმა დრუჟილოვსკიმ ბულგარეთის ბერლინელ ელჩს პოპოვს მიჰყიდა ის** ყალბი საბუთი, რომელთა მიხედვით აფეთქება სოფიის ტაძარში, ვითომც ბულგარეთის კომპარტიას მოეწყოს. (ადს).

პოლონელი სტუდენტები და ინტელიგენცია

კონტრ - რევოლიუციონერებისა და პოლონელი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ

კიევი, 27 ნოემბერი. კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“-ს მონაწილეთა მოღალატურმა მუშაობამ, აგრეთვე ფაშისტების თავდასხმამ საკონსულოზე ლვოვში გამოიწვია **პოლონელი პროლეტარული სტუდენტობისა და მშრომელი ინტელიგენციის ღრმა აღშფოთება.**

მიღებულ რეზოლიუციაში პოლონური პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტობა და პროფესორები აცხადებენ: „**ჩვენ ბედნიერად ვსთვლით თავს, რომ ვმუშაობთ და ვანვითარებთ ჩვენს კულტურას საბჭოთა უკრაინაში. თუ საჭირო იქნება, ჩვენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, აღვსდგებით პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის დასაცავად**“. (ადს).

ახ. კომინტერნის პლენუმი

მოსკოვი, 27 ნოემბერი. ახალგაზრდობის კომინტერნის პლენუმზე კამათის დროს გამოვიდა ამხ. კოსარევი. მან აღნიშნა, რომ, საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზრდასთან დაკავშირებით, **იზრდება საერთაშორისო პროლეტარიატის პოლიტიკური აქტიობა.** ამიტომ კომინტერნის ამოცანაა—დაიჭიროს მოწინავე პოზიცია მომავალ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლებში. ამ ამოცანის განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული ახალგაზრდების კომინტერნის მთელი მუშაობა, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის კომინტერნის მუშაობის მეთოდები არ შეეფერებიან რევოლიუციონური აღტყინების ტალღას. ახალგაზრდობის კომინტერნის მთელ რიგ ორგანიზაციებში ადგილი აქვს ფარულ ოპორტუნიზმს, ცალმხრივი კულტურული მუშაობით გატაცებას, მასებიდან დაშორებას. საჭიროა დაუნდობელი ბოლშევიკური ბრძოლა ოპორტუნიზმის ამ სხვადასხვა სახეობასთან.

დასასრულ, ამხ. კოსარევმა საკავშირო კომკავშირის სახელით ახალგაზრდობის კომინტერნის ყველა სექციები რევოლიუციონურ შეჯიბრებაზე გამოიწვია (ადს).

სწრაფი ტემპით სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ

ჩვენი პარტიის მოსკოვისა და ლენინგრადის საოლქო ორგანიზაციების აქტივმა, უკრაინის კომპარტიის (ბ) ც. კ.-მა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა ერთხმად მიღებულ დადგენილებებში მთლიანად მოიწონეს ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ ეს დადგენილებანი მთლიანად გამოხატავენ მთელი ჩვენი პარტიის ერთსულოვნებასა და შემჭიდროებას ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მის ლენინურ გადაწყვეტილებათა გარშემო.

ც. კ.-ის პლენუმის დადგენილებათა განხილვის დროს მთელი პარტია კიდევ ერთხელ უკეთებს ჯამს იმ გენერალური ხაზის პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ დასახა. ყრილობის შემდეგ მხოლოდ ორი წელიწადი გავიდა, მაგრამ ამ მოკლე ხანმა და სამეურნეო განვითარების სწრაფმა ტემპმა დაამტკიცეს, რომ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა—ტექნიკურად და ეკონომიურად დავეწიოთ და გაუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს—შეიძლება განხორციელებულ იქნას უმცირეს ისტორიულ ხანში, რომ სოციალიზმის შექმნის საქმე პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში შეიძლება განხორციელდეს და განხორციელდება კიდეც აგრეთვე ისტორიულად მინიმალურ დროში.

ხუთწლედის პირველივე წელიწადი მართლაც გადაიქცა დიადი გარდატეხის წელიწადად და ახალი ეტაპი შექმნა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ინდუსტრიის დიდ გაძლიერებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის არაჩვეულებრივ გაშლა-გაფართოებას. განვლილი წელიწადი გადაიქცა ქალაქისა და სოფლის დაკავშირების ახალი საწარმოო ფორმების ნამდვილი განვითარებისა და განმტკიცების წელიწადად და ამავე დროს პროლეტარული მასების არაჩვეულებრივი აქტივობის წელიწადად სოციალიზმის მშენებლობის საქმეში; ამ აქტივობის განსაკუთრებულ ნათელ გამოხატულებად გადაიქცა კოოპერაციაში გაერთიანების განვითარება, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა და სხვ.

პარტიისა და მუშათა კლასის წარმატებამ სოციალისტური შეტევის ფრონტზე არაჩვეულებრივი სისწრაფით გააცამტვერა მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა წინასწარმეტყველებანი, გამოაშჟღავნა მათი წვრილ-ბურჟუაზიული შინაარსი და სრული პოლიტიკური გაკოტრება. კაპიტულიანტების უბადრუკი „თეორიები“ იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა დეგრადაციას განიცდის, რომ საშუალო გლეხთან კავშირი დარღვეულია, რომ ინდუსტრიალიზაციის ტემპი ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, რომ რეალური არ არის პარტიის მიერ დასახული ტემპი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ტემპი (რასაც სინამდვილემ თვალსაჩინოდ გადააჭარბა), რომ ხაზი უნდა ავიღოთ „ვიწრო ადგილებისაკენ“, რომ კულაკი მშვიდობიანად შეეზრდება სოციალიზმს და სხვადასხვა, ცხოვრებამ არაჩვეულებრივი სისწრაფით გააქარწყლა და ნაცარმტვრად აქცია.

ჩვენ ვხედავთ, რომ მემარჯვენე ოპოზიცია დაირღვა, მას ჩამოშორდნენ მოსკოვის მთელი ყოფილი ხელმძღვანელობა და ლიდერები. პარტიამ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში უდიდეს წარმატებას მიაღწია მხოლოდ იმის წყალობით, რომ იგი თანამიმდევრობით ანხორციელებდა მე-15 ყრილობის მიერ დასახულ გენერალურ ხაზს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარ გადახრასთან, მეტადრე სოციალისტური შეტევის შემფერხებელ მემარჯვენე გადახრასთან, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მუშათა კლასი და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები არაჩვეულებრივ აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში, მხოლოდ იმის წყალობით, რომ თამამად გაიშალა და განვითარდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა შინაურ კლასობრივ მტერთან. მე-15 ყრილობის დღიდან ნოემბრის პლენუმამდე განვლილმა პერიოდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა სრული სიცხადითა და გარკვეულობით, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) გენერალური ხაზი სწორია, რომ პროლეტარული რევოლიუციის მომავლისათვის მემარჯვენეთა პოზიცია ყალბი და საშიშია. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ც. კ. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მემარჯვენე ოპორტუნიზმის შეხედულებათა და მათთან შემარიგებლობის პროპაგანდა შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ყოფნასთან და ამ გადაწყვეტილებას ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ც. კ.-ის პლენუმის მიერ მოწონებულ სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებს მთელი პარტია დიდის კმაყოფილებით შეხვდა, ვინაიდან ეს ციფრები ითვალისწინებენ სოც. მეურნეობის განვითარების უნახავ ტემპს, ვინაიდან ამ ციფრებში განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელმა როლმა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწრაფმა ტემპმა. მომავალი წლის საკონტროლო ციფრები ნათლად უჩვენებენ მთელ პარტიას და მუშათა კლასს, რომ ჩვენ ფეხი შევდგით ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის დაჩქარების ხანაში. კრებებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ ც. კ.-ის პლენუმის დირექტივებს საკონტროლო ციფრების შესახებ, თავის რეზოლიუციებში სწორად მიაქციეს ყურადღება მათს პრაქტიკულ შესრულებას და აღნიშნეს გეგმით გათვალისწინებულ ამოცანათა განხორციელების დიდი მნიშვნელობა თვითღირებულების შემცირებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, მრეწველობის ნაწარმოებთა ღირსების გაუმჯობესებისა, მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისა და მისი დასახული ტემპის შემდგომი ზრდის დარგში.

პარტია სრული კმაყოფილებით შეხვდა პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ გაძლიერდეს ტემპი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისა, რომელმაც მემარჯვენე კაპიტულიანტების „წინასწარმეტყველების“ მიუხედავად ღარიბი და საშუალო გლეხობის უდიდესი მასები გააერთიანა და კულაკური ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თავის რეზოლიუციებში მოიწონეს არა მარტო ც. კ-ის ხაზი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფად გაშლა-განვითარებისათვის, არამედ პრაქტიკული გზებიც დასახეს ამ დირექტივის რეალიზაციისათვის. ახლა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დაუყოვნებლივ, ბოლშევიკურად უნდა მოახდინონ პარტიული მასების მობილიზაცია, რათა პრაქტიკულად განახორციელონ პლენუმის დირექტივა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ტემპის შესახებ და იმის შესახებ, რომ პარტიამ და მუშათა კლასმა გააძლიერონ გაშლილ-გაფართოებული კოლმეურნეობრივი მოძრაობის ხელმძღვანელობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებმა კადრების შესახებ (რაც რეკონსტრუქციისა და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ახლანდელ პერიოდში პარტიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს), უკვე ღრმა გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო აქტივისა, არამედ უჯრედების კრებებზედაც. მასების უდიდესი ინტერესი პროლეტარული კადრების მომზადებისადმი იმის რწმენას გვაძლევს, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კადრების შესახებ ადგილობრივ პრაქტიკულად სწორე გადაიჭრება მუშათა კლასის უფართოესი მასების აქტიური დახმარებით. მოსკოვის ორგანიზაციის მსგავსად ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციები ზომებს მიიღებენ, რომ დაუყოვნებლივ „განვითარდეს უფართოესი მოსამზადებელი მუშაობა ახალი რამდენიმე ათი ათასი მუშის, მოჯამაგირის, ღარიბი გლეხის და საშუალო გლეხის გასაგზავნად უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში, გაიშალოს მოკლევადიანი სკოლებისა და კურსების ფართო ქსელი კადრების მომზადების დასაჩქარებლად“.

ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი უდიდესი პროლეტარული ორგანიზაციების, პირველ-ყოვლისა, მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების აქტივის კრებებმა სავსებით გაითვალისწინეს ის დიდი სიძნელეები, რომლებიც აუცილებლად თანსდევს ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

კლასობრივი მტერი ისევ განაგრძობს გაშმაგებით წინააღმდეგობის გაწევას. კულაკი, ნეპმანი და მავნებელი უსათუოდ გააძლიერებენ თავიანთ ბრძოლას ჩვენი ღონისძიებათა წინააღმდეგ. ჩვენი მშენებლობის სიძნელეები, კერძოდ, ის სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ნაკლებობასთან, შეუძლებელია დაძლეულ იქნას ხუთწლედის მეორე წელსაც.

მიუხედავად ამისა, პარტიამ კარგად იცის, რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გეგმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივ მტერთან შეუნელებელი ბრძოლის პირობებში, მხოლოდ აქტიური მუშაობის პირობებში იმ ობიექტიურად აუცილებელ სიძნელეთა გადასალახავად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობისაგან გამომდინარეობენ.

ამიტომ სრულებით სამართლიანად აღნიშნეს პროლეტარულმა ორგანიზაციებმა თავიანთი გადაწყვეტილებებში სამი ამოცანა, რომელთა გადაჭრის დროს შესაძლებელია სიძნელეთა აუცილებელი გადალახვა და სოციალიზმის გამარჯვება. ამათგან პირველია ლენინის პარტიის რკინის დისციპლინა, მთლიანობა და მონოლიტობა.

იმის მაგივრად რომ, პატიოსნურად ბოლშევიკურად აღიარონ თავიანთი შეცდომები, მემარჯვენეები, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური ხაზის სრული გაკოტრებისა, განაგრძობენ პარტიის ხაზისაგან განსხვავებულ შეხედულებათა სისტემის დაცვას. როდესაც მათ სათანადო პასუხი გასცეს პარტიულმა მასებმა, როდესაც მათი პლატფორმა აშკარად გაკოტრდა, მემარჯვენეები ფარისევლურად აცხადებენ, რომ ეთანხმებიან პარტიულ ხაზს, მაგრამ ამავე დროს არ სტოვებენ თავიანთ ანტილენინურ პოზიციებს. ეს პოლიტიკური ორჭოფობა სწორედ ისეთივე ხასიათისაა, როგორიც იყო ტროცკისტული „უკან დახევის“ მანევრები—პარტიაზე შემდგომი თავდასხმის მიზნით, განსაკუთრებით ამა თუ იმ სიძნელეთა პერიოდებში. მემარჯვენეებს მომარჯვებული აქვთ მახვილი. ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ პარტიულ რიგებში „მემარცხენე“ ტროცკისტული რყევის შემთხვევებს. ბუნებრივია ის მოვლენა, რომ პარტია, რომელიც აწარმოებს უდიდეს მუშაობას ჩვენი ჩამორჩენილი წვრილ-გლეხური ქვეყნის სოციალისტურად გარდასაქმნელად და ანვითარებს ამ მუშაობას კაპიტალიზმთან გადამწყვეტ ბრძოლათა პირობებში, ვერ დასტოვებს თავის რიგებში იმ ელემენტებს, რომელნიც პოზიციებს უთმობენ კლასობრივ მტერს და გარბიან სოციალისტური ფრონტიდან. პარტია ერთის წუთითაც არ შეანელებს ბრძოლას მემარცხენე-ოპორტუნისტულ სულისკვეთებასთან და მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან, ყველა ტროცკისტული და ნახევრად-ტროცკისტული ელემენტების შეტევასთან პარტიული ხაზის წინააღმდეგ. ამავე დროს პარტია გამანადგურებელ ბოლშევიკურ პასუხს გასცემს მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომლებიც აბრკოლებენ სოციალისტური შეტევის წარმატებას, ოპორტუნისტებს, რომლებიც გამოხატავენ ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ელემენტების ზეგავლენას, „პარტია ვერ დაუშვებს ვერავითარ თამაშს პარტიასთან და მანევრებს გაკოტრებული მემარჯვენე ოპორტუნისტების მხრით. მემარჯვენე გადახრა ძირიან ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ჩვენს პარტიასა და კომინტერნში“ (ლენინგრადის აქტივი). პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უხელმძღვანელოს გაშლილ სოციალისტურ შეტევას ლენინის ხაზის საფუძველზე, თუ მის რიგებში დაცული იქნება სრული მთლიანობა, მონოლიტობა და რკინის დისციპლინა. ამ პირობის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სოციალისტური მშენებლობის დასახული გეგმა წარმატებით იქნას განხორციელებული.

მეორე: სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის აქტიობისა და შემოქმედებითი ენერგიის იმ შემდგომი ზრდის პირობებში, რომელიც ნათელ გამოხატულებას ჰპოვებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროლეტარული თვითკრიტიკის ზრდაში, გლეხობაზე პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცებაში, და აგრეთვე პროლეტარული რიგების ორგანიზაციულად შეკავშირებასა და დისციპლინაში.

დასასრულ, მესამე ამოცანა: ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით სდგას მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ორგანოთა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გადაჭრით შემდგომი გარდაქმნის ამოცანა. სიძნელეთა გადალახვა, კაპიტალისტურ ელემენტებთან წარმატებით ბრძოლა და მშენებლობის დასახული ტემპების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პროფკავშირებისა, კოოპერაციისა და საბჭოების მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების პირობებში, პარტხელმძღვანელობის გაძლიერების პირობებში და მხოლოდ გაშლილი პროლეტარული თვითკრიტიკისა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატში პროლეტარული კადრების დაწინაურების საფუძველზე.

ჩვენი პარტიის მოსკოვისა, ლენინგრადისა, უკრაინისა და სხვა მსხვილმა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს ღრმა რწმენა, რომ პარტია, თავისი ლენინური ც. კ.-ის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის იმ აქტივობაზე დაყრდნობით, რომელიც თანდათან იზრდება, გადალახავს ყველა სიძნელეებს, საბოლოოდ გაანადგურებს ოპორტუნიზმს და ჩქარი ტემპით წაიყვანს ქვეყანას სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

„პრავდა“.

(გადმოცემულია ტელეგრაფით.

არაბთა მოძრაობა

ლონდონი, 27 ნოემბერი. იაფაში დაპატიმრებათა წინააღმდეგ გამოცხადებულ საპროტესტო გაფიცვების დროს ადგილი ჰქონდა მღელვარებას. იაფაში მოვიდა ინგლისის კრეისერი და მოფრინდენ აეროპლანები. **იერუსალიმიდან გაგზავნილია ინგლისის ჯარები. პოლიცია იარაღით თავს დაესხა არაბთა დემონსტრაციას.** (ადს).

მორიგი ჭორები

ლონდონი, 26, ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება: დიპლომატიური წრეები გააოცა იმ ამბავმა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა საერთაშორისო საფოსტო კავშირიდან გამოსვლა. შიშობენ, რომ საბჭოთა კავშირის გამოსვლას საფოსტო კავშირიდან შეუძლია გააძნელოს საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და საბჭოთა კავშირის საშუალებით—ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა: ცნობა იმის შესახებ, ვითომც საბჭოთა კავშირის მთავრობას გადაეწყვიტოს საერთაშორისო საფოსტო კავშირიდან გამოსვლა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. (ადს).

ფაშისტების მუქარა

ვარშავა, 26 ნოემბერი. პოლონური გაზეთების ცნობით, უკრაინელ ფაშისტ სტუდენტებმა ლვოვში გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი „ძალით მოიშორებენ“ საბჭოთა კონსულს ლვოვში **ლაპშინსკის**, თუ ის გამოჩნდა რომელიმე უკრაინულ ზეიმზე. სტუდენტებმა მიმართეს ლვოვის 4 მეცნიერს, რომლებიც სრულიად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრები არიან, უარი განაცხადონ ამ წოდებაზე (ადს).

ბოგომოლოვი მოსკოვში გაემგზავრა

ვარშავა, 26 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში, ბოგომოლოვი, მოსკოვში გაემგზავრა (ადს).

რუსეთის ცაკის სესიის დახურვა

მოსკოვი, 27 ნოემბერი. შესდგა რუსეთის ს. ფ. ს. რ-ის ცაკის სესიის უკანასკნელი სხდომა. გამოტანილ იქნა დადგენილებანი მოსმენილ მოხსენებათა გამო. უკანასკნელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **კალინინი**, რომელმაც აღნიშნა სესიის მიერ ჩატარებული უდიდესი მნიშვნელობის მუშაობა. „ჩვენგან არის დამოკიდებული, — განაცხადა მან, — ჩვენ მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების განხორციელება. მე ეჭვი არ შემდის, რომ თვითეული პროლეტარი, თვითეული მშრომელი ყოველ ღონეს იღონებს იმისათვის, რომ საკონტროლო ციფრები არ დარჩენ მხოლოდ ციფრებად, არამედ გადაიქცნენ საბჭოთა კავშირის მიღწევებად“. (ადს).

უკრაინის ცაკის სესია დნეპროსტროიზე

ზაპოროჟიე, 27 ნოემბერი. სპეციალური მატარებლებით სრული შემადგენლობით დნეპროსტროიზე მოვიდა უკრაინის ცაკის სესია. მატარებლებს შეხვდა ხუთი ათასი მუშა, რომელთა მისალმებებზე უპასუხეს ამხ. პეტროვსკიმ და ჩუბარმა.

„დნეპროსტროი,—სთქვა ამხ. პეტროვსკიმ,—ეს არის გზა იქითკენ, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. უკრაინის ცაკის სესია დნეპროსტროიზე მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს შემოქმედებითი ენერგიის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად“.

„მთელი ქვეყანა,—განაცხადა ამხ. ჩუბარმა,—ახლა იმაზე მუშაობს, რომ დაასრულოს დნეპროსტროი და ძველ ზაპოროჟიეს ადგილზე შექმნას ახალი სოციალისტური და ინდუსტრიალური ცენტრი“.

დნეპროსტროიზე, ღია ჰაერზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. მუშები და საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალის წარმომადგენლები მხურვალედ მიესალმენ სესიის წევრებს და აღნიშნეს, რომ ჩამოსვლა გამოყენებული უნდა იქნეს მთავრობის მიერ დნეპროსტროის სამუშაოთა შესამოწმებლად (ადს).

26 ათასი მუშა საბჭ. და კოლექტ. მეურნეობებში

მოსკოვი, 27 ნოემბერი. მოხდა საოლქო საბჭოების და პროფკავშირების ც. კ-ების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის იმ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების გეგმა, რომელიც შეეხება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ 26.000 მუშის მობილიზაციას.

საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მიერ დამუშავებული გეგმა ითვალისწინებს 26.000 მუშის მობილიზაციას. ისინი მახლობელი ორი თვის განმავლობაში უნდა შეუდგნენ მუშაობას. მუშათა ამ საერთო რიცხვიდან ლენინგრადის ოლქში მოხდება 4.000 მუშის მობილიზაცია, მოსკოვში — 6.000 მუშის, უკრაინაში—6.650, ურალზე — 750, ჩრდ.-კავკასიაში—1.000, შორეულ აღმოსავლეთში—280, შუა აზიაში—1.500 მუშის და სხვ. (ადს).

კადრების მომზადება კოოპერაციისათვის

მოსკოვი, 27 ნოემბერი. იმ თათბირზე, რომელიც საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ“-მა მოიწვია სამომხმარებლო კოოპერაციის კადრების მომზადების საკითხის განსახილველად, მოსმენილ იქნა მოხსენება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები მთელის სიმწვავით აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ ახალი პროლეტარული კადრების მომზადება ყოველგვარად დაჩქარდეს და გაუმჯობესდეს. კოოპერაციის კადრები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მათ უყენებს საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმი. **მუშათა მოსამზადებლად განზრახულია მოეწყოს სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტიტუტი და უმაღლესი კოოპერატიული კურსების ქსელი.** (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

ამხ. ლოზოვსკის მოხსენება

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე ამხ. ლოზოვსკიმ გააკეთა მოხსენება, რომელშიაც მოცემულია მუშათა საერთაშორისო მოძრაობის საერთო დახასიათება დღევანდელ მომენტში. ამხ. ლოზოვსკი შეჩერდა საერთაშორისო პროფმოძრაობის იმ მთავარ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ყველა სახელმწიფოებში, განსაზღვრა მემარჯვენე გადახრის ძირითადი თვისებები პროფინტერნში და განაცხადა—ფაქტები და ამბები გვიჩვენებენ, რომ რევოლიუციონური პროფმოძრაობის პოლიტიკა სწორიაო.

კამათი მოხსენების გამო

ამ მოხსენების ირგვლივ კამათის დროს აღნიშნულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დგანან საბჭოთა პროფმოძრაობის წინაშე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში.

პირველი ამოცანა, რომელსაც თითქმის ყველა ორატორები შეეხო არის სოციალისტური შეჯიბრება.

შემდეგ, პლენუმზე დიდი ყურადღება მიაქციეს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები სარგებლობენ მუშათა ჯგუფების ჩამორჩენილი სულისკვეთებით პარტიის ხაზის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლისათვის.

ამხ. ივანოვსკი ტულის 30.000 მუშის სახელით მოითხოვს—ძირიანად აღმოიფხვრას მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციები საბჭოთა პროფმოძრაობაში.

ამხ. ლობოვის მოხსენება

ამხ. ლობოვმა თავის მოხსენებაში „პროფკავშირები და მეურნეობა“ აღნიშნა საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების მაღალი ტემპები და მოაგონა დამსწრეთ, რომ როდესაც მემარჯვენე უკლონისტები ამ ტემპების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ისინი არ იძლეოდნენ პროფკავშირის, პარტიისა და მუშათა კლასის სრულ შეფასებას ჩვენს ქვეყანაში. ამის შედეგია ის, რომ მემარჯვენეთა წინასწარმეტყველებანი საბოლოოდ დაიმსხვრენ.

შემდეგ ამხ. ლობოვი შეეხო პროფკავშირების როლს მეურნეობისათვის ახალი ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში და აღნიშნა—სამეურნეო დარგის მუშაკნი და პროფკავშირები ვალდებულნი არიან საერთო ძალღონით და სასწრაფოდ გადასჭრან ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაო (ადს).

ტექნიკური ცოდნა მუშებს

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე ინჟინერთა და ტექნიკოსთა ამოცანების შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. შეინი (ინჟინერთა და ტექნიკოსთა საკავშირო ბიურო), რომელმაც ინჟინერთა და ტექნიკოსთა სახელით განაცხადა, რომ პროფკავშირების წინაშე დასმული ამოცანები უკვე გათვალისწინებული აქვს ინჟინერთა და ტექნიკოსთა დიდ უმრავლესობას. ამხ. შეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა მავნებლობასთან, **საჭიროა აგრეთვე ინჟინერთა და ტექნიკოსთა ჩაბმა მუშათა ტექნიკური სწავლის საქმეში.** (ადს).

10 ათასი კომბაინი წელიწადში

სარატოვი, 27 ნოემბერი. **რთული სალეწი მანქანების ქარხანა სარატოვში სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებელ დიდ კომბინატად გადაკეთდება. კომბინატი უმთავრესად კომბაინებს გამოუშვებს.** წლიური პროგრამის მიხედვით, ქარხანა დაამზადებს 10.000 კომბაინს, 10.000 მარცვლის გასაწმენდ მანქანას და სხვ. (ადს).

ამხ. სლეპკოვმა აღიარა თავისი პოზიციის შეცდომა

სამარა, 27 ნოემბერი. საოლქო კომიტეტისა და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე ამხ. სლეპკოვი გამოვიდა განცხადებით იმ შემცდარი პოზიციის შესახებ, რომელიც მას დღემდე ეჭირა, აგრეთვე ამხ. ბუხარინის შემცდარი პოზიციის შესახებ. ამხ. სლეპკოვმა განაცხადა, რომ ის სავსებით ეთანხმება ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. (ადს).

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. მატვეევის განცხადება

მოსკოვი, 27 ნოემბერი. როგორც გუშინ გადმოგცემდით, მატვეევმა, რომელიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა მემარჯვენე გადახრის დებულებათა დაცვაში, საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შეიტანა განცხადება, იმის შესახებ, რომ ის აღიარებს თავის შეცდომებს. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში მოყვანილია მატვეევის განცხადების შინაარსი. მატვეევი სწერს:

მე შემცდარად მიმაჩნია ჩემი შეხედულება იმის შესახებ, თითქოს მიზანშეუწონელი იყოს საზოგადოებრივ ხასიათის საგანგებო ღონისძიებათა მიღება პურის დამზადების კამპანიაში. მე ვცდებოდი, როცა პარტიის ამ ღონისძიებას ვაფასებდი, როგორც სისტემას, როგორც საშუალო გლეხკაცობასთან დამოკიდებულების ახალ ფორმას. საგანგებო ღონისძიებანი მე წარმოვიდგინე როგორც ყოვლად გაუმართლებელი ნახტომი ერთი ფორმიდან მეორე ფორმისაკენ, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმების ცდა. ამის გამო მე ვეთანხმებოდი ბუხარინს იმ შეფასებაში, რომელსაც ის აძლევდა პარტიის ზემოხსენებულ ღონისძიებებს.

მე ვცნობ, რომ შეცდომა დავუშვი, როდესაც ასეთი დებულებით გამოვედი მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის პარტიულ კონფერენციაზე. მე ვიზიარებ იმ მითითებებს და კრიტიკას, რომელიც დაიბეჭდა პარტიულ პრესაში ჩემი გამოსვლების გამო.

ვინაიდან პატივისცემით ვეკიდებოდი პირადათ ბუხარინს, მე არ მეყო საკმაო ვაჟკაცობა, რომ დამეგმო ის, როგორც მემარჯვენე გადახრის იდეოლოგი.

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყოფ. სახალხო სახლი) მოწვეულია **საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო-საქალაქო კრება.**

დღის წესრიგი:

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა-კ. საოლქო კომიტეტის, საოლქო საკონტროლო კომისიის, საქართვ. კომპარტიის (ბ) ცეკას, ც. ს. კ. და თბილ. კომ. წევრები შედიან თავისი მანდატებით; დანარჩენი ამხანაგები—რაიკომების მიერ გაცემული სპეციალური ბილეთებით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება მოსკოვის საოლქო პარტაქტივის კრებაზე 1929 წლის 21 ნოემბერს

I. სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და შემდგომი ამოცანები

ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესახებ

ცეკას ნოემბრის პლენუმის დამახასიათებელი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ჯამი გაუკეთა ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველ წელს, უდიდესი მშენებლობის წელს, შინაპარტიულ ორგანიზაციასთან—მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის წელს. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს სისწორე პარტიის პოლიტიკისა, რომელიც მოწმდება მილიონების მიერ ბრძოლის პროცესში და ამ ბრძოლის შედეგებით. და მთავარი ამ წლის შედეგებში ის არის, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ამ პირველმა წელიწადმა მოგვცა ჩვენ სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტი წარმატებანი. ეს წელიწადი იყო ტროცკისტების და მემარჯვენე უკლონისტების ყველა წინასწარმეტყველებათა გაცამტვერების წელიწადი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხაზის გამარჯვების წელიწადი (აპლოდისმენტები).

ეს მტკიცდება ჩვენი განვითარების ფაქტებით, სამეურნეო მშენებლობის ფაქტებით. მე მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ციფრს და ზოგიერთ ცოცხალ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ ამ დებულებას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გადავედით ისეთ ხანაში, როცა აუცილებელია, რომ პარტიის თითეულმა წევრმა, როგორც ამბობენ, თავის ხუთი თითივით შეისწავლოს ჩვენი მეურნეობის ყველა საკონტროლო ციფრები, ჩვენი განვითარების ყველა ძირითადი ფაქტები, რადგან სხვაფრივ ის ვერ შესძლებს გარკვევას ჩვენი პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხებში. ჩვენი პარტის გენერალური ხაზის ძირითადი კვანძები მდგომარეობენ, პირველ ყოვლისა, ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპში, მეორე—სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში და მასთან მჭიდროთ დაკავშირებულ—სასურსათო და ნედლეულის პრობლემის გადაჭრაში. ჩვენი პოლიტიკის ამ ორი ძირითადი ამოცანის წარმატებით შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კულაკის, ნეპმანის და ყველა ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილ ელემენტების წინააღმდეგობის დაძლევა. მე მსურს პირველ ყოვლისა—ჩვენი გენერალური პოლიტიკის ამ ძირითადი მომენტების შედეგების და პერსპექტივების ანალიზის მოცემა.

დავიწყებ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხიდან.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხში ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ტემპს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გარშემო ტრიალებდა ყველა ძირითადი უთანხმოებანი ტროცკიზმთან და მემარჯვენე გადახრასთან. არავინ არ გამოდის საერთოდ ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ და მემარჯვენეები ეთანხმებოდნენ იმას, რომ საერთოდ ინდუსტრიალიზაცია საჭიროა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ლაპარაკი ინდუსტრიალიზაციის შესახებ საერთოდ, ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი, მაქსიმალურად შესაძლებელი ტემპი, ვინაიდან, ამხანაგებო, ისტორია მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სწრაფ გაძლიერებულ განვითარებას. რა მდგომარეობაშია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების საქმე. დამახასიათებელი ამ მხრივ არის ის ფაქტი, რომ ჩვენ გაუსწარით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტემპებს. არა მარტო ჩვენში, ქვეყნის შიგნით, ზოგიერთები არარეალურად თვლიდნენ ხუთწლიან გეგმას, არამედ მთელი მსოფლიო პრესაც, მთელი ბურჟუაზიული სამყარო ხუთწლიან გეგმას თვლიდა ფანტაზიად. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პირველი წლის დამლევისათვის ჩვენ გვაქვს შემდეგი დადებითი მაჩვენებლები:

აიღეთ სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო მაჩვენებელი—სახელმწიფო ბიუჯეტი. ხუთწლიანი გეგმით 1928—29 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 7.762.000.000 მანეთით, ჩვენ კი იგი 8 მილიარდ მანეთს გადავაცილეთ. 1929—30 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 9.200.000.000 მანეთით, ცეკას პლენუმის მიერ დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებით კი ბიუჯეტი შეადგენს 11.390.000.000 მანეთს, ე. [illegible]190.000.000 მეტია ხუთწლიანი გეგმის ვარიანტთან შედარებით.

ახლა გადავიდეთ მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპებზე. საკონტროლო ციფრებით ნავარაუდევი იყო, რომ 1928—29 წელს მსხვილი სოციალისტური (ს. მ. უ. ს. გამგებლობაში მყოფი) მრეწველობის პროდუქცია გაიზრდებოდა 21 პროცენტით, ფაქტიურად კი იგი გაიზარდა 23 პროცენტით. 1929—30 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო პროდუქციის გადიდება 21,5 პროცენტით, ცეკას პლენუმის მიერ დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებით კი ჩვენ გავითვალისწინეთ პროდუქციის ზრდა 32 პროცენტით, ე. ი. 11 პროც. მეტი.

ახლა გადავიდეთ მძიმე მრეწველობაზე.

ჩვენს მრეწველობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მძიმე ინდუსტრიას. ხუთწლიანი გეგმით, 1929—30 წლის განმავლობაში განზრახული იყო მძიმე ინდუსტრიის პროდუქციის გადიდება 26 პროცენტით, ხოლო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საკონტროლო ციფრებით ეს გადიდება ნავარაუდევია 45,1 პროცენტით., ე. ი. 19,1 პროცენტით მეტი.

კაპიტალური დაბანდებანი ჩვენს მრეწველობაში 1928—29 წლისთვის ნავარაუდევი იყო 1.650.000.00 მანეთის რაოდენობით, ფაქტიურად კი დავაბანდეთ 1.761.000.000 მანეთი. ხუთწლიანი გეგმით 1929—30 წლისთვის დაბანდება ნავარაუდევი იყო 2.331.000.000 მანეთის რაოდენობით, ელექტროფიკაციასთან ერთად კი—2.800.000 მილიონი მანეთის რაოდენობით; ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების მიხედვით ეს დაბანდება გადიდებულია 3.423.000.000 მანეთამდე, ხოლო ელექტროფიკაციასთან ერთად 4 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. ხუთწლიან გეგმასთან შედარებით გადიდებულია 70 პროცენტით.

ტრანსპორტის დარგში ხუთწლიანი გეგმით 1929—30 წლისათვის გათვალისწინებული იყო 1.500 მილიონი მანეთის დაბანდება, ხოლო საკონტროლო ციფრებით—1.900.000.000 მანეთის.

ამხანაგებო, რომ ნათელი შეიქნეს ჩვენ მიერ მიღწეულ დონის მთელი გრანდიოზულობა, ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ერთი ადგილი ამხ. ლენინის მიერ კომინტერნის 1922 წლის მე-6 კონგრესზე წარმოთქმული სიტყვიდან. ლენინი იქ ამბობს: „მძიმე ინდუსტრიას ესაჭიროება სახელმწიფო სუბსიდიები. თუ ჩვენ ეს სუბსიდიები ვერ გავიღეთ, ჩვენ დავიღუპებით როგორც ცივილიზაციური სახელმწიფო,—სოციალისტურზე უკვე აღარას ვამბობ. ამ მხრივაც ჩვენ გადავდგით გაბედული ნაბიჯი, სახელდობრ შევუდექით იმ საშუალებათა დაგროვებას, რომელიც საჭიროა მძიმე ინდუსტრიის ფეხზე დასაყენებლად“. „წელს,—ამბობს ლენინი,—როგორც დასაწყისი, ჩვენ ძლიერ ცოტა დავაგროვეთ—20 მილიონ ოქროს მანეთზე ცოტა მეტი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს თანხა გვაქვს, და ჩვენ მას ვიყენებთ მხოლოდ იმისათვის, რომ ავამაღლოთ ჩვენი მძიმე ინდუსტრია“.

1922 წელს ლენინი მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ამბობს:

„ჩვენ დავაგროვეთ 20 მილიონი მანეთი მძიმე ინდუსტრიისთვისო“. 1929—30 წელს კი ჩვენი დაბანდება მძიმე ინდუსტრიაში შეადგენს 2.607 მილიონ მანეთს. აი მასშტაბი! აი ციფრები, რომლებიც უნდა შეისწავლოს ყოველმა პროლეტარმა, ყოველმა პარტიულმა, რათა შეიგნოს რომ ჩვენ სოციალიზმის განხორციელებისაკენ მივდივართ არა კუს ნაბიჯით, არამედ სწრაფი ტემპით.

ყველაზე მეტი დაბანდებანი მოდის მძიმე ინდუსტრიაში, მეტალურგიური ქარხნების ხაზით, რადგან ეს ძირითადია. ჩვენ წამოვაყენეთ ჩვენი ქვეყნის ლითონის ქვეყნად გადაქცევის ლოზუნგი.

როგორ მიდის ჩვენი საქმე მეტალურგიაში? რა თქმა უნდა ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩენილი ვართ ევროპისა და ამერიკისაგან, მაგრამ ჩვენ თქვენთან ერთად უკვე შევუდექით უდიდესი გიგანტების აგებას. მაგნიტოგორის (ურალზე) და ტელბესის (ციმბირში) ქარხნებს გარდა, რომლებსაც თქვენ იცნობთ, ჩვენ ვიწყებთ უდიდესი გიგანტის აგებას უკრაინაში—ზაპოროჟიეს მეტალურგიულ ქარხანას. ურალზე არსებობს 20 ძველი მეტალურგიული ქარხანა. ამ ოც ქარხანაში ჩვენ გვაქვს 60 ღუმელი, რომლებიც იძლევა 1.100.000 ტონა ლითონს, ხოლო მაგნიტოგორის უკვე დაწყებულ ქარხანაში 4 ღუმელი იქნება და წლიურად 1.100.000 ტონა ლითონს მოგვცემს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც გვაძლევს 20 ქარხანა და 60 ღუმელი ერთად. ამავე დროს ჩვენ არ ვფიქრობთ იმ ძველი ქარხნების დაშლას, რომლებიც ურალზე არსებობენ, ჩვენ მათ გადავაკეთებთ და ამ მიზნისათვის წელს უკვე გადავდეთ 100 მილიონ მანეთამდე. ეს ქარხნები ხის სათბობით იმუშავებენ და მაღალი ხარისხის ლითონს მოგვცემენ. თქვენ იცით, რომ ფერადი მეტალურგიის დარგში ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ და იძულებული ვართ ჩვენი ოქროს ვალიუტა ამ ლითონების შემოტანაზე ვხარჯოთ. ამ დამოკიდებულების მოსასპობად ჩვენ წელს შორეულ კაზახსტანში ვიწყებთ კომბინატის აგებას, რაც 150 მილიონი მანეთი დაგვიჯდება, თქვენ იცით, რომ ჩვენ ამჟამად ვაგებთ მთელ რიგ უდიდეს ქარხნებს საავტომობილო ტრანსპორტის დარგში. მათგან ყველაზე დიდი ქარხანა აგებული იქნება ნიჟნი-ნოვგოროდში. ქიმიური მრეწველობის დარგში ჩვენ განსაკუთრებით ძლიერ ვართ ჩამორჩენილი ევროპისაგან და აქ ჩვენ ძლიერ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. ჩვენ გიგანტურ მშენებლობას ვაწარმოებთ სუპერფოსფატების და სხვადასხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების დარგში, რაც ჩვენ გვჭირდება არა მარტო მშვიდობიანი მშენებლობისათვის, არამედ ქვეყნის თავდაცვისათვისაც.

ჩვენ მხოლოდ ახლა შევუდექით ნამდვილად ჩვენი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. ამას წინად ინგლისურ გაზეთში „დეილი ჰერალდ“-ში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელშიც ისინი სწერდნენ, რომ რუსები მხოლოდ ახლა იწყებენ თავიანთი ქვეყნის გაცნობას და ხელახლა აღმოჩენას. ისინი ასე სწერენ ჩვენი ახალი აღმოჩენების გამო. მაგალითისათვის აიღეთ ხიბის აპატიტების აღმოჩენა ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქში. მას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ასეთი მდიდარი საბადოები არსად არ არსებობს მსოფლიოში. აპატიტები ხმარდება სუპერფოსფატის გამომუშავებას. ჩვენ წელს 5 მილიონ მანეთს ვხარჯავთ აპატიტების დამუშავებაზე, გაგვყავს რკინის გზა აპატიტების მოპოვების ადგილებისაკენ. უკვე მიმდინარე წლისათვის არის განზრახული მოწყობა ერთი მაღაროსი 1.500 ათასი ტონა მადნის მოსაპოვებლად: აქედან 100.000 ტონა გატანილი იქნება საზღვარგარეთ. ხიბის აპატიტების მარაგი, რომელიც როგორც სასუქი გამოყენებული იქნება ჩვენ სოფლის მეურნეობაში და რომლისაგანაც კიდევ მთელი რიგი ქიმიური პროდუქტების მიღება შეიძლება, ულევია. საერთოდ ჩვენი მოთხოვნილება ამ აპატიტებზე გაიზრდება მის დამუშავებასთან პარალელურად.

ჩვენ ამ ცოტა ხანში აღმოვაჩინეთ ურალის ნავთი და წელსვე ვიწყებთ 50 ჭაბურღილის ამოთხრას.

ჩვენი რეზინის მრეწველობისათვის ნედლეული—კაუჩუკი მუდამ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. და აი, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება მცენარე, რომელსაც შეუძლია კაუჩუკის მოცემა. კაზახსტანში მრავლად ხარობს ეგრედწოდებული ხანდრილა, რომელიც კაუჩუკს შეიცავს 8 პროცენტის რაოდენობით. ჩვენ განზრახული გვაქვს წელსვე შევუდგეთ ამ ხანდრილას დამუშავებას, რამაც უნდა მოგვცეს 2000 ტონა კაუჩუკი; ჩვენ კი საზღვარგარეთიდან ყოველ წლიურად შემოგვაქვს 20.000 ტონა. მემარჯვენე უკლონისტთა სულმოკლეობისა და გულგატეხილობის წინააღმდეგ, ჩვენ ყოველივე შესაძლებლობას გამოვიყენებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და სხვათა შორის ხანდრილასაც.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალისტურად გარდაქმნის საკითხები

გასულმა წელმა დიდი მიღწევები მოგვცა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ეს გარდაქმნა ხდება სოფლის მეურნეობაში უახლოესი ტეხნიკის შეჭრის საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაშლა ტეხნიკურ საფუძველს უქმნის სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება 1928—29 წელს გაიზარდა 48 პროცენტით. ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვუთმობთ სატრაქტორო ქარხნების მშენებლობას.

ამჟამად შენდება და მიმდინარე წელს დამთავრდება სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, რომლის სამრეწველო პროგრამა შეადგენს 50.000-მდე 15—20 ძალიან ტრაქტორს. მიმდინარე წელს ჩვენ ვიწყებთ ხარკოვის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნების მშენებლობას. ეს ორი ქარხანა უძლიერესი იქნება მთელ მსოფლიოში. ჩელიაბინსკის ქარხანამ წლიურად უნდა მოგვცეს 40.000 ორმოცდაათ ძალიანი ტრაქტორი, ხოლო ხარკოვისამ—50.000 ოცდაათ ძალიანი ტრაქტორი. პუტილოვის ქარხანამ 1928—29 წელს გამოუშვა 10.000 ტრაქტორი, ხოლო 1929—30 წელს უნდა გამოუშვას 20.000 ტრაქტორი. მიმდინარე წელს იწყება სრულიად ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების—კომბაინების ორი ქარხნის მშენებლობა. კომბაინები განსაკუთრებით გავრცელებულია ამერიკაში, ეს მანქანები ერთსა და იმავე დროს მკიან და ლეწავენ პურს. ეს ქარხნები აშენდება როსტოვსა და ნოვოსიბირსკში, თვითეული წლიურად დაამზადებს 25.000 კომბაინს. განზრახულია ეს წარმოება გაიშალოს ზაპოროჟიეშიაც— ქარხანა „კომუნარ“-ში, რომელიც წლიურად გამოუშვებს 10.000 კომბაინს. თავიანთი ტეხნიკური სიძლიერით ეს ქარხნები გადააჭარბებენ ამჟამად ამერიკაში არსებულ ქარხნებს.

ეს ქარხნები წარმოადგენენ იმ ტეხნიკურ ბაზას, რომლის საფუძველზედაც ჩვენ გარდაექმნით მთელ ჩვენ სოფლის მეურნეობას.

ამხანაგებო! როდესაც ტროცკისტები ეჭვს გამოსთქვამდნენ და არ სჯეროდათ, რომ პროლეტარიატი გაიყოლიებდა გლეხთა ფართო მასებს, როდესაც მემარჯვენე ელემენტები სცდილობენ უკან დაგვახევინონ, მათ არ ესმოდათ და არ ესმით, რომ ინდუსტრიას პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ პროლეტარიატმა გაიყოლიოს გლეხთა უფართოესი მასები.

აი რას ამბობდა ლენინი: „ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ დავამზადოთ 100.000 პირველხარისხოვანი ტრაქტორი და მივუჩინოთ მათ მემანქანეები,— თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერ-ჯერობით ეს ფანტაზიაა— მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიას (ესე-იგი კომუნიზმის) მომხრე ვარო“. მაგრამ იმისათვის, რომ ეს განვახორციელოთ, ჯერ უნდა დავამარცხოთ საერთაშორისო ბურჟუაზია, უნდა ვაიძულოთ იგი მოგვცეს ტრაქტორები, ან იმდენად უნდა ავწიოთ ჩვენი წარმოება, რომ თითონ ჩვენ შეგვეძლოს ამ ტრაქტორების [illegible]“ (ლენინი, ტომი 16, გვერდი 158).

ლენინი ამბობდა, რომ თუ 100.000 ტრაქტორს დავამზადებთ, საშუალო გლეხი იტყვის— „მე კომუნიას მომხრე ვარო“. ლენინმა გაითვალისწინა ის, რასაც ჩვენ ამჟამად ვანხორციელებთ. მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მინდვრებზე ჩვენ გვექნება დაახლოებით 100.000 ტრაქტორი, ორი წლის შემდეგ გვექნება 250.000 ტრაქტორი, გვექნება ჩვენი საკუთარი ქარხნები. ჩვენ ეხლავე ვაშენებთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, რომელნიც უდიდეს სტიმულს აძლევენ სოფლის მეურნეობის გარდაქმნას და მის კოლექტივიზაციას. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ ძნელი იყო საშუალო გლეხის ჩაბმა კოლმეურნეობაში, მიმდინარე წელს ჩვენ ძლივს ვართმევთ თავს საშუალო გლეხის მისწრაფებას კოლმეურნეობისაკენ. ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი. აი კოლმეურნეობათა ზრდის აბსოლიუტური ციფრები: 1927 წელს ჩვენს ქვეყანაში არსებობდა 14.800 კოლმეურნეობა, 1928 წელს —33.200, 1929 წელს —60.000, ხოლო 1930 წელს ნავარაუდევია 103.000 კოლმეურნეობა. ეხლა აიღეთ კოლმეურნეობებში გაერთიანებული მოსახლეობის რაოდენობა: 1927 წელს—1.100.000, 1928 წელს—1.900.000, 1929 წელს—4.700.000, ხოლო 1930 წელს ვარაუდით—15.000.000. თუ ხუთწლიანი გეგმით ჩვენ ნავარაუდევი გვქონდა, რომ კოლმეურნეობათა ნათესების სივრცე მხოლოდ ხუთწლედის დამლევს 14 ნახ. მილიონი ჰექტარი იქნებოდა, ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ტემპით და იმ ტემპით, რომელიც ადგილებზე გვაქვს, უკვე 1930 წელს კოლმეურნეობებს ექნება 15 მილიონი ჰექტარი ნათესი, ე. ი. ნახევარი მილიონი ჰექტარით მეტი იმ სივრცეზე, რომელიც ნავარაუდევი იყო ხუთწლედის დამლევისათვის. ჩვენ ამჟამად გვაქვს მთელი რაიონები, სადაც განხორციელებულია სოფლის მეურნეობის საერთო კოლექტივიზაცია. აიღეთ ქვემო ვოლგის მხარის ხოპიორის ოლქი. იქ განხორციელებულია საერთო კოლექტივიზაცია. ურალის ოლქში 10 კოლმეურნეობა აერთიანებს 1 მილიონ ჰექტარ ნათესს. არსებობენ კოლმეურნეობანი 100—150 ათასი ჰექტარი ნათესით. მე ამხანაგებო, თავს ნებას მივცემ მთლიანად წაგიკითხოთ ზოგიერთი კოლმეურნეობის აღწერა იმ ამხანაგების წერილებისა და მოხსენებებიდან, რომელნიც ადგილებზე მუშაობენ. მაშინ, თქვენ ნათქვამზე უკეთ იგრძნობთ, თუ რით სცოცხლობს და სუნთქავს ამჟამად სოფელი. აი რას გვწერენ ურალიდან — კრასნაია პოლიანას გიგანტიდან. ეს არის საერთო კოლექტივიზაციის რაიონი ირბიტის ოლქში. კოლმეურნეობაში მთლიანად გაერთიანებულია სამი ადმინისტრატიული რაიონი, და მის შემადგენლობაშია 22 სოფლის საბჭო და 102 დასახლებული პუნქტი. საერთო კოლექტივიზაცია გავრცელებულია 1.846 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე ანუ 184.000 ჰექტარ მიწაზე.

ყური დაუგდეთ, რას სწერს ამ რაიონში მომუშავე ამხანაგი. ამასთან იგი სწერს არა მარტო მიღწევებზე, არამედ ნაკლზეც და, უპირველეს ყოვლისა, კლასობრივ ბრძოლაზე: „აქ ამჟამად მართლაც არა სახუმროდ სწარმოებს კლასობრივი ბრძოლა. პირდაპირ, როგორც ფრონტზე. ყველგან ავლაპარაკდით გიგანტზე. გაიგონეს კულაკებმა, რომ ეხლა მათ ანგარიშს აღარავინ გაუწევს და შეიქნა ერთი ორომტრიალი. აი ფაქტები. ავრცელებენ ყოვლად წარმოუდგენელ ხმებს. ამბობენ— დედამიწაზე ანტიქრისტე ჩამოვიდაო, მალე ქვეყანას ბოლო მოეღებაო. ერთი მოხუცი ვიღაც ქალებმა (ეჭვი აქვთ, რომ ისინი ყოფილი მონაზვნები იყვნენ) ტყეში შეიტყუეს, მისცეს მას სახარება და უთხრეს— ეს წიგნი, სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის სწორ გზას დაგაყენებს, მხოლოდ ჯერ აუცილებლად კოლმეურნეობიდან უნდა გამოხვიდე, თორემ წიგნს ძალა არ ექნებაო. აწყობენ არალეგალურ კრებებს, ამზადებენ ამ კრებებზე კოლმეურნეობებიდან ერთბაშად რამდენიმე ათეული მეურნეობის გამოსვლას (ეს აღმოვაჩინეთ და დროზე მოვუღეთ ბოლო), აფუჭებენ კოლმეურნეობათა მინდვრებს, იტაცებენ ცხენებს, ხოლო უკანასკნელ დღეებში, სწორედ მაშინ, როდესაც მკა გაჩაღდა, როდესაც მთელი ხალხი მთელი დღით მინდვრად მიდის, დაიწყო ცეცხლის წაკიდება. ამ უკანასკნელ დროს ყოველდღე სადმე ცეცხლია. გუშინ იგნატიევოში 20-ზე მეტი სახლი დაიწვა. ეხლა კი ასეთი შემთხვევა მოხდა.

დღეს ჩვენ მოვაწყვეთ კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის შეკრება. 500—600 ახალგაზრდამ მოიყარა თავი. მოგროვდა უფროსი მოსახლეობაც. სოფელ ლარინოში (8 კილომეტრის მანძილზე მიკიშინიდან) კომუნარები (კომუნა „ვოსხოდ“) ძალიან კარგად მოემზადნენ. დილას იქ იყო ახალგაზრდობის კონფერენცია. ქალაქიდან ჩამოიყვანეს ორკესტრი. დიდი ზეიმი იყო.

კონფერენციის შემდეგ მოედანზე გაიმართა მიტინგი. მიტინგზე ლარინელები მწყობრად გამოცხადნენ. მოაწყვეს კარნავალი. ძალიან კარგად გამოხატეს მღვდელი, მღვდლის ცოლი, კულაკი, მნათე, ურმებში ჩასხეს გადაცმული ახალგაზრდები, რომლებიც გამოხატავდნენ ძველ სოფელს, აგრეთვე სხვადასხვა პურეულია— ხორბლის, ჭვავის, შვრიის, ქერის და სხვ. ძნებს, ერთი სიტყვით, არაფერი ამის მსგავსი აქ არავის გაუგონია და არ უნახავს. და აი სწორედ მაშინ, როდესაც მიტინგი გაჩაღებული იყო, როდესაც ყველა ლარინელები აქ მიკიშინში იყვნენ, სახანძრო ანძიდან გაისმა ყვირილი — ლარინო იწვისო. სწორედ დღეს ქარი ჰქროდა. ცეცხლი სწრაფად გადადიოდა სახლიდან სახლზე. სანამ ხალხი მიასწრებდა, სოფლის უდიდესი ნაწილი უკვე ცეცხლში იყო გახვეული.

გაგრძელებისათვის აღარ მცალია. მაინც ვგზავნი ამ ნაწყვეტს.

მთლიანად დაიწვა 88 სახლი, ამდენივე დაანგრიეს ხანძრის ჩაქრობის დროს. საშინელებაა. ცეცხლი აშკარად განზრახ წაკიდებულია. კულაკების სახლები ყველა გადარჩა. სწარმოებს გამოძიება. დაზარალებულებს დახმარებას ვუწევთ. ქ. პ. პოპოვა“.

აი ფაქტები კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ სხვა წყაროებიდან.

„დამტკიცებულია გეგმა და უკვე დაწყებულია მუშაობა ცენტრალური სატელეფონო სადგურის და ცენტრალური სატრანსლიაციო რადიო- სადგურის ასაგებათ რაიონის ცენტრში.

ტელეფონის მავთული, სიგრძით 232 კილომეტრი, შეაერთებს 45-ზე დასახლებულ პუნქტს, სადაც მაშინვე დაიდგმება 162 ხმის გამაძლიერებელი აპარატი და 2.200 რადიოტელეფონის მილი. მიკროფონის დადგმა ცენტრალურ სატრანსლიაციო სადგურში შესაძლებელს გახდის არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა სადგურების, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობის გადაცემების მიწოდებას გიგანტის ყველა კუნჭულში.

ამჟამად მომზადებულია გიგანტის ტერიტორიაზე მძლავრი პურის ქარხნის აგების პროექტი იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილებული იქნეს კოლმეურნეობის მთელი მასის მოთხოვნილება.

დღის წესრიგში დგას ფაბრიკა- სამზარეულოს მოწყობის საკითხი, სატერმოსო სისტემით, საჭმლის მისაწოდებლად სამუშაოთა ადგილებზე.

1929—30 წლისათვის გარდა უკვე არსებულ 40 სასადილოსა განზრახულია 15 საზოგადოებრივ სასადილოს მოწყობა ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში.

15 ივლისისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში კოლმეურნეობებთან უკვე არსებობდა 28 საბავშო ბაგა, 14 საბავშო მოედანი. განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას კომუნა „კრასნაია როშჩა“-ს ბაგა, სადაც დაცულია მკაცრი რეჟიმი და უნაკლო სისუფთავე.

უკვე მოეწყო 25 საზოგადოებრივი სასადილო. დიდი მიღწევებია აგრეთვე რელიგიასთან ბრძოლის ფრონტზეც. ეკლესიების ნაწილი უკვე დახურულია და ეთმობა კულტურული საჭიროებისათვის, მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწყობილია საკლუბო უჯრედები და იქმნება კოლექტიური შრომის დღესასწაულები. სასოფლო- სამეურნეო არტელმა „სვობოდა“-მ ე. წ. „მაცხოვრის“ დღესასწაული შეცვალა შაბათობით.

ასევე მოიქცა არტელი „პუტ ლენინა“, მეორე არტელმა „კრასნი ხად“— კი დაადგინა არ იუქმოს „ღვთისმშობლის მიძინება“ და სხ. ზოგიერთი კოლმეურნეობანი ატარებენ მუშაობას და გადარიცხავს კულტურული საჭიროებისათვის („ტრუდ ი ზნანიე“, „ხლებორობ“ და სხვ). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველაფერი ეს მიღწეულია 1—1 ნახ. წელიწადში, რაიონში სუსტი კულტურული მუშაობის პირობებში“.

მე არა მაქვს დრო, რომ გაგაცნოთ მთელი რიგი სხვა საინტერესო მაგალითები. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ცარიელი აგიტაციის მაგიერ, მაღალი ფრაზების ნაცვლად, მუშათა შორის უნდა გავავრცელოთ ნამდვილ კოლმეურნეობათა ნამდვილი ცხოვრების აღწერა.

აი, მაგალითად, კომუნა „გამარჯვება“ ზარნაულის ოლქში. ეს ყველაზე დიდი კოლმეურნეობაა ოლქში, მოწყობილია 1929 წლის თებერვალში ორი კომუნის გაერთიანების გზით.

ახლად მოწყობილი კომუნის ტერიტორიაზე იყო საბძელი, ამ საბძელში არალეგალურ კრებაზე ირჩეოდა კოლჩაკის წინააღმდეგ აჯანყების საკითხი. აჯანყებულებმა მაშინ გაიმარჯვეს კოლჩაკზე და ამის სამახსოვროთ კომუნას უწოდეს „გაიმარჯვებთ“, როგორც თავდები ამ ფრონტზეც გამარჯვებისა (აპლოდისმენტები). კომუნის ორგანიზატორი და თავმჯდომარე არის ს. ქ. კოლმაკოვი, ყოფილი პარტიზანი, საკ. კომპარტიის (ბ) წევრი. კომუნაში გაერთიანებულია 191 მეურნეობა, მის განკარგულებაშია 6.600 ჰექტარი ნათესი, სასოფლო- სამეურნეო ინვენტარი შეფასებულია 120.000 მანეთად. მაგრამ ამ კომუნაში დისციპლინა არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ გვწერენ: „როგორც სუსტი დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის ილიუსტრაციას მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: მივემგზავრებით. ჩვენი ჩასვლის დროისთვის (ამას გვწერენ გამოსაკვლევად გაგზავნილები),— მოკვდა ცხენი, ბევრი აქამეს. საბჭოს სამმა წევრმა წინადადება მისცა კომუნის სამ წევრს გაეძროთ ცხენისათვის ტყავი, მოეჭრათ კუდი და ფაფარი და ჩაეფლათ მიწაში. ცხენი მიწაში ჩაფლეს, მაგრამ გაუტყავებლად და არც კუდი და არც ფაფარი არ მოუჭრიათ. ამისათვის ისინი გაასამართლეს“. აი ხედავთ, თუ როგორ სწორდება საზოგადოებრივი ზეგავლენით უწესრიგობანი კოლმეურნეობათა მუშაობაში.

მეტად საინტერესო მოვლენა გვაქვს კოლექტიურ მეურნეობაში, ნიკოლაევის ოლქში. ყველას გახსოვთ დაბოვკა, განთქმული დაბოვკა. იქ ახლა შექმნილია კოლექტიური მეურნეობა „ნეზამოჟნიკ“-ი. ამ კოლექტიურ მეურნეობას აქვს 3.870 ჰექტარი მიწა. მის გაუყოფელი კაპიტალია 30.000 მანეთი, 64 ცხენი, 14 ტრაქტორი. ამჟამად განსაზოგადოებულია 163 ძროხა, კონტრაქტაციით ჩააბარეს 280 ტონა პური 250 ტონას ნაცვლად.

მაგრამ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ პურის ლეწვის დროს კოლექტიური მეურნეობის დასახმარებლად გამოცხადდა წითელარმიელთა რაზმი ცხენებით. კულაკებმა ხმა გაავრცელეს, რომ წითელარმიელები ჩამოვიდნენ პურის ჩამოსართმევადო. და აი ამ კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარემ მაშინვე გაითვალისწინა ეს გარემოება. სალეწი მანქანებიდან პური ურმებზე დატვირთა და დაიწყო კოლექტიური მეურნეობის წევრთა სახლებში ჩამორიგება, ხოლო ის პური, რომელიც სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა, ტრაქტორებით გაგზავნა. როდესაც საშუალო და ღარიბმა გლეხობამ დაინახა, რომ წითელ არმიელები პურის ჩამოსართმევად კი არა კოლექტიური მეურნეობის დასახმარებლად ჩამოვიდნენ, მაშინვე დაწყნარდნენ, წითელარმიელებს სიყვარულით დაუწყეს ცქერა, წითელარმიელთა ერთ-ერთი ნაწილის შეფობაც კი იკისრეს და მთელი ზეიმი მოაწყვეს. მაგრამ ამავე კოლექტიური მეურნეობიდან ჩვენ გვწერენ, კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა სუსტია, ქალთა შორის მუშაობა სუსტია, პარტიული მუშაობა სუსტია, კომკავშირის უჯრედი სუსტია, კულაკები ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევენ და სხვა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, ამხანაგებო, რომ ჩვენ დიდი დაბრკოლებები გვედობება წინ და რომ აქ არ შეიძლება დამშვიდებული ვიყოთ. ჩვენ უდიდეს დაბრკოლებებს ვხვდებით კოლექტიური მეურნეობის განვითარების გზაზე. აი რად უნდა ვარიდოთ თავი რაიმე იდეალისტურ გატაცებას.

კოლექტიური მეურნეობა პროლეტარული რევოლიუციის ბურჯი იქნება, თუ მაზე საფუძვლიანად ვიმუშავებთ, თუ განვაგრძობთ კულაკთან ბრძოლას, თუ დავრაზმავთ მუშათა მასებს, თუ დავრაზმავთ პარტიულ მასებს, ქალთა მასებს და კომკავშირელთა მასებს ამ საქმის ირგვლივ. მე ვფიქრობ, მოსკოვს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ამ მხრივ. ჯერ-ჯერობით მაგალითები ცოტა გვაქვს, მაგრამ მაინც გვაქვს. ქარხანა „კრასნი ფაკელ“-ის მუშებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებთან ერთად რიაზანის ოლქში მოაწყვეს სატრაქტორო კოლონა და ამ სატრაქტორო კოლონამ ამჟამად ჩაატარა 2.000-ზე მეტი მეურნეობის კოლექტივიზაცია. ეს მიღწეულ იქნა მუშათა ბრიგადების გაგზავნის საშუალებით. მოსკოვის სამრეწველო ოლქში (მოსკოვის ოლქში ხომ ჩვენ მრავალი ქარხნები გვაქვს) საჭიროა დაისვას საკითხი მუშათა ბრიგადების გაძლიერების და ამ საქმისადმი პროლეტარიატის მთელი ყურადღების მიპყრობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბევრი ამხანაგი პირდაპირ ამბობდა, რომ ჩვენ არ გვქონდა წარმოდგენილი კოლექტივიზაციის ისეთი ტემპი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს და რომელსაც, უეჭველია, კიდევ უფრო გავადიდებთ, თუ ახალ ძლიერ სატრაქტორო კოლონებს მოვაწყობთ და გაძლიერებულ ყურადღებას მივაპყრობთ ჩვენს სოფელს. ეს გარემოება გვიკარნახებს იმას, რომ საჭიროა სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერება და ღარიბთა ორგანიზაციების განმტკიცება, რადგან არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ კოლექტიური მეურნეობა მარტო სახეს უცვლის კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ არ სპობს მას. კულაკი ყოველნაირად ცდილობს და შეეცდება თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს კოლექტიური მეურნეობა, და პარტიამ უნდა დარაზმოს ღარიბი და საშუალო გლეხობა კულაკობასთან საბრძოლველად და მის განსამარტოებლად.

კადრების პრობლემა

წარსული წლის განმავლობაში ჩვენ მოვიპოვეთ მთელი რიგი მიღწევები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების პროცესის რაციონალიზაციის დარგში. მიუხედავად ამისა, წარმოების რაციონალიზაციისა და ტეხნიკური გაუმჯობესების ამოცანა და ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს მასების შემოქმედებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, ჯერ კიდევ მთელი თავისი სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე. აქ ჩვენ ვსდგებით ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრობლემის წინაშე, რომელიც გაირჩა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ეს არ არის ტეხნიკური პრობლემა. ეს არ არის ხალხის ტეხნიკური გაწესრიგების პრობლემა, თუ როგორ დავაყენოთ ერთი აქ, მეორე იქ. ეს არის პრობლემა პოლიტიკური, კლასობრივი. ლენინი არა ერთხელ ამბობდა, რომ შეიძლება მტერი დაამარცხო, მაგრამ თუ დამარცხებულს უფრო მაღალი კულტურა აქვს, მას შეუძლია შიგნიდან აგაფეთქოს, გაგსრისოს. კლასობრივი მტრების წინააღმდეგობამ, რომელსაც ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ვამარცხებთ, თავი იჩინა არა მარტო პურის დამზადების საქმეში, არა მარტო სოფლად, მან ყველაზე უფრო მიხერხებული, ყველაზე უფრო კულტურული ფორმები მავნებლობაში ანუ იმ უბანში მოიპოვა, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მეტად სუსტია და მათთვის ყველაზე მეტად ძლიერი. ტეხნიკის და სპეციალიზაციის დარგში ჩვენ არ მოგვეპოვება სპეციალისტების საკმაო კადრები და ამიტომ კლასობრივი მტერი განსაკუთრებით ამ ფრონტზე აწარმოებს შეტევას ჩვენს წინააღმდეგ. ნება მომეცით გითხრათ, რომ შახტის საქმე არ არის მავნებელთა ერთად ერთი საქმე. წელს სახელმწიფო [illegible] სამმართველომ აღმოაჩინა მთელი რიგი მავნებლობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრ დარგში.

რა მიზანს ისახავდნენ მავნებლები? ჩვენს მგეგმავ და მმართველ ორგანოებში შეძრომით ისინი მიზნად ისახავდნენ ისე წაეყვანათ საქმე, რომ განუწყვეტელი კრიზისების შექმნით ზეგავლენა მოეხდინათ ქვეყნის სამეურნეო- ეკონომიურ ცხოვრებაზე. ამ მიზნით, წლიური და სხვა უფრო ხანგრძლივი პროგრამების შედგენის დროს ისინი ცდილობდნენ ამ პროგრამებში ისეთი რამ შეეტანათ, რაც გამოიწვევდა განუწყვეტელ სამეურნეო კრიზისს ქვეყნის მეურნეობის ხან ერთ და ხან მეორე დარგში. მაგრამ მავნებლები არა მარტო „პროექტებს“ ადგენდნენ, არამედ ეწეოდნენ დამრღვეველ მუშაობას ჩვენს ქარხნებში. ისინი ეწეოდნენ შპიონაჟს ჩვენი მტრების სასარგებლოდ. რასაკვირველია, მავნებლებმა ვერ შესძლეს შეეჩერებინათ ჩვენი მრეწველობის ძლიერი ზრდა, მათ ვერ შესძლეს მავნებლობის ჯებირით შეეჩერებინათ იმ შეტევის აბობოქრებული ტალღები, რომელსაც მუშათა კლასი შრომის ფრონტზე აწარმოებს. მავნებელთა მტრული მოქმედების მიუხედავად პროლეტარიატმა აღადგინა მრეწველობა, რომელიც მას მემკვიდრეობით დარჩა, და შეუდგა მის რეკონსტრუქციას და შემდგომ სწრაფ განვითარებას. მაგრამ ეს არ ამცირებს იმ ზიანს, რომელიც მავნებლებმა მოიტანეს და რომელიც მათ სურდათ მოეტანათ.

მავნებლები პირდაპირ აცხადებენ, რომ ისინი მტრები არიან სოციალიზმის და სოციალისტური მშენებლობის, რომ ისინი მტრები არიან პროლეტარიატის და საბჭოთა ხელისუფლების. მათი დიდი ნაწილი მონარქისტებია, რომლებიც მხოლოდ ჩვენი [illegible] შესაძლებელ მომენტს უცდიან. ზოგიერთ მათგანს ნეპის დასაწყისში ეგონა, რომ ნეპი არა მარტო გაზრდის მრეწველობას, არამედ მას გადაიყვანს ბურჟუაზიულ ლიანდაგზე. მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მრეწველობა ჩვენს და არა მათს, ბურჟუაზიულს ლიანდაგზე მიგვყავს, გადასწყვიტეს დაენგრიათ ჩვენი ქარხნები და ზიანი მიეყენებიათ ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის.

ამხანაგებო, ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ მოხდა ეს, როგორ დაუშვით ჩვენ ამგვარი ამბები. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ თქვენთან ერთად სუსტნი ვართ კადრების ფრონტზე. ჩვენი ზოგიერთი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები, არასაკმაოდ მომზადებულნი ტეხნიკურად, მათთვის დაკისრებულ საქმეს თავის მხრივ პირდაპირ ანდობდნენ სპეციალისტ— მავნებლებს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს სიფხიზლის მოდუნებას ზოგიერთ სამეურნეო მუშაკ-კომუნისტების მხრივ. რახან მეგობრულად უნდა ვიმუშაოთ სპეციალისტებთან, მაშასადამე, უნდა ვენდოთ მათ მთლიანად, მათ რიცხვში მავნებლებსაც. მეორე კი, რამაც გამოიწვია მავნებლობა, ეს არის ჩვენი მცირემცოდნეობა. და ეს ჩვენ პატიოსნად და პირდაპირ, ბოლშევიკურად უნდა ვსთქვათ,— ამისთვისა ვართ ჩვენ ბოლშევიკები. ამრიგად, საკითხი დგას ისე, რომ ერთი მხრივ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კლასობრივი სიფხიზლისათვის, ვებრძოლოთ გადაჭარბებულ ნდობას და უპასუხისმგებლობას, უნდა ვიცოდეთ და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შენ საქმე გაქვს კლასობრივ მტერთან, მეორე მხრივ კი— უნდა ვებრძოლოთ არასაკმაო ცოდნას ჩვენს ხელმძღვანელ კადრებში. მაგრამ ჩვენ უნდა მოვერიდოთ სპეციალის-მავნებლების მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გადატანას სპეციალისტების მთელ მასაზე. ეს არა თუ შემცდარი იქნებოდა, არამედ დაუშვებელიც. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მავნებელთა საქმეზე დაპატიმრებულთა უმრავლესობას შეადგენენ ყოფილი ტუზები, მრეწველობის ყოფილი ორგანიზატორები, ყოფილი აქციონერები, ყოფ. მემამულეები და კაპიტალისტები, როგორიც ფონმეკი და სხვები. მაგრამ ძველ სპეციალისტებს შორის არის უმრავლესობა, რომელიც კეთილსინდისიერად მუშაობს. ჩვენი დამოკიდებულება ამ სპეციალისტების მიმართ რჩება ძველი. ჩვენ მათ გამოვიყენებთ სამუშაოზე, ვიმუშავებთ მათთან და ყოველმხრივ დავეხმარებით. ჩვენი სიფხიზლის გაძლიერებასთან ერთად, კეთილსინდისიერ სპეციალისტების გამოყენებასთან ერთად, პარტიამ მთელი სიმწვავით უნდა დასვას სოციალიზმისათვის თავდადებულ და თეორეტიულად საკმაოდ მომზადებულ საკუთარ ტეხნიკურ და ხელმძღვანელ კადრების მომზადების საკითხი.

ლენინი სწერდა: „ჩვენი ამოცანაა— ცდის საშუალებით ფართოდ მოვიზიდოთ სპეციალისტები, მოვამზადო ხელმძღვანელთა ახალი შემადგენლობა, სპეციალისტთა ახალი წრე, რომელმაც უნდა ისწავლოს უაღრესად ძნელი, ახალი და რთული საქმე — მართვა-გამგეობის საქმე“. ლენინს მიაჩნდა, რომ „ეს არის მთავარი საქმე, თუ ამას განახორციელებთ და ამრიგად შექმნით თანდათან მუშებსა და გლეხებს, რომელნიც სწავლობენ მართვა-გამგეობის საქმეს, რომელნიც გადიან სწავლის ყველა ვადას ძველი სპეციალისტების გვერდით, დგებიან მათ ადგილზე, ასრულებენ ისეთსავე დავალებებს და ამზადებენ ჩვენს სამოქალაქო საქმეში, მრეწველობის მართვა-გამგეობის საქმეში ხელმძღვანელთა შემადგენლობის ისეთსავე ცვლილებას, როგორიც ჩვენს სამხედრო უწყებაში ხდება, თუ ამას განახორციელებთ, ასეთი მუშაობა, რა თქმა უნდა, ყველაფრის მომასწავებელი იქნება“. ცენტრალური კომიტეტის აპრილის და ივლისის (1928 წლის) პლენუმებზე დასმული იყო კადრების საკითხი. ივლისის პლენუმმა დასახა სხვადასხვა პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მიმართულებით. ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ თვალსაჩინოდ წავიწიეთ წინ და თუმცა ძალიან ცუდად ვმუშაობდით ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში, მიუხედავად ს. მ. უ. საბჭოს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს განათლების სახალხო კომისარიატის და თვით უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების ცუდი მუშაობისა ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ჩვენ მაინც საკმაო მიღწევა გვაქვს. მაგრამ, ამხანაგებო, ივლისის პლენუმზე დასმულმა საკითხმა მოითხოვა ყურადღების გაძლიერება სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე, კერძოდ ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების საკითხზედაც. საკითხის ასე დასმას გვიკარნახებს როგორც მავნებელ-სპეციალისტების შეცვლის აუცილებლობა, ისე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება და ჩვენი მეურნეობის ზრდის უდიდესი ტემპი. სამწუხაროდ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სპეციალისტების მომზადების ხუთწლიანი გეგმა და სპეციალისტების საჭირო რაოდენობის აღრიცხვა. თუ უცხოეთის გამოცდილებას მივმართავთ, თვითონ ნახავთ შემდეგს. შეერთებულ შტატებში 10 ათას მუშაზე მოდის 125 ინჟენერი და 250 ტეხნიკოსი, გერმანიაში 10.000 მუშაზე—106 ინჟენერი და 114 ტეხნიკოსი, ჩვენში კი მუშათა იმავე რაოდენობაზე—30 ინჟენერი და 31 ტეხნიკოსი. ეს შეფარდება, რა თქმა უნდა, პირობითად უნდა მივიღოთ, ვინაიდან კაპიტალის ორგანიული შემადგენლობა ამერიკაში სულ სხვაა, ვიდრე ჩვენში, მაგრამ ესეც საკმაოდ მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. მთელ სახალხო მეურნეობაში ჩვენ გვყავს 57.000 ინჟენერი და 55.000 ტეხნიკოსი, ე. ი. მაშინ, როდესაც დასავლეთში შეფარდება ინჟენერებსა და ტეხნიკოსებს შორის აღწევს მიმართებას 1:2, ჩვენში მათი რიცხვი თითქმის თანაბარია. ჩვენი ანგარიშით, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვამზადოთ 84.000 ინჟენერი და 150.000 ტეხნიკოსი. ეს ციფრები სავარაუდოა და შემდეგში ისინი კიდევ უფრო უნდა შევასწოროთ. მაგრამ ეს სვამს ჩვენს წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები, რომელნიც ამ სპეციალისტებს ამზადებენ. ნება მომეცით ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ჩვენი სპეციალისტების ხარისხის შესახებ. ამ დარგშიაც ჩვენ თვალსაჩინოდ ჩამოვრჩით გერმანიასა და ამერიკას. საინტერესოა აღინიშნოს, თუ როგორ ახასიათებს კუპერი ჩვენს სპეციალისტებს სრულიად საკავშირო დასავლეთის სავაჭრო პალატის ამერიკულ სექციაში წაკითხულ მოხსენებაში. აი რას სწერს ის: „ჩემის აზრით, თქვენს ინჟენერებს ფრიად დიდი ტეხნიკური ცოდნა აქვთ. თქვენ გესაჭიროებათ გამოცდილება პრაქტიკაში, გამოცდილება საქმით. მე ვფიქრობ, აქედან, ამერიკიდან რომ წაიყვანოთ პრაქტიკოსი მუშაკები, ისინი ასწავლიან თქვენ ახალგაზრდობას პრაქტიკულ მიდგომას საქმესთან. უნდა ითქვას, რომ ამერიკაში ყოველმა სტუდენტმა, რომელიც ინსტიტუტს ამთავრებს, 6 თვეს უბრალო მუშად უნდა იმუშაოს, ვიდრე მას შემდგომ სამუშაოზე დაუშვებდნენ. ამერიკაში არ არის არც-ერთი ისეთი ინჟენერი, რომელსაც დიდი თანამდებობა უჭირავს, რომ მას მუშაობა სრულიად დაბალი საფეხურებიდან არ დაეწყოს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც კი, იგი მუშაობას იწყებს ყველაზე დაბალი საფეხურებიდან. ჩემის აზრით, ინსტიტუტები კი არ ჰქმნიან მუშაკებს, არამედ ქარხნები“. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას უთანაბრობა თეორიასა და პრაქტიკას შორის, იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნას უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების მუშაობა, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სხვადასხვა უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები ს. მ. უ. საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს გადაეცა. ეს ზომა უეჭველად სასარგებლო გამოდგა, თუმცა საკმაოდ მრავალ შემთხვევაში განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა სუსტად და ქაოტიურად ტარდებოდა. ხშირად ქარხნებში უწესრიგობის გამო პრაქტიკანტებს შავი მუშაობისათვის იყენებდნენ. ჩვენ კი გვესაჭიროება, რომ სტუდენტი, რომელიც უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში სწავლობს, დაზგიდან დაზგაზე გადადიოდეს: ნახევარ დროს სკოლაში იყოს, ნახევარს—ქარხანაში, მაშინ მოვა იგი ქარხანაში და იქნება ნამდვილი ინჟენერი, რომელიც იცნობს პრაქტიკას, რომელიც იცნობს წარმოებას. ჩვენ ამოცანად დავისახეთ უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების გამუშურება. ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ მუშებისა და მათი შვილების პროცენტმა 40-ს გადააჭარბა, მაგრამ უნდა შევძლოთ ამ პროცენტის გადიდება 70-მდე. იმისათვის, რომ ეს ამოცანა გადავწყვიტოთ, ჩვენ უნდა მოვაგვაროთ მუშების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ამისათვის ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დღის და საღამოს მუშფაკების მუშაობის გაუმჯობესებას, მოვაწყოთ სრულასაკოვანი მუშების მომზადება დაუსწრებელი კურსებისა და საღამოს კურსების საშუალებით უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში შესასვლელად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეორე საფეხურის სკოლებს, რომელნიც ძალიან ცუდად ამზადებენ მუშების შვილებს. მუშა ან გამოდის მეორე საფეხურის სკოლის უკანასკნელ ჯგუფებიდან, ან სკოლის დამთავრების შემდეგ, საკმაოდ მომზადებული არ არის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. ჩვენ ორი წლის განმავლობაში პრაქტიკაში შემოვიღეთ ეგრედწოდებული „ათასის“ გაგზავნა. ამ ცდამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა და ამ „ათასის“ შემადგენლობაში ჩვენ შევარჩიეთ პარტიის წევრები მუშაობის დიდი სტაჟით და გამოცდილებით, და, რაც უმთავრესია მათი წარმატება სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ისინი წარმატებით გადავიდნენ მეორე კურსზე.

ჩვენ აუცილებლად უნდა ავწიოთ ჩვენი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების ეფექტიურობა. ამჟამად ჩვენს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებს ამთავრებს საერთო შემადგენლობის 6—7 პროცენტი. ჩვენში საზიზღად გავრცელებულია კურსზე დარჩენა. არიან სტუდენტები, რომელნიც 8—9 წელი სხედან უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში, 6—7 წელიწადი კი ნორმალურ მოვლენად გადაიქცა. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უზრუნველჰყონ სათანადო ეფექტიურობა სწავლის სათანადო ვადებში. დისციპლინა, რომელსაც ჩვენ ამჟამად დაზგის პროლეტარიატისაგან მოვითხოვთ, არ არის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში. საჭიროა, რომ სტუდენტი, რომელიც უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში სწავლობს, რომელსაც სახელმწიფო ასწავლის და რომელთანაც კონტრაქტს სდებს, იმდენადვე დისციპლინიანი იყოს, როგორიც დაზგის პროლეტარიატი და უფრო (ხმები: მართალია. ტაში) ამავე დროს გადაჭრით უნდა განვტვირთოთ სტუდენტები კრებების, სხდომების და სხვ. საზოგადოებრივ მუშაობათ დიდი რაოდენობიდან.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებისა და სტუდენტების მატერიალური მდგომარეობა და ამას სისტემატიურადაც ვანხორციელებთ. გასულ წელს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებს მიეცა 90 მილიონი მანეთი, მიმდინარე წელს—200 მილიონი მანეთი. გადიდდა სტიპენდიები, მოემატა სამუშაო ხელფასი მასწავლებლებს, გადიდდა კონტრაქტაციის მასშტაბი. მიმდინარე წელს მოსკოვში საერთო საცხოვრებელი ბინების ასაგებათ სპეციალურად გადავდევით 20 მილიონი მანეთი. ვანხორციელებთ რა ყოველსავე ამას, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სათანადო ეფექტიურობა უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების მუშაობაში. ამასთან ერთად ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების მართვა-გამგეობა.

ეკონომიური სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების სფეროში ჩვენ უდიდესი სამუშაო გვაქვს. ჩვენ გვაქვს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო საგეგმო კომისია, უცხოეთის ბაზარზე მომუშავე ორგანოები, ფინსახკომი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი. იქ, ამხანაგებო, კადრების მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა, ვიდრე მრეწველობაში. იქ დამახინჯებანი კლასობრივი ხაზით კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობაში. იმისათვის, რომ ეს არ იყოს, ჩვენ უნდა აღვზარდოთ ამ მუშაობისათვის პატიოსანი პროლეტარები. საჭიროა, რომ პროლეტარიატმა შეითვისოს ცოდნა და მეცნიერება, მაშინ ჩვენ სავსებით თამამად ვიგრძნობთ თავს ვაჭრობასა, ფინანსებსა და მიწადმოქმედებაში.

სოფლის მეურნეობაში ამჟამად საჭიროა აგრონომის, მემანქანის, მექანიზატორის ახალი ტიპი. ერობის ძველი აგრონომები ემზადებოდნენ მიწის პატარა ნაკვეთებისათვის, ეხლა ჩვენ სხვა აგრონომები გვესაჭიროება. გვყავანან თუ არა ისინი? არა, არ გვყავანან. ჩვენ დაჩქარებული ტემპით უნდა მოვამზადოთ ისინი პრაქტიკოს-პროლეტარების ღარიბ და საშუალო გლეხების, მოწინავე ქალების და კომკავშირელების წრიდან.

ხელმძღვანელი კადრების შესახებ

აქ ჩვენ ბევრი მიღწევა გვაქვს. სწორი არ იქნება, რომ ამ მიღწევებს არ ვხედავდეთ, რომ სათანადოდ არ ვაფასებდეთ ჩვენს კადრებს. ქარხნებისა და ტრესტების სათავეში ჩვენ გვყავს მრავალი უდიდესი მუშაკი პროლეტარი, პროფკავშირულ და სხვა სამუშაოდან დაწინაურებული, უაღრესად პატიოსანი და ნიჭიერი ხალხი. თუ მათ ცოდნა აკლიათ, უნდა მიეცეთ მათ ეს ცოდნა. სამრეწველო აკადემიები უნდა მოვაწყოთ არა მარტო სამი წლით, არამედ წელიწადნახევრითაც, წლითაც, რათა სამეურნეო მუშაკს შეეძლოს ისწავლოს და ამავე დროს ქარხნის დირექტორადაც დარჩეს. ეს უნდა დავუკავშიროთ მუშათა დაწინაურების პრობლემას. დაწინაურებულ მუშებსაც უნდა ვასწავლიდეთ. თუ დაწინაურებული მუშა მცირე ცოდნით მიდის დაწესებულებაში, იგი თავს გულგატეხილად გრძნობს, იგი ვერ შესძლებს დახმარების გაწევას, მას უნდა ვასწავლოთ, აღვჭურვოთ ცოდნით და მაშინ ჩვენ მივიღებთ ძლიერ პროლეტარებს—ჩვენი სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელებს. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ კადრების საკითხებს, ჩვენ კი ამ საქმეს საკმაო ყურადღებას ვერ ვაქცევთ. ნედლეულს, ქარხნებს, აგურსა და ლითონს ყურადღება ექცევა, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებმაც მილიონები უნდა განაგონ, რომლებზედაც დამოკიდებულია—სწორად გამოიყენებენ ამ მილიონებს თუ არასწორად, ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ.

აი რისთვის პარტიის ცეკას პლენუმმა გამახვილა საკითხი კადრების შესახებ, როგორც ერთი მთავარი და მწვავე საკითხი. ამხ. სტალინი თავის წერილში „დიდი გარდატეხის წელი“ სწორად სწერდა, რომ მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს გარდატეხა მძიმე ინდუსტრიაში, დაგროვებაში და რომ ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი პრობლემა კადრებისა, პრობლემა ნამდვილად ჩვენი მშრომელი ადამიანების მომზადებისა, რომელნიც პატიოსნად იმუშავებენ სოციალისტური მშენებლობის ასპარეზზე.

ამხანაგებო, თუ ჩვენ გავაერთიანებთ პროლეტარული დიქტატურის ძალას, მეცნიერების ძალას და მრეწველობის ძალას,—ჩვენ უძლეველნი ვიქნებით. ეს ჩვენს მტრებსაც ესმით. აი რა დასწერა ერთმა ინგლისელმა „მანჩესტერ გარდიან“-ში: „რა გამოვა მეცნიერების, სახელმწიფოს და მრეწველობის ამ გაერთიანებიდან საბჭოების ქვეყანაში? სავსებით შესაძლებელია—მიუგებს იგი ამ კითხვაზე,—რომ 20 წლის შემდეგ ის უძლიერესი ქვეყანა იქნება მთელ მსოფლიოში; ამჟამად ბევრ ადგილას ამ ინტეგრაციის მხოლოდ ჩონჩხი არსებობს. მაგრამ მე მგონია, რომ იდეა არის. თუ ეს იდეა განხორციელდა, დანარჩენ მსოფლიოსათვის—სწერს ეს ჟურნალისტი (დანარჩენ მსოფლიოსთვის, ესე იგი ბურჟუაზიისათვის)—ვერაფერი სასიამოვნო იქნება იხილოს 100 მილიონ კაცზე მეტი მეცნიერულად განვითარებული, შეიარაღებული ხალხი“.

მუშათა კლასის მობილიზაცია სიძნელეთა გადასალახავად

ამხანაგებო! სოციალისტური მეურნეობის ზრდის პროცესი დაკავშირებულია უდიდეს სიძნელეებთან, რომლებიც ჩვენ უნდა გადავლახოთ და დავამარცხოთ. ეს სიძნელეები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ჩვენი მშენებლობის და რეკონსტრუქციის მეტად დაჩქარებულ ტემპთან. ჩვენ თავს ვუყრით ყველა საშუალებებს, ჩვენ ვზოგავთ თვითეულ კაპეიკს იმისათვის, რომ იგი დავაბანდოთ მეურნეობაში. მე მოვიყვანე ციფრები ბიუჯეტის გადიდების შესახებ. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბიუჯეტი დაჭიმულია, მის შესასრულებლად აუცილებელია ბეჯითი მუშაობა და მთელი რიგი დაბრკოლებების დაძლევა. მუშათა და გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილებები რევოლიუციის პერიოდში ძალიან გაიზარდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა. რევოლიუციამ გააფართოვა მშრომელთა ფართო მასების მსოფლმხედველობის არე, რევოლიუციამ გაადიდა მათი კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებები. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ ამ გადიდებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორც მასების მატერიალური მდგომარეობის და საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების, ისე მათთვის კულტურულ სამსახურის გაწევის მხრივ. მე აქ არ მოვიყვან საერთო ცნობებს, რომლებიც არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული. წელს საბინაო მშენებლობისათვის სოციალისტური სექტორის ხაზით გადადებულია 650 მილიონ მანეთზე მეტი. რეალური ხელფასი წელს გაიზარდა 3—4 პროცენტით, ნომინალური ხელფასი კი—9 პროცენტით; მომავალ წელიში, რომლის საკონტროლო ციფრებიც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რეალური ხელფასის გადიდება განზრახულია 13 პროცენტით. თავისთავად ცხადია, რომ ხელფასის ზრდა მჭიდროდ დაკავშირებულია მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმის სწორად დაყენებასთან. მუშებისათვის პურის მიწოდების საკითხი წელს მოგვარებულია. დაბრკოლებას აქვს ადგილი ხორცის, კარაქის, კვერცხის და სხვა პროდუქტების მიწოდების საქმეში. თქვენ იცით, რომ უკანასკნელ ხანებში პარტია მუშაობდა იმისათვის, რომ აღმოფხვრილი იქნეს რიგები, გაუმჯობესდეს მიმწოდებელი აპარატი და უკეთესად იქნეს დაყენებული მუშების სურსათ-სანოვაგით მომარაგება და ამ საქმეში შეტანილ იქნეს კლასობრივი მომენტი. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრია სიძნელეები. პარტია და პროფკავშირები საქმიანად უნდა მიუდგენ ყველა ამ კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც არის კომუნისტურ მშენებლობის ნამდვილი საკითხები. მრავალი მუშაკები არ ამბობენ ლამაზ სიტყვებს სოციალისტური მშენებლობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს მათ ესმით, რომ ენერგიული, დაუღალავი სისტემატიური მუშაობა კარტოფილის, კარაქის, კვერცხის და სხვ. მიწოდების საკითხის მოსაგვარებლად სოციალიზმის დიადი მშენებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მეორეს მხრივ არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც ცდილობენ კარტოფილით, კარაქით და კვერცხით შესცვალონ სოციალიზმის მშენებლობის დიადი ამოცანა და რომლებსაც დღევანდელი დღის სიძნელეების გამო სურთ უარი სთქვან ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაზე. ყველაზე უფრო ჩამორჩენილთა შორის ეს ისეთ სახეს იღებს, რომ თქვენ ლაპარაკობთ სხვადასხვა მიღწევებზე და ზრდაზე იმ დროს, როდესაც არ გვყოფნის კარაქი და კარტოფილიო. სწორედ ეს არის წვრილ ბურჟუაზიული წინდაუხედაობა და გონებრივი სივიწროვე, რომელიც იმის მაგივრად, რომ გადალახულ იქნეს ეს სიძნელეები, მოუწოდებს მათ დაემორჩილონ ამ სიძნელეებს და უარი სთქვან სოციალიზმის მშენებლობის ძირითად ამოცანაზე. ჩვენი მიღწევების ზრდა არ უარყოფს სიძნელეთა ზრდას განსაზღვრულ პერიოდამდე, მით უმეტეს, რომ სამეურნეო სიძნელეები დაკავშირებულია პოლიტიკურ სიძნელეებთან კლასობრივ ბრძოლასთან და კლასობრივ მტრის სასტიკ წინააღმდეგობასთან. არ შეიძლება მაგალითად, ვიფიქროთ, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი შეიძლება მწყობრად მიმდინარეობდეს და რომ ამა თუ იმ რაიონის საერთო კოლექტივიზაცია მოსპობს კლასებს და კლასობრივ ბრძოლას. კლასობრივი ბრძოლა ახალ ფორმებს ღებულობს, მაგრამ ამ ახალ ფორმებშიაც ის შეიძლება გამწვავდეს და მწვავდება კიდეც. ამიტომ პარტიის, პროფკავშირების და მთელი მუშათა კლასის ამოცანაა იმუშაონ სიძნელეთა აღმოსაფხვრელად არა მარტო ქალაქში, არამედ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფელსაც და მუშათა მასების იმ მოძრაობას, მუშათა ბრიგადების და შეფობის იმ მოძრაობას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ეს მოძრაობა უნდა გავაფართოვოთ, უნდა მივსცეთ მას უფრო მასიური ხასიათი ისე, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელობამ გლეხობაზე, პროლეტარიატის ხელმძღვანელობამ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროცესზე ნამდვილად ჰპოვოს თავისი კონკრეტული გამოხატულება მასიურ მრავალმილიონიან მოძრაობაში და პროლეტარის კავშირით სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის მუშაობაში.

სწორედ სოფლის და ქალაქის ამ ახალ უდიდეს ამოცანებთან დაკავშირებით დასვა პარტიამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით საკითხი პროფკავშირების,—პროლეტარული დიქტატურის ამ უმნიშვნელოვანესი ძალის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პროფკავშირებში ღვივდებოდნენ ტრედიუნიონისტურ ვიწრო ცეხურ განწყობილებებს, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენ პროფკავშირებმა თანდათან მეტი დრო უნდა მოვახმაროთ მუშების ყოველდღიურ საჭიროებათა „დაცვას“ და არ უნდა ვიკისროთ სხვა, ვითომდა, პროფკავშირებისათვის მეორე ხარისხოვანი საკითხები სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის, წარმოების აღდგენის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის განხორციელების და სხვათა შესახებ. ამ კატეგორიის პროფმუშაკებმა მუშების ყოველდღიურ საჭიროებათა დაცვის საკითხები თანდათან დაუპირდაპირეს შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს და სამეურნეო მშენებლობის მთელ პროცესს. აქედან არაჩვეულებრივად ნელი ტემპი მუშაობაში. პარტიის ყოველგვარი ცდა გამოეღვიძებია მძინარე პროფმუშაკები, გადაელახა ეს ნელი ტემპი და პროფკავშირების მუშაობის მეთოდები, ხერხები და ტემპები შეეფარდებია სოციალისტური მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საერთო ტემპისათვის, პროტესტს იწვევდა პროფმოძრაობის ჩამორჩენილ ტრედიუნიონისტურ ელემენტების მხრიდან. ისინი პროტესტს აცხადებდნენ პარტიის მიერ პროფკავშირების მუშაობაში ჩარევის წინააღმდეგ, პარტიის „მბრძანებლობის“ წინააღმდეგ. და შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ პროფმუშაკების სწორედ ეს ჯგუფები ამხ. ტომსკის მეთაურობით მემარჯვენე გადახრის დასაყრდენი შეიქნენ. თქვენ იცით, რომ პარტიამ, რომელიც ეყრდნობოდა პროფკავშირებს და მუშათა კლასს, გადალახა პროფკავშირების პარტიისათვის დაპირდაპირების ტენდენცია. საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობა, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში დაკავშირებული იყო ბოლშევიკურ პარტიასთან და მის ხელმძღვანელ ცენტრალურ კომიტეტთან, ლენინის პრინციპების ერთგული დარჩა. ჩვენს პროფკავშირებს, რომლებიც კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ, თვალსაჩინო მიღწევები აქვთ და უკვე უკანასკნელი წლის განმავლობაში დაიწყო მათი მუშაობის გაუმჯობესების პროცესი. საკავშირო პროფსაბჭომ თავის სექტემბრის მიმართვით ხელი შეუწყო მუშაობის ამ გაცხოველებასა და გაუმჯობესებას; ამ მიმართვაში სავსებით სწორად არის განსაზღვრული პროფკავშირების ამოცანები ხანგრძლივი პერიოდისათვის. მაგრამ თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას, რამდენად მივაღწიეთ ძირითად პრაქტიკულ შედეგებს პროფკავშირების მუშაობის მეთოდების გარდაქმნაში, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული, რომ მრავალ პროფმუშაკს, რომლებმაც სწორად სცნეს პარტიის ხაზი და გულწრფელად გამოვიდნენ მემარჯვენე ტრედიუნიონისტულ ელემენტების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევიათ მუშაობის ძველ ტიპებისა, ხერხების და მეთოდებისაგან და მათი ნელის ტემპით გარდაქმნისაგან. ჩვენ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ მუშათა მასა წინ უსწრებს პროფკავშირებს. პროფკავშირები მთელ რიგ საკითხებში ჯერ კიდევ კუდში მიჩანჩალებენ. ბოლო უნდა მოუღოთ უკმაყოფილების, მლიქვნელობის და ენერგიის დაქვეითების შიშს, უნდა შევცვალოთ მეთოდები, უშიშრად უნდა გამოვამჟღავნოთ ბოლომდე პროფკავშირების პრაქტიკული მუშაობის ყველა ნაკლოვანებანი, ბოლშევიკურად უნდა დავსვათ მთელი რიგი საკითხები და არ უნდა შევუშინდეთ იმას, რომ ამით შეიძლება ვაწყენინოთ ამა თუ იმ ორგანიზაციას, ან პირს. საჭიროა, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელობა არ ჩამორჩეს მასების იმ უდიდეს აღტკინებას, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ პერიოდში.

სოციალისტური შეჯიბრება, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა, მუშათა ბრიგადები, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში მონაწილეობა და მასთან დაკავშირებულ დაბრკოლებათა დაძლევა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყველა საკითხები, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, რაციონალიზაცია, მრეწველობის ტეხნიკური გაუმჯობესება, ნამდვილად რეალური მონაწილეობა ჩვენი მშენებლობის ტემპების აჩქარებაში—დაწყებული ცენტრით და გათავებული ამქრით, საწარმოო თათბირების ამავე საქმისაკენ მიმართვა, უფრო გაბედული და აქტიური მონაწილეობა მუშათა მომარაგების საკითხებში და სხვა,—ყოველივე ეს ცენტრალურ საკითხს უნდა შეადგენდეს პროფესიონალური კავშირების მუშაობაში. განსაკუთრებით საჭიროა პროფკავშირელთა კადრების კულტურული დონის ამაღლება, პროლეტართა ახალი ფენების დაწინაურება პროფმოძრაობის სამუშაოზე. თუ მოვახდენთ მთელი ჩვენი რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაციას, თუ შემოვიკრებთ ყოველი შეგნებული პროლეტარის ძალღონეს, მაშინ დავძლევთ ჩვენს წინაშე მდგომ სიძნელეებს და, ტროცკისტებისა და მემარჯვენეების წინასწარმეტყველების წინააღმდეგ, ჩვენი მეურნეობა [illegible] სწრაფი ტემპით წავა და განვახორციელებთ „ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულების“ ლოზუნგს, რომლის ირგვლივაც უფრო და უფრო ფართო მასები იკრიბებიან.

II. შინაპარტიული მდგომარეობა

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში უკვე აღვნიშნე, რომ მიღწევებთან ერთად გვაქვს უდიდესი დაბრკოლებებიც. და ამ დაბრკოლებებს ჩვენ თქვენთან ერთად წარმატებით გადავლახავთ და გადავლახავთ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია სწორი ლენინურ ხაზს ატარებს და თავის გზაზე ამარცხებს ყველა რევიზიონისტულ და ოპორტუნისტულ ოპოზიციებს პარტიის შიგნით. ჩვენ ადვილად დავამარცხეთ ტროცკიზმი. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია ტროცკიზმის კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი. საჭირო იყო ჩვენი პარტიის უდიდესი ლენინური გამობრძმედილობა, რომ წარმატებით დაგვეძლია ტროცკიზმი და შეგვენარჩუნებინა პარტიის რიგების მთლიანობა. მაგრამ ჩვენი პარტიის რიგებში ახლაც შესაძლებელია ერთნაირი, ნახევრად ტროცკისტული რეციდივები. ნახევრად ტროცკისტები ჯერ კიდევ ცდილობენ გასწიონ ერთგვარი მუშაობა პარტიის შიგნით. ტროცკი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ურჩევდა თავის თანამებრძოლებს—გამძვრალიყვნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, განსაკუთრებით კი შეჭრილიყვნენ კომკავშირში, „კომსომოლსკაია პრავდა“-ში, კომკავშირის აპარატში. ტროცკის ჯერ კიდევ იმედი აქვს, იგი ჯერ კიდევ ოცნებობს, რომ შესძლებს კომკავშირი პარტიის დაუპირისპიროს, ახალგაზრდობა დაუპირისპიროს ძველ გვარდიას. თქვენ იცით, რომ ტროცკისტები და ნახევრად ტროცკისტები ჩვენში მეტად არასახარბიელო გავლენით სარგებლობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთი, მერყევი ელემენტი, განსაკუთრებით კომკავშირის რიგებში, არ წამოეგება ასეთ ანკესზე. კომკავშირმა თავი იჩინა, როგორც საუკეთესო მებრძოლმა ორგანიზაციამ, რომელიც პარტიასთან ერთად და პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის ლენინის ხაზის დასაცავად. ნახევრად ტროცკისტული განწყობილების გამოაშკარავების ნიმუშად პარტიაში და კომკავშირში ჩაითვლება ეგრედწოდებული „მემარცხენე“ განხრა, რომელიც აღმოაჩნდათ ისეთ ამხანაგებს, ვისგანაც თითქოს ეს მოსალოდნელი არ იყო. პარტიამ მათ წინააღმდეგ აამოქმედა ბოლშევიკური ტყვია-წამალი და ახლა მის შედეგად შაცკინმა, სტენმა და სხვებმა აღიარეს, რომ მათ მართლაც შეცდომები დაუშვეს. მათ სურდათ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა და თვით ჩავარდნენ ოპოზიციაში ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ასეთი განწყობილების რეციდივი, ცხადია, კიდევ იქნება.

გაკოტრებულ მემარჯვენეების პლატფორმა

ტროცკიზმის და „მემარცხენე“ განხრის ნაშთებთან ბრძოლის გაგრძელებასთან ერთად ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამჟამად მთავარ საფრთხედ რჩება მემარჯვენე საფრთხე. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, არ გავიმეორო აქ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ისტორია. თქვენ ძალიან კარგად იცით ეს ისტორია. ისიც ცნობილია, რომ მემარჯვენეები აწარმოებდნენ ფრაქციულ ბრძოლას. სამრეწველო აკადემიის უჯრედის წმენდის დროს [illegible], სამრეწველო აკადემიის მსმენელმა, დაწვრილებით [illegible] ამბო, რომ [illegible] სპეციალური კრებები და სხვა. საერთოდ, ეს ხალხი, როგორც იტყვიან დაიჭირეს ქურდობის ადგილას.

მემარჯვენეებმა წელიწად ნახევრის განმავლობაში იბრძოლეს პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, იმ სოციალისტური გარდაქმნის ტემპების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენი პარტია ატარებდა ცხოვრებაში. მემარჯვენე გადახრის ძირითადი შინაარსი იყო და არის ის, რომ მემარჯვენეები შეაშინა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებმა და მათ იწყეს ამ სიძნელეთა გადალახვის რეცეპტების ძებნა არა კლასობრივი მტრის—კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის, არა კაპიტალისტური ელემენტების შემცირების და შესუსტების, არა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის უფრო და უფრო გაძლიერების გზით, არამედ კულაკების წინაშე დათმობის, მისთვის განვითარების შესაძლებლობის მიცემის და პროლეტარიატის ამ მტრული ელემენტის ჩვენს სისტემაში მშვიდობიანი შეზრდის ილუზიის შექმნის გზით. ეს თავიანთი უკან დახევა მათ მიაფუჩეჩეს კაპიტალისტური ელემენტების, კულაკების ძალის დაპატარავებით და დაბრკოლებათა გაზვიადებით, ე. ი. ისინი მიმართავდნენ და მიმართავენ იმ მეთოდებს, რომლებსაც მიმართავს ყოველი ბრძოლის ველიდან გაქცეული მხდალი ოპორტუნისტული ოპოზიცია. ასე იქცეოდა ოპორტუნისტული ოპოზიცია ოქტომბრის რევოლიუციის დროს, როდესაც იგი ოქტომბერში აზვიადებდა ხელისუფლების დაპყრობის სიძნელეებს, სთესდა ილიუზიებს დამფუძნებელი კრების და პროლეტარიატის დიქტატურაზე მშვიდობიანი გადასვლის შესახებ, გადამწყვეტი ბრძოლის დროს უკან ახევინებდა პარტიასა და პროლეტარიატს, აშინებდა მას სიძნელეებით. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება დაკავშირებული იყო სიძნელეებთან, მაგრამ ამ სიძნელეთა დაძლევით და ბრძოლის საშუალებით ჩვენ მოვიპოვეთ პროლეტარიატის დიქტატურა. ახლანდელ ისტორიულ პერიოდშიც სიძნელეთა დაძლევის და კულაკთან [illegible] ბრძოლის გზით თანდათან ვიპყრობთ პოზიციებს სოციალისტური მშენებლობის მთელ პროცესში.

მემარჯვენეები მოგვიწოდებდნენ და მოგვიწოდებენ არა ბრძოლისაკენ, არამედ კაპიტალისტურ ელემენტებთან მშვიდობიანად ცხოვრებისაკენ. იგივე, როგორც ოქტომბრის დღეებში ჩვენი პარტიის შიგნით მყოფ ოპორტუნისტებს არ მიჰყავდათ ბოლომდე კლასობრივი ბრძოლის იდეა, ე. ი. არ მიდიოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე და ნაძალადევ რევოლიუციამდე, ისე დღესაც ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებს არ მიჰყავთ ბოლომდე კლასობრივი ბრძოლის იდეა და იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა, ე. ი. არ მიდიან გადამწყვეტ ბრძოლამდე კლასობრივ მტერთან სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. და აი, წლინახევრის განმავლობაში პარტია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა კულაკის და ნეპმანის წინააღმდეგ. პარტიამ და პროლეტარიატმა უდიდესი მიღწევები მოიპოვეს. ეს მიღწევები შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ იმ მემარჯვენე გადახრის დაძლევით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩვენი პარტიის მთელ პოლიტიკას, რომელიც

ნასწარმეტყველებდა დამარცხებას, გვიწინასწარმეტყველებდა ამ პოლიტიკის მძიმე შედეგებს. ბუნებრივია, რომ ამ პლენუმზე, რომელიც ჯამს უკეთებს განვლილ პერიოდს, საკითხი მწვავედ წამოიჭრა—ან თქვენ რჩებით თქვენს ძველ პოზიციაზე პარტიის წინააღმდეგ ან ხელს იღებთ ბრძოლაზე, სცნობთ სწორად მხოლოდ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხაზს და პრაქტიკას და აგრძელებთ მუშაობას ამ ხაზის და ამ პრაქტიკის საფუძველზე. და აი უნდა გითხრათ, რომ მემარჯვენეები ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არ დაადგნენ ნამდვილ ბოლშევიკურ გზას, მემარჯვენეებმა არ აღიარეს თავიანთი ძირითადი შეცდომები, მემარჯვენეები არსებითად დარჩნენ თავიანთ ძველ პოზიციაზე და ეს ძველი პოზიცია ოპორტუნისტულად მიჩქმალეს.

ამხანაგებო! ჩვენმა პარტიამ და მისმა ც. კ-მა, რომლებიც გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, საკმაოდ კარგად იციან ოპორტუნისტული ოპოზიციის უკან დახევისა და შეტევის მანევრები, ჩვენ ვიცით, რომ როდესაც ოპოზიციები მარცხდებიან. ისინი იძულებულნი ხდებიან თავიანთი ოპორტუნიზმი დამალონ, ჯერ ერთი, მთლიანობაზე ლაპარაკით, მეორე—ზოგიერთი შეცდომის აღიარებით, მესამე—ლენინიზმის ერთგულებით, გენერალური ხაზის ერთგულებით, პროლეტარული დიქტატურის სიძლიერის და სიმტკიცის აღიარებით (ზოგადი სიტყვებით) და სხვ. ნამდვილად კი ისინი რჩებიან თავიანთ ძველ ოპორტუნისტულ პოზიციაზე, რომელსაც ამაგრებენ ამ ახალი, ვითომდა უკან დახევის მანევრებით, რათა დაიწყონ ახალი შეტევა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს მემარჯვენე ოპოზიციას ც. კ-ის ნოემბრის პლენუმზე. პირდაპირი, მკაფიო, ბოლშევიკური პასუხის მაგივრად, ნაცვლად მკაფიო განცხადებისა—„ჩვენ შევცდით, ცხოვრებამ დაამტკიცა ც. კ-ის ხაზის და პრაქტიკის სისწორე, ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს შეცდომას"—ასეთი განცხადების ნაცვლად, მემარჯვენეების ოპორტუნისტულმა ოპოზიციამ ყველა ამგვარი წინანდელი ოპოზიციების არსენალიდან გამოიყენა ყველა ძველი, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი მეთოდები. მემარჯვენეებმა პლენუმზე ჯერ ერთი, აღიარეს უკანასკნელი პერიოდის უდიდესი მიღწევები, რომლებსაც საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მეორე—მათ განაცხადეს, რომ ჩვენი ძირითადი უთანხმოება ეხებოდა საგანგებო ზომებს. ჩვენ საგანგებო ზომების წინააღმდეგი ვიყავით, რადგან იმავე შედეგების მიღწევა შეიძლებოდა უფრო უმტკივნეულო გზით; ამავე დროს ჩვენ შემცდარად ვთვლით ზეგავლენის მოხდენის ყველა იმ საშუალების სათანადოდ არ შეფასებას, რომლებიც პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია. მესამე—ჩვენ არა ვართ მემარჯვენეები, ჩვენ ტყუილად გვდებენ ბრალს მემარჯვენეობაში, ჩვენ ვიცავთ გენერალურ ხაზს. ინდუსტრიალიზაციის ტემპს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხ. როგორც წესი და რიგია, მემარჯვენეები თავდაცვის სტრატეგიას უკავშირებენ შეტევის სტრატეგიას და აქვე გადადიან შეტევაზე: ჩვენ არათანასწორ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს, ჩვენ მოგვაწერეს შემცდარი ბრალდებანი და სხვადასხვა. მემარჯვენეების ამ პოზიციაში უნდა გავარჩიოთ ორი მომენტი. პირველი —ერთგვარი ნახევრადკაპიტულაცია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შეფასებაში. სინამდვილის გარდაუვალი ფაქტების ზეგავლენით ისინი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. მეორეს მხრივ კი მათ არსებითად შექმნეს ახალი პლატფორმა ც. კ-ის ხაზის, პარტიის ხაზის წინააღმდეგ გასალაშქრებლად უახლოეს ხელსაყრელ მომენტში. ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ ეს ხალხი ყველაფერზე უარს აცხადებს—„მე არ ვარ მეო", ჩვენ არ ვართ მემარჯვენეებიო და სხვა; მათ კრინტიც არ დაძრეს იმ ბრალდებათა შესახებ, რომლებიც მათ წაუყენეს ჩვენს პარტიას და ც. კ-ს. ეს ბრალდებებია: გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაცია, ტროცკისტული რეჟიმი პარტიაში და პარტიის ხელმძღვანელობაში, კომინტერნის შემცდარი პოლიტიკა, განხეთქილების და გათიშვის პოლიტიკა კომინტერნის შიგნით. ც. კ. და მთელი პარტია მოითხოვდნენ და მოითხოვენ პატიოსან და პირდაპირ პასუხს: თუ თქვენ პატიოსნად, გულწრფელად იცავთ პარტიის გენერალურ ხაზს, თუ თქვენ ახლა მანევრით არ ფარავთ თქვენს უკან დახევას, მაშინ თქვენ პატიოსნად და გარკვევით უნდა სთქვათ: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაბრალებდით პარტიას, შემცდარი აღმოჩნდა. ჩვენ შევცდით, ჩვენ უკან მიგვაქვს ყველა ბრალდებები". ნაცვლად ამისა, ჩვენ პლენუმზე მივიღეთ თვალთმაქცური მტკიცება, რომ ისინი იცავენ პარტიის გენერალურ ხაზს და ძალაში სტოვებენ მემარჯვენეთა ყველა წინანდელ დოკუმენტებს, ყველა წინანდელ განცხადებებს, ყველა წინანდელ პლატფორმებს, ყველა იმ ბრალდებებით პარტიის წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი აყენებდნენ. განვიხილოდ ეს ბრალდებანი ძირითადი პუნქტების მიხედვით.

ინდუსტრიალიზაციის ტემპებისა და სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ

ახლა მემარჯვენეები აღიარებენ უდიდეს მიღწევების არსებობას. ახლა ისინი გვეთანხმებიან იმაში, რომ ჩვენ შევედით მშენებლობის ახალ ხანაში, რომელსაც საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა აქვს და რომელიც ამტკიცებს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი წარმატებით აშენებს სოციალიზმს და წარმატებით იბრძვის სამეურნეო ფრონტზე. მაგრამ ჯერ კიდევ ერთი წლის წინად მემარჯვენეები „გვიწინასწარმეტყველებდნენ" სამეურნეო კრიზისის აუცილებლობას. მემარჯვენეები მაშინ ამბობდნენ, რომ სახიფათო მოვლენები მეურნეობაში იზრდებიან, რომ პურეულის დამზადების საკითხი ერთ წერტილზე გაიყინა და წინ არ მიდის: მემარჯვენეებს პანიკური შიში იპყრობდა და ისინი გაჰკიოდნენ, რომ „ჩვენში მეტად მძიმე მდგომარეობაა". მემარჯვენეები მოსთქვამდნენ იმის გამო, რომ პროლეტარული დიქტატურის მე-12 წლის თავზე სოციალისტური მშენებლობის დიდი წარმატების პირობებში ჩვენ შემოვიღეთ პურის ბარათების სისტემა. მემარჯვენეები არ ზოგავდნენ საღებავებს მძიმე და თითქმის გამოუვალ მდგომარეობის (მათი აზრით) დასახატავად. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენში ნახევრად შიმშილობაა მთელ რიგ რაიონებში, რომ ჩვენში ადგილი აქვს ნედლეულის ნაკლებობას, სამრეწველო საქონლის მწვავე სიმცირეს და ინფლაციის ნიშნებს. ასე ლაპარაკობდნენ მემარჯვენეები ერთი წლის წინად. დღეს კი ისინი აღიარებენ მიღწევებს. რასაკვირველია, მემარჯვენეები ვერ ბედავენ ახლა გაიმეორონ ის სასაცილო წინასწარმეტყველება, რომლითაც ისინი ერთი წლის წინად გამოდიოდნენ. მაგრამ რატომ არ იტყვიან ისინი ახლა პირდაპირ, რომ პურის, [illegible] და საერთო მდგომარეობის შეფასებაში ისინი შესცდნენ? რატომ არ გამოდიან ისინი პატიოსნად, ბოლშევიკურად ტრიბუნაზე და არ ამბობენ: „ამხანაგებო, შარშან, როდესაც ჩვენ ანალიზი გაუკეთეთ მდგომარეობას, ჩვენ ის მეტად მძიმედ ვსცანით, დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ შევცდით". ერთი შეხედვით საჭირო იყო, რომ ისინი ასე მოქცეულიყვნენ ბოლშევიკური პარტიაში, მაგრამ ისინი ამას არა შვებიან და ფიქრობენ, რომ თავს დააღწევენ შექმნილ მდგომარეობას ბუნდოვანი განცხადებებით.

მემარჯვენეები 1929 წლის ნოემბერში აცხადებენ, რომ ისინი გადაჭრით იცავენ ინდუსტრიალიზაციის აღებულ ტემპებს, რომ ისინი არ ილაშქრებდნენ ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპების წინააღმდეგ. მაგრამ გაიხსენით რას სწერდა ბუხარინი ერთი წლის წინად: „ვუკეთებთ რა საერთო ჯამს,—სწერდა ამხ. ბუხარინი „ეკონომისტის შენიშვნებში",—უნდა ვსთქვათ: 1) საერთო და სასაქონლო პროდუქციის ძირითად ფონდებში ინდუსტრიის განვითარების ტემპი ძალიან წინ უსწრებს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს"... „სწორედ ვსცნობთ რა სიმძიმის ცენტრის გადატანას წარმოების იარაღების დამზადებაზე, ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის საშიშროება, რომელიც მოსდევს სახელმწიფო კაპიტალის დაბანდებას მსხვილ მშენებლობაში; წარმოების იარაღების დამზადება თავს იჩენს ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ". (გვ. 39—50, გამომც. „პრავდა"). იმ დროს, როდესაც ჩვენ უდიდესი მშენებლობა განვავითარეთ, როდესაც ვაშენებთ „დნეპროსტროის", უდიდეს სატრაქტორო ქარხნებს, ამხ. ბუხარინი აცხადებს, რომ საჭიროა „მხედველობაში მივიღოთ სახელმწიფო კაპიტალის მსხვილ მშენებლობაში დაბანდების საშიშროება". 1920 წლის იანვარში მემარჯვენეები ფიქრობდნენ, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით შევამციროთ იმპორტი და წინანდელი საწარმოო პროგრამები. რატომ არ გამოდიან ახლა მემარჯვენეების ბელადები და არ ამბობენ: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ იძულებული ვიქნებოდით შეგვემცირებინა საწარმოო პროგრამები, შეგვენელებინა ინდუსტრიალიზაციის ტემპი, დღეს კი ვხედავთ, რომ ვცდებოდით". ისინი კი ამის ნაცვლად აცხადებენ—არასოდეს არ ვიყავით აღებული ტემპების წინააღმდეგი. გაიხსენეთ ამხ. ბუხარინის წინასწარმეტყველება აგურისა და სხვა საშენებელი მასალის შესახებ, როდესაც ის ფიქრობდა, რომ „უაზროა ასიგნობების გაცემა, თუ არ არის (და არც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში დამზადდეს) საშენებლო მასალა. რითი დამთავრდა ეს წინასწარმეტყველება აგურის შესახებ? კრახით. ჩვენ არა თუ არ შეგვიმოკლებია ჩვენი გეგმები, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულეთ ისინი. იმავე აგურის დამზადება, განზრახული 29 პროცენტის ნაცვლად, გადიდებულ იქნა 70.8 პროცენტით. თქვენ ალბათ იცით აგრეთვე, რომ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების დროს მემარჯვენეები წინადადებას იძლეოდნენ ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში შემუშავებულიყო ორი გეგმა: ერთი გეგმა უახლოესი ორი წლისათვის, რომელშიაც უპირატესობა მიეცემოდა სოფლის მეურნეობას და არა ინდუსტრიალიზაციას, მეორეში კი უნდა შემუშავებულიყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმა.

პური და პარტიის პოლიტიკა სოფლად

განსაკუთრებით საინტერესოა მემარჯვენეების ახლანდელი და წინანდელი განცხადებების დაპირდაპირება ამ საკითხში.

გასული სამეურნეო წლის დასაწყისში მემარჯვენეები შეიპყრო პანიკურმა შიშმა იმ სიძნელეების წინაშე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პურის დამზადების საქმეში. მემარჯვენეები ბრალს გვდებდნენ და ამბობდნენ: იმ დროს, როდესაც ქვეყანა იტანჯება პურისა და სურსათ-სანოვაგის მომარაგების საკითხებით, პარტია უდარდელად და ოპტიმისტურად უყურებს შექმნილ მდგომარეობას. ჯერ კიდევ გაზაფხულზე, მემარჯვენეები გვიწინასწარმეტყველებდნენ, რომ პურის პრობლემა უახლოეს ხანში ჩვენს წინაშე დაისმება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, რომ შემოდგომაზე კვლავ წამოიჭრება საკითხი, თუ როგორ მოვიქცეთ—შემოვიტანოთ პური თუ მივიღოთ საგანგებო ზომები. ჩვენმა ყოვლის მცოდნე წინასწარმეტყველებმა წამოაყენეს მაშინ „უებარი" საშუალება—პურის შემოტანა.

მემარჯვენეები ბრალს გვდებდნენ პერსპექტივის უქონლობაში, ისინი გვეკითხებოდნენ, რა იქნება შემდეგო. კარგი,—ამბობდნენ ისინი,—დღეს ჩვენ ზეგავლენის ყოველგვარი საშუალებით დავამზადეთ პური ერთი დღისათვის. რა იქნება ხვალ, ზეგ, რა იქნება შემდეგ? შეუძლებელია პოლიტიკის განსაზღვრა მხოლოდ ერთი დღისათვის, როგორია თქვენი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? ნამდვილად კი, როგორც ვიცით, აღმოჩნდა, რომ სწორედ მემარჯვენეების პოლიტიკა იყო ერთი დღის პოლიტიკა. პარტიამ და მუშათა კლასმა იცოდნენ, თუ რა იქნება შემდეგ, ისინი ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას, რის შედეგადაც ჩვენ წარმატებით გამოვედით პურის კრიზისიდან. 15 ნოემბრისათვის მარცვლეულის დამზადების გეგმა შესრულებულია 92 პროცენტით. ამჟამად უკვე დამზადებული გვაქვს 11.217.600 ტონა მარცვლეული. შარშან კი ამ დროს დამზადებული იყო—4.329.600 ტონა. პროლეტარულ სახელმწიფოს აქვს ხელუხლებელი სათადარიგო ფონდი 1.476.000 ტონის რაოდენობით, რა არის ეს? გაგვცენ ამაზე პასუხი ამხ. ბუხარინმა და მისმა თანამოაზრეებმა. ისინი გვიწინასწარმეტყველებდნენ, რომ ჩვენში მოხდებოდა შიმშილი, კრიზისი, რომ ჩვენ იძულებულნი ვიქნებოდით, უცხოეთიდან შემოგვეტანა პური. როგორ შეიძლება ახლა იმის თქმა, რომ ისინი არასოდეს არ გვიწინასწარმეტყველებდნენ პურის შემოტანის აუცილებლობას!

თქვენ იცით, რომ მემარჯვენენი ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, ვითომ ჩვენში ხდება სოფლის მეურნეობის დეგრადაცია. ეხლა მემარჯვენენი ამას უარჰყოფენ და იმასაც კი ამბობენ, რომ არასოდესაც არ ულაპარაკნიათ სოფლის მეურნეობის დეგრადაციაზე. მაგრამ თქვენ იცით, რომ ჯერ კიდევ წარსულ ზამთარს ამხ. რიკოვი აცხადებდა, რომ პარტიასთან და მის ცენტრალურ კომიტეტთან მათ ჰქონდათ უთანხმოებანი სოფლის მეურნეობის საკითხის ირგვლივ, მემარჯვენეებს მაშინ მიაჩნდათ, რომ იმ პროცესს, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობაში ხდება და რომელიც პარტიამ დაახასიათა, როგორც ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ღრმა და ხანგრძლივი მიზეზები აქვს, რომ ამ მხრივ ჩვენ განვიცდით ხანგრძლივ კრიზისს, რომლის ხანგრძლივობაც რამდენიმე წლით უნდა გაიზომოს. ამიტომ გეკითხებით: თქვენ ან აღიარებთ, რომ სცდებოდით, როდესაც ამბობდით, რომ ჩვენ ხანგრძლივი კრიზისი გვაქვს, ან უნდა სთქვათ, რომ თქვენ ძველ პოზიციაზე სდგეხართ და რომ ჩვენში ხდება სოფლის მეურნეობის დეგრადაცია.

ცხოვრებამ გააბათილა მემარჯვენეთა წინასწარმეტყველებანი. მიმდინარე წელს ნათესი სივრცე გადიდდა 4,5 პროცენტით. მომავალ წელს ნათესი სივრცე კიდევ უფრო გადიდდება, განსაკუთრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის შეფასებაში, ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხში, პურის საკითხში და სოფლის მეურნეობის დეგრადაციის საკითხში მემარჯვენე ლიდერებს დავთრები აერიათ. ისინი გაკოტრდნენ და ეს გაკოტრება თვალსაჩინოა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მემარჯვენე ლიდერებს არ სურთ გამოტყდნენ ამაში მთელი პარტიისა და პროლეტარიატის წინაშე.

მემარჯვენენი ილაშქრებდნენ კოლექტივიზაციის აღებული ტემპების წინააღმდეგ პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საწარმოო დაკავშირების ახალი ფორმების წინააღმდეგ, კულაკთან შეურიგებელი ბრძოლის წინააღმდეგ. მემარჯვენენი ბრალსა სდებდნენ პარტიას გლეხობის სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაში და იმაში, ვითომ პარტიის პოლიტიკა იწვევს პროლეტარიატის კავშირის გაწყვეტას გლეხობასთან.

მემარჯვენეებს არ ესმოდათ და ვერ აფასებდნენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენ ამ დარგში მოგვეპოვება, ისინი ფიქრობდნენ, რომ „საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები პურის საჭირო რაოდენობას მოგვცემენ 5—10 წლის შემდეგ, ჩვენ კი პურის საკითხი ეხლავე უნდა მოვაგვაროთო".

1929 წლის ზამთარში მემარჯვენენი ანვითარებდნენ თეორიას იმის შესახებ, რომ პურის ნაკლებობა გამწვავდება, თუ ჩვენი პოლიტიკის ყველა წარმატებას მხოლოდ კოლმეურნეობრივი მოძრაობის წარმატებებთან დავაკავშირებთო, ვითომ უბრალო არითმეტიკული გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ უახლოეს წლებში ისინი (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები) ვერ შესძლებენ გადაიქცნენ პურის ძირითად წყაროდ.

რა გვაქვს ამჟამად? ჩვენ ამჟამად მოვაწყვეთ 55 უდიდესი საბჭოთა მეურნეობა და 100.000-მდე კოლმეურნეობა. ინდივიდუალურ საშუალო გლეხურ სექტორს ჯერ კიდევ სერიოზული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უდიდეს ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მარცვლეული პურის სასაქონლო პროდუქციამ ამ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 1930 წელს უნდა შეადგინოს 656.000 ტონაზე მეტი, ე. ი. მთელი მარცვლეული პურის სასაქონლო პროდუქციის 50 პროცენტზე მეტი. რას მოასწავებს ეს? ეს მოასწავებს ჩვენი პარტიის უდიდეს გამარჯვებას და მემარჯვენეთა დამარცხებას, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ კოლმეურნეობები მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ მოგვცემენ პურის საკმაო რაოდენობას. რატომ არ აცხადებენ ამის შემდეგ მემარჯვენენი: „ჩვენ შევცდით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ გადაიქცეოდნენ სასაქონლო პურის ახალ წყაროდ, გამოვიდა კი, რომ უკვე 1930 წელს კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების საშუალებით ჩვენ 656.000 ტონა პურს მივიღებთ". ვინღა დაიჯერებს ახლა, რომ მემარჯვენეთა ლიდერები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უჭერდნენ მხარს, როგორც დღეს სცდილობენ ამის დამტკიცებას. ჩვენ, ლენინის პარტიას, შეგვიძლია დოკუმენტებისა და ფაქტების გარჩევა და ცარიელ სიტყვაზე არავის დავენდობით.

კოლმეურნეობრივი მოძრაობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო გლეხები მასიურად შედიან კოლმეურნეობებში. რომ ეს სწორედ ასეა, ამას ამტკიცებენ სოფლის საერთო კოლექტივიზაციის ფაქტები, მრავალი რაიონის განცხადებები.

უკანასკნელ დრომდე მემარჯვენეებს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის გადამწყვეტ ფორმად საქონლის ბრუნვა მიაჩნდათ. ამხ. ბუხარინი იანვარში წარმოთქმულ სიტყვაში „პოლიტიკური ანდერძი" ამბობდა: „ლენინი გვასწავლიდა — დავაინტერესოთ გლეხი მის საკუთარ სარგებლიანობაში და ამ საფუძველზე კოოპერატიული ბრუნვის საშუალებით, კოოპერაციის საშუალებით წავიყვანოთ იგი სოციალიზმისაკენ. ხოლო იმისათვის, რომ კოოპერაციამ სოციალიზმამდე მიგვიყვანოს, საჭიროა განვითარებული კოოპერაცია, რისთვისაც უნდა ვივაჭროთ არა აზიურად, არამედ ევროპიულადო".

თქვენ ხედავთ, თუ როგორ ლიბერალურ სამოსელში გაახვია ამხ. ბუხარინმა ლენინი და წაართვა მას მთელი მისი რევოლიუციონური დიალექტიკა. საეჭვოა შემთხვევით აიხსნას ის, რომ ამხ. ბუხარინს 1928 წლის იანვარში ლენინის კოოპერატიულ გეგმაში კოლმეურნეობები გამორჩა.

კიდევ უფრო გვიან ამხ. ბუხარინი იმ აზრს ანვითარებდა, რომ საბაზრო ურთიერთობის ფორმა ჩვენში ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებსო. საბაზრო ურთიერთობის ფორმა დიდხანს იქნება ეკონომიური კავშირის გადამწყვეტი ფორმაო. გადამწყვეტი! როგორ ხაზგასმით ამბობდა ამას?! აქედან კი მას ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ თუ სოციალიზმის განვითარება მიდის საბაზრო ურთიერთობის გზით, ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის საბაზრო ბრუნვის გზით, მაშინ ძირითადი ხაზი ჩვენი დაკავშირებისა ჩვენს მეურნეობაში საბაზროა და ჩვენი ხელმძღვანელი ეკონომიური როლი უნდა ხორციელდებოდეს საბაზრო ურთიერთობათა გზით, ე. ი. საქონელთა ბრუნვის გაშლის გზით. თქვენ ხედავთ, რომ ბუხარინი, რომელიც ამახინჯებს ლენინს, ხაზს უსვამს პროლეტარიატისა და გლეხობის დაკავშირების საბაზრო ფორმების მნიშვნელობას და დაკავშირების ამ ფორმას იგი უპირისპირებს დაკავშირების საწარმოო ფორმებს—მსხვილი ინდუსტრიისა და კოლექტივიზაციის გზით დაკავშირების ფორმებს. მეტიც, ბუხარინი აღშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამო, თითქოს ჩვენ ვახორციელებდით ისეთ სხვადასხვა „ღონისძიებებს", რომელნიც ნაძალადევად ამცირებენ საქონელთბრუნვას, რომელნიც წარმოადგენენ უშუალო ადმინისტრატიული ზეგავლენისა და მბრძანებლობის ფორმას. ამრიგად, ბუხარინი იქამდე მიდიოდა, რომ ქადაგებდა საქონელთბრუნვის მოწესრიგებაზე ხელის აღებას, ე. ი. როგორც თითონ ამბობდა, მიჰყვებოდა საბაზრო სტიქიის ტალღებს. როდესაც წარსულში ასეთი აზრებით გამოდიოდნენ, რატომ არ უნდა გამოვიდნენ ამხ. ბუხარინი, ტომსკი და რიკოვი 1929 წლის ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და რატომ არ უნდა განაცხადონ: „იცით რა, ამხანაგებო, როდესაც ბუხარინი ლაპარაკობდა საქონელთბრუნვაზე, როგორც გადამწყვეტ ფაქტორზე, იგი სცდებოდა, ეს კი არ არის გადამწყვეტი, არამედ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს დაკავშირების საწარმოო ფორმა (ინდუსტრია, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კონტრაქტაცია), ჩვენი სახელმწიფოს ამოცანაა ვაჭრობის მოწესრიგება სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის". რატომ პატიოსნად არ უნდა სთქვან: „ჩვენ ყოველსავე ამას უარვყოფდით და ვცდებოდითო". ასეთი პირდაპირი გამოსვლის ნაცვლად, მემარჯვენეებს ახლა სურთ დაგვაკმაყოფილონ განცხადებით, რომ მათი ძველი ფორმულები მოძველდა და რომ ამ ფორმულებს ისინი დაჟინებით აღარ იმეორებენ. თავიანთი შეცდომების გულახდილად აღიარების ნაცვლად, მემარჯვენენი სცდილობენ გაამართლონ ბუხარინის ეს თეორია იმით, რომ ეს თეორია შექმნილი იყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების „გახსნამდე" და რომ საკითხი საბაზრო ურთიერთობათა შესახებ მხოლოდ ახლა დაისვა ახალი სახით. რა თქმა უნდა, სწორი არ არის იმის მტკიცება, რომ კავშირის საბაზრო ფორმები განვლილი ეტაპია: ვაჭრობას და საქონელთბრუნვის განვითარებას კიდევ რჩება განსაზღვრული როლი. მაგრამ უპირატესობა უფრო და უფრო ეძლევა სოფელთან დაკავშირების საწარმოო ფორმებს. მემარჯვენენი ახლა ამტკიცებენ—პარტია რომ ჩვენს ხაზს დასთანხმებოდა ჩვენ შევსძლებდით უფრო ნაკლებ მტკივნეული გზით მიგვეღწია სასურველი შედეგებისათვის, ვიდრე ახლაო. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ — ისინი მზად არიან აღიარონ, რომ ისინი რამდენადმე შემცდარად აფასებდნენ სოფელზე ზეგავლენის იმ მძლავრ ბერკეტებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ანაზღაურებენ საგანგებო ზომების უარყოფით მხარეებს. როგორ უნდა შევაფასოთ ასეთი განცხადებები? ეს ამხანაგებო, რაღაც კაუჩუკია! პირდაპირ ხანდრილაა! (სიცილი). საითაც გინდა, იქით გასწევ. კრიზისი რომ დამდგარიყო, ისინი გვეტყოდნენ: „ჩვენ ხომ მაინც ვამბობდითო" და სხვ. ახლა კი იმისათვის, რომ პარტია შეცდომაში შეიყვანონ, ისინი აღიარებენ და ამბობენ: „ჩვენ ცოტა შევცდით, მაგრამ მთავარი საგანგებო ზომებია. თქვენ რომ ჩვენთვის დაგეჯერებინათ, ახლანდელ წარმატებებს ნაკლებ მტკივნეული გზით მივაღწევდითო". მემარჯვენეებს არ ესმით ძირითადი განსხვავება წარსული წლების საგანგებო ზომებსა და მიმდინარე წლის საგანგებო ზომებს შორის. თუ გასული წლის საგანგებო ზომები უმთავრესად ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებს წარმოადგენდნენ მიმდინარე წელს ეს არის ღარიბ და საშუალო გლეხთა ორგანიზაციების მასიური მოძრაობა კულაკთან ბრძოლაში. როდესაც მემარჯვენენი აცხადებენ, რომ ისინი საგანგებო ზომების სისტემის წინააღმდეგნი არიან, მათ არ ესმით, რომ ის, რაც იყო მიმდინარე წელს, არის ორგანიული შემადგენელი ნაწილი პროლეტარულ სახელმწიფოს ზომების მთელი სისტემისა კულაკთან ბრძოლაში, რომ ეს ზეგავლენა კულაკზე მჭიდროდ დაკავშირებული იყო პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელ რიგ ორგანიზაციულ - პოლიტიკურ ზომებთან კულაკის იზოლიაციისათვის.

სწორეთ ამ ზომების წყალობით არ მოხდა განხეთქილება საშუალო გლეხთან, რასაც გვიწინასწარმეტყველებდნენ მემარჯვენეები. მაგრამ საკითხავია, სად გაჰქრა მათი წინანდელი ბრალდება პარტიის მიმართ „გლეხობის სამხედრო - ფეოდალური ექსპლოატაციის" შესახებ? გვითხრან მათ პატიოსნად — კვლავ სდებენ თუ არა ისინი პარტიას ბრალს გლეხობის სამხედრო - ფეოდალურ ექსპლოატაციაში". ამხ. ბუხარინი ფიქრობდა, რომ ფაქტიურად ჩვენს შემდგომ პოლიტიკას სოფლად განსაზღვრავს „ხარკის" ლოზუნგი, ე. ი. გლეხობის სამხედრო - ფეოდალური ექსპლოატაცია. მემარჯვენეების ბელადები გასული წლის ზამთარში ბრალს სდებდნენ პარტიას პროლეტარიატისა და გლეხობის სოციალური ურთიერთობის შემცდარ, ანტი-ლენინურ, ანტიმარქსისტულ დახასიათებაში, რასაც აუცილებლად ზედმეტი დაბეგვრისაკენ მივყავართ, რაც ძირს უთხრის მუშებისა და გლეხების კავშირს. მემარჯვენეების ბელადები პარტიის ხაზს ახასიათებდნენ, როგორც გლეხობის სამხედრო - ფეოდალურ ექსპლოატაციის ხაზს, როგორც ისეთ ხაზს, რომელიც ძირს უთხრის მუშებისა და გლეხების კავშირს.

თქვენ კარგათ იცით, რომ პარტია არ ახორციელებს გლეხობის სამხედრო - ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკას, რასაც მემარჯვენეები აბრალებდნენ პარტიას. თქვენ იცით, რომ ჩვენ გლეხებს ვაძლევთ ტრაქტორებს, სამრეწველო საქონელს და სასოფლო - სამეურნეო მანქანებს; ყოველწლიურად სოფელს უფრო და უფრო მეტ საქონელს ვაძლევთ. ორში ერთი უნდა იყოს: ან ჩვენ ვახორციელებთ გლეხობის სამხედრო - ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკას ან პროლეტარიატის დიქტატურა ორგანიზატორის როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ სკამზე იჯდე და ფიქრობდე — რაკი აღიარებ ერთგვარ მიღწევებს, პარტია აღარ მეტყვის: „მოგვეცი უბრალო პასუხი წყეულ კითხვებზე"?

როგორ პასუხს გვაძლევენ მემარჯვენეები? მემარჯვენეები გვიპასუხებენ მიკიბულ - მოკიბულად; ისინი ამბობენ: გადაჭარბებულია მათთვის ბრალდების წარდგენა იმაში, რომ ისინი აყენებდნენ დებულებას პროლეტარიატის და გლეხობის განხეთქილების შესახებ. რა საჭიროა ასეთი მიკიბულ - მოკიბული პასუხი? ამით მემარჯვენეები გზას იტოვებდნენ უკან დასახევად, რომ ახალი სიძნელეების დროს ხელახლა გამოვიდნენ და სთქვან: „აკი ვამბობდით, რომ საშუალო გლეხს ხელი მკრეს კულაკისაკენ". მაგრამ განხეთქილება არ მომხდარა. კულაკს ჩვენ ვავიწროვებდით და ვავიწროებთ, ღარიბი და საშუალო გლეხობა კი მიდის კოლმეურნეობაში, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი უფრო მეტად განმტკიცდება, წინააღმდეგ მემარჯვენეების წინასწარმეტყველებისა.

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის დროს კულაკი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს კლასთა ბრძოლის გამწვავებას სოფლად. სოფლად კლასობრ. ბრძოლის საკითხში, კულაკის საკითხში მემარჯვენეებმა მრავალი ბუნდოვანი განცხადება გააკეთეს; ისინი წინააღმდეგნი იყვნენ კულაკზე შეტევის პოლიტიკის. პარტიას სურს ახლა ამ საკითხის შესახებ მემარჯვენეებისაგან მიიღოს გარკვეული პასუხი. მაგრამ ამის მაგივრად მემარჯვენეები აცხადებენ, რომ შემცდარია მტკიცება, თითქოს ისინი კულაკთან შეურიგებელი ბრძოლის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ რაც უნდა ეცადონ მემარჯვენე ლიდერები, ისინი თავს ვერ დააღწევენ საკუთარ სიტყვებს. გასული წლის ზამთარში ისინი ხომ მოითხოვდნენ ინდივიდუალური დაბეგვრის გაუქმებას, ხოლო აპრილში მათ განაცხადეს—ახლაც ვემხრობით ინდივიდუალური დაბეგვრის გაუქმებასო. მემარჯვენეები ამბობდნენ, რომ კლასობრივ ბრძოლაში კაპიტალისტური ელემენტები ბოლოს და ბოლოს თვითონ მიეცემიან დავიწყებასო.

რა მდგომარეობაშია კულაკის სოციალიზმში შეზრდის თეორიის საქმე? მემარჯვენეები ახლა ცდილობენ დაეყრდნონ კომინტერნის აღმასკომის 1925 წლის გადაწყვეტილებას გლეხთა საკითხის შესახებ. რა უნდა ეწოდოს კომინტერნის დოკუმენტის ასე გამოყენებას? კომინტერნის დოკუმენტში სრულიად წინააღმდეგია ნათქვამი, ვიდრე ამხ. ბუხარინი სწერდა. აი რა არის ნათქვამი ამ დოკუმენტში:

„ეს ახალი პირობები შესაძლებლად ხდიან გლეხური მეურნეობის არაკაპიტალისტურ ევოლიუციას. მისი განვითარება, თუნდაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ფორმებში, შეიძლება ახლა წავიდეს კოოპერაციის გზით სოციალიზმისაკენ. ვინაიდან გლეხური მეურნეობების კოოპერატიული გაერთიანებები, რამდენადაც ისინი ცხოველმყოფელნი აღმოჩნდებიან კაპიტალიზმის პირობებში, აუცილებლად გადაიქცევიან კაპიტალისტურ საწარმოებად, რადგან დამოკიდებულნი არიან კაპიტალისტური ინდუსტრიისაგან, კაპიტალისტური ბანკებისაგან, კაპიტალისტური სამეურნეო წრეებისაგან. პროლეტარული დიქტატურის პირობებში კი ეს გაერთიანებები ვითარდებიან სხვა ურთიერთობათა სისტემით და დამოკიდებულნი არიან პროლეტარული ინდუსტრიისაგან, პროლეტარული ბანკებისაგან და სხვ. სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, თუ ისინი კაპიტალიზმის დროს ხდებოდნენ კაპიტალისტურ სამეურნეო ორგანიზაციებად, ახალ პირობებში, სწორი პოლიტიკის დროს პროლეტარული სახელმწიფოს მხრით, ისინი შეეზრდებიან სოციალისტურ სამეურნეო ურთიერთობის სისტემას". (კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი 21 მარტი—6 აპრილი 1925 წ. თეზისები გლეხთა საკითხის შესახებ. თავი 4 მუხ. 25, გვ. 555).

ამხ. ბუხარინის ბროშურაში „გზა სოციალიზმისაკენ და მუშათა და გლეხთა კავშირი", მე-49 გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენი კოოპერატიული საგლეხო ორგანიზაციების ძირითადი ქსელი შემდგარი იქნება კოოპერატიული უჯრედებისაგან, რომლებიც შეეზრდებიან ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანოების სისტემას და ამრიგად გადაიქცევიან სოციალისტური მეურნეობის მთლიანი ჯაჭვის რგოლებად". მეორეს მხრივ, კულაკური კოოპერატიული ბუდეები ასევე შეეზრდებიან ამავე სისტემას ბანკების და სხვ. საშუალებით. ამრიგად, შავით თეთრზე დაწერილია, რომ კულაკი შეეზრდება ამავე სისტემას, ე. ი. სოციალისტური მეურნეობის სისტემას.

როგორც ხედავთ, კომინტერნი ლაპარაკობს გლეხთა მეურნეობების კოოპერატიულ გაერთიანებების შეზრდაზე სოციალისტურ სისტემაში. არ შეიძლება ეს ფორმულა სავსებით სწორად ჩავთვალოთ, მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს ბუხარინის თეორიასთან იმის შესახებ, რომ „კულაკური კოოპერატიული ბუდეები აგრეთვე შეეზრდებიან ამ სისტემას ბანკების საშუალებით". როგორ შეიძლება კომინტერნის დადგენილების ისე დამახინჯება, თითქოს კომინტერნი ლაპარაკობდა სოციალიზმში კულაკის შეზრდაზე! რას ამტკიცებს ეს? იმას, რომ მემარჯვენეებს არ ესმით კლასთა ბრძოლის შინაარსი, რომ ეს ხალხი ყოველნაირად და ყოველი გზით ცდილობს სხვები მოატყუოს და არა სთქვას სიმართლე. ისინი ფიქრობენ რომ გამონახავენ გულუბრყვილოებს, რომლებიც დაიჯერებენ, რომ კომინტერნი მართლაც იმასვე ამბობს კულაკზე, რასაც ბუხარინი. მაგრამ ჩვენ არ წამოვეგებით ამ ანკესს, გულუბრყვილო ბოლშევიკებს შორის ძალიან ცოტაა. ყოველგვარ ოპოზიციასთან ბრძოლაში, ტროცკისტთან ბრძოლაში პარტიის წევრებმა ისწავლეს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი მეთოდებით წარმოების შინაარსი და მნიშვნელობა.

შინაპარტიული რეჟიმისა და კომინტერნის შესახებ

შინაპარტიული რეჟიმის საკითხში მემარჯვენე ოპორტუნისტები პარტიის წინააღმდეგ იმეორებდნენ ტროცკისტულ ბრალდებებს; ისინი ამტკიცებდნენ, რომ პარტიის წევრებს გაუჩნდათ ორნაირი „ხაზი": ერთი „სულისათვის", მეორე საკუთარი „თავისათვის". კრებებზე მისვლა, ერთსულოვანი ხმის მიცემა, შემოღებული ოფიციალური ფორმულები—რიტუალად, აუცილებელ პარტიულ ცერემონიად გადაიქცნენ, ასე რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ აქედან უნდა დაიწყოს, ჩვენ კი, პარტია, ვითომ ხელს ვუწყობთ ამ ბიუროკრატიზმის დანერგვას. მაშ გვითხარით, კეთილო ამხანაგებო, თქვენ უდანაშაულოდ სახავთ თავს, თქვენ თავს დაგესხნენ, თქვენი ბრალი არ არის, თქვენ საბრალოებს, გცემენ. გვითხარით პატიოსნად, ხსნით პარტიას იმ ბრალდებებს, რომ ის ხელს უწყობს ბიუროკრატიზმის დანერგვას, თუ ეს ბრალდება ძალაში რჩება? მაგრამ ისინი ამ ბრალდებას არ ხსნიან. ამ კითხვაზე მემარჯვენეები პასუხს არ იძლევიან, მაგრამ მაინც ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას იჩივლონ იმ შეურაცყოფის გამო, რომელსაც ვითომ მათ უკანასკნელ ხანებში აყენებენ. მაგრამ ხომ არ შეიძლება იმ ბრალდებათა დავიწყებაც, რომლებსაც ისინი ისროდნენ პარტიასა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ?

ისინი ამტკიცებდნენ, რომ პარტიის მთელი საორგანიზაციო მანქანა, მთელი პარტიული მუშაობის გეზი მიმართულია ყველა და ყოველგვარი განსხვავებული აზრის დაუყოვნებლივ და გადაჭრით დათრგუნვისაკენ, რომ ამჟამად პარტიული ცხოვრების მდგომარეობას ახასიათებს იდეოლოგიური და ორგანიზაციული დათრგუნვა, აქედან მათ გამოჰყავდათ დასკვნა, რომ არ შეიძლება საკმაოდ გამოყენება არც დემოკრატიის და არც თვითკრიტიკის, არ შეიძლება იმიტომ, რომ თვით ეს დემოკრატია და ეს თვითკრიტიკა გამოყენებულია აზრთა სხვაობის გადაჭრით და დაუყოვნებლივ დასათრგუნავად და ამის (ე. ი. აზრთა ყოველი სხვაობის დათრგუნვის), შესაფერისად ხდება პარტიული აპარატის მუშაკთა მთელი კადრის განსაზღვრაც, რომ ყოველივე ეს აუცილებლად და ძლიერ აბრკოლებს საკითხის საქმიან განხილვას. რას ნიშნავს ჩივილი აზრთა ყოველგვარი სხვაობის თავისუფლების არ არსებობაზე? სწორედ ეს არის ფრაქციის და დაჯგუფების თავისუფლების მოთხოვნა.

მემარჯვენენი სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ ტროცკისტულ მოტივებს პარტიაში „ბიუროკრატიზმის" არსებობის შესახებ და სხვ. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ ორი ხაზი გვაქვს: ერთი ხაზია „მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ". აქ ვითომ ყველაფერია: თვითკრიტიკა, დემოკრატია, არჩევის პრინციპი და სხვა. მეორე ხაზია ის, რომ ჩვენში საგუბერნიო კომიტეტების მდივნების ნამდვილი არჩევნები არ ხდება და რომ გაიზარდნენ ბიუროკრატიზაციის ელემენტები პარტიაში.

ამის შემდეგ ხომ უფლება აქვს პარტიას იკითხოს, ღებულობთ თქვენ პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ამ ცილისწამებას თუ არა, უარსჰყოფთ თქვენს სიტყვებს თუ არა, და თუ თქვენ ამას არ სჩადიხართ და იმავე დროს მთლიანობაზე გაჰკივით, ნება გვიბოძეთ არ დაგიჯეროთ და გითხრათ, რომ ეს პირმოთნეობაა და არა საკუთარი შეცდომების ნამდვილი ბოლშევიკური აღიარება.

და კიდევ, მემარჯვენეები ახლა უჩივიან იმას, რომ მათ არ მიანიჭეს თანაბარი უფლებები". რა დროიდან იქნა შემოღებული ბოლშევიკურ პარტიაში ის, რომ ოპოზიცია ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც ცენტრალური კომიტეტი, რა იქნება ეს—მეორე ცენტრალური კომიტეტი?

ჩვენ ბოლშევიკური პარტია ვართ და ბოლშევიკურ პარტიაში, ეს არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება (ტაში).

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენს პარტიაში წარმოებული ბრძოლა და ჩვენი პოლიტიკა დაკავშირებულია კომუნისტური ინტერნაციონალის მთელ პოლიტიკასთან. მემარჯვენეები აქაც კვალდაკვალ გაჰყვნენ ტროცკისტებს, და ცილი დასწამეს არა მარტო ჩვენს პარტიას, არამედ კომინტერნსაც. მემარჯვენეებს შემცდარად მიაჩნდათ ჩვენი პოლიტიკა კომინტერნში, ცილს სწამებდნენ კომინტერნს და იმეორებდნენ იმავე ტროცკისტულ ბრალდებებს, რასაც შინაპარტიული რეჟიმის შესახებ ამბობდნენ. მემარჯვენეები, თავს არიდებდნენ რა მემარჯვენეთა და შემრიგებელთა წინააღმდეგ ბრძოლას, რაც კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად მფარველობდნენ მათ, და კომინტერნის აღმასკომის იმ პოლიტიკას, რომელიც დაუზოგველ ბრძოლას მოითხოვდა ბრანდლერის, ჰილბუმის და სხვა ტიპის მემარჯვენეთა წინააღმდეგ, სახავდნენ განხეთქილებისა და ჯგუფების ჩამოცილების პოლიტიკად და ამბობდნენ, რომ კომინტერნის აღმასკომი ძალთა კონცენტრაციის წინააღმდეგია. პარტიას სურს მოისმინოს ამხ. ბუხარინისა, ტომსკისა და რიკოვისაგან გარკვეული განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ უცქერიან ისინი კომინტერნის პოლიტიკას. პარტიისათვის მნიშვნელობა აქვს იცოდეს, მხარს უჭერენ თუ არა ისინი კომინტერნის მემარჯვენე ელემენტებს. დღემდე ჩვენში ცენტრალური კომიტეტის არც ერთ წევრს არ მოუსმენია: მემარჯვენეთა ბელადების რაიმე განცხადება გერმანიის, საფრანგეთის და სკანდინავიის შესახებ, ბრანდლერის, ჰილბუმის, ლოვსტონის და სხვა რენეგატთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. პარტია მემარჯვენეებს ეუბნება: „ინებეთ და გამოსთქვით თქვენი აზრი ვისთანა ხართ—ბრანდლერთან, ჰილბუმთან და ლოვსტონთან, მათ იცავთ და განაგრძობთ ცილისწამებას კომინტერნისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, თუ ეთანხმებით პარტიისა და კომინტერნის ხაზს?" პარტიის პოლიტიკის ყველა ამ ძირითად საკითხებზე მემარჯვენეებმა პლენუმზე არ გაგვცეს ისეთი პასუხი, რომელსაც შეეძლო დაეკმაყოფილებია პარტია.

ამიტომ იყო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ყოველმხრივ განიხილა საკითხი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, მიიღო ამ საკითხის გამო სპეციალური რეზოლიუცია, დაადგა შესაფერ საორგანიზაციო დასკვნებს ამხ. ბუხარინის მიმართ და იმავე დროს გააფრთხილა ამხ. რიკოვი და ტომსკი. პლენუმმა მემარჯვენე ოპორტუნიზმის და შემარიგებლობის იდეების პროპაგანდა შეუთავსებლად სცნო პარტიაში ყოფნასთან. ეს რეზოლიუცია მთლიანად და სავსებით შეეფერება საქმის მდგომარეობას, რომელიც პარტიაში და ქვეყანაში არსებობს, შეეფერება ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ყველა ტრადიციებს. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამხ. უგლანოვის, კულიკოვის, კოტოვის და მიხაილოვის განცხადებას, რომლითაც ისინი გამოვიდნენ და აღიარეს თავიანთი შეცდომები. იმათთან კი, ვინც თავის შეცდომებს დაჟინებით იცავს, პარტიას სახვეწარი არაფერი აქვს, პარტია მათ არ დაუწყებს ლიბერალურად წვრთნას, არამედ იგი გაწვრთნის ბოლშევიკურად, ლენინურად.

სიძნელეთა დაძლევით წინ, სოციალიზმისაკენ!

ამხანაგებო, ჩვენ თქვენთან ერთად უდიდესი მიღწევები იმიტომ გვაქვს, რომ სასტიკად ვებრძოდით მემარჯვენეებს. მემარჯვენეები სიძნელეებით იმიტომ გვაშინებდნენ, რომ სურდათ გამოეწვიათ ჩვენი უკან დახევა. ჩვენ კი ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობთ სიძნელეთა შესახებ იმიტომ, რომ შევუტიოთ და დავსძლიოთ ეს სიძნელენი. სიძნელეების დასაძლევად ჩვენთვის საჭიროა განვაგრძოთ დაუღალავი და გადამჭრელი ბრძოლა ჩვენი პარტიის ნამდვილი მთლიანობისათვის, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის. ჩვენ მრავალი მიღწევა გვაქვს. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბევრი სიძნელეც გველოდება გზაზე. ჩვენ მშენებლობას მეტად სწრაფი ტემპით ვაწარმოებთ, ჩვენ ვრაზმავთ მთელ ჩვენს ძალებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპის განსახორციელებლად. ჩვენ ამჟამად უდიდესი გაქანებით ვაწარმოებთ ჩვენს მშენებლობას. ლენინი 1921 წელს ამბობდა, რომ „პარტიისა და გლეხობის სწორი ურთიერთობის შენარჩუნება 10—20 წლით და გამარჯვება უზრუნველყოფილია მსოფლიო მასშტაბით, თუნდაც რომ დაიგვიანოს მსოფლიო პროლეტარულმა რევოლიუციამ". ახლა ჩვენ ისეთ პერიოდში ვიმყოფებით, როდესაც სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილია. რა თქმა უნდა, არ ვივიწყებთ, რომ პრობლემა „ვინ ვის", რომელიც ლენინმა წამოაყენა, ახლაც ძალაში რჩება. ჩვენ ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვებას ჩვენ ვერ მივაღწევთ მოვლენათა საკუთარი მსვლელობით, რომ ეს გამარჯვება ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ კლასობრივ მტრებთან ბრძოლის პროცესში არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. კლასობრივი მტრები საერთაშორისო მასშტაბით არა მარტო უცქერიან იმას, თუ როგორ ვიზრდებით, არამედ სულმოუთქმელად ელიან იმ მომენტს, როდესაც შეეძლებათ ჩაგვცენ სასიკვდილო ლახვარი. და, ამხანაგებო, ჩვენ თქვენთან ერთად, როგორც ინტერნაციონალური რევოლიუციონერები, როგორც ლენინელი ბოლშევიკები ვაფასებთ ჩვენს მიღწევებს, როგორც ისეთ მიღწევებს, რომლებიც მჭიდროდ გვიახლოვებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდს, იმავე დროს გვახსოვს, რომ გვაქვს მრავალი სიძნელე, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით მტერი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განადგურებული, რომ ჩვენი ქვეყნის გარეთ მტერი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ამხანაგებო, უკანასკნელ წლებში ჩვენი პოლიტიკა არასოდეს იყო ისეთი ნათელი და ისეთი საგრძნობი არ ყოფილა მილიონიანი მასებისათვის, როგორც ახლანდელ პერიოდში; ეს იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკა პრაქტიკაში, პრაქტიკულ სოციალისტურ მშენებლობაში ხორციელდება. ჩვენ თქვენთან ერთად ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ღრმად ჩავებათ მუშაობაში, სოციალისტური მშენებლობის საქმეში, უნდა შევქმნათ ჩვენი საკუთარი კადრები, გამოვასწოროთ დეფექტები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვებრძოლოთ კლასობრივ მტრებს, ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს.

ყოველივე ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი პარტია მონოლიტური იყოს, ისევე, როგორც დღემდე იყო. ის უნდა იყოს მთლიანი, როგორც დღემდე იყო მთლიანი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცეა და იმედიანად უცქერის მომავალს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მხნედ და იმედიანად მიჰყავს წინ ჩვენი ქვეყანა და პარტია მიიყვანს კიდეც მას სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

მოსკოვი. გადმოცემულია ტელეგრაფით

საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა

ანტი-საბჭოთა ელემენტები და კომბინატორები ბათუმის საბაჟოში

როგორ ატყუებს „სპეცი" ალპეროვიჩი საქართ. თავდაცვა-ავიაქიმს

მოსამზადებელი მუშაობის დაგვიანების გამო პროფკავშირების აპარატის წმენდა კვლავ გადაიდო

წმენდის დაწყებას პროფკავშირებში აგვიანდება

აპარატის წმენდის დაწყება პროფკავშირებში თავდაპირველად განზრახული იყო 15 ნოემბერს, მაგრამ მოსამზადებელი მუშაობის დაგვიანების გამო წმენდა გადაიდო 25 ნოემბრამდე.

ეს ვადაც გავიდა, მაგრამ წმენდა ჯერ კიდევ არ დაწყებულა და არც არის გამორკვეული, თუ როდის იქნება შესაძლებელი წმენდის დაწყება. ამის მიზეზია ის, რომ მოსამზადებელი მუშაობა ძალზე ნელის ტემპით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კავშირს (საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა და ტრანსპორტელთა კავშირები) ჯერ კიდევ არ გადაუგზავნია პროფკავშირების აპარატის წმენდის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიისათვის იმ თანამშრომელთა სიები, რომლებიც გატარებული უნდა იქნენ წმენდაში.

კავშირებთან თუმცა გამოყოფილია მუშათა ბრიგადები, მაგრამ მუშაობა მათ შორის სუსტად მიმდინარეობს. საქართველოს პროფსაბჭოსთან კი ბრიგადა ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ ტრამვაის ქარხკომს რამდენიმეჯერ ჰქონდა მიცემული წინადადება გამოეყო ბრიგადაში 15 კაცი.

თანამშრომელთა მასა პასიურად ეპყრობა წმენდის საკითხებს, რადგან ახსნა-განმარტებითი მუშაობა მათ შორის არ ყოფილა წარმოებული (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საერთო კრებას, რომელზედაც წმენდის საკითხი სხვათა შორის იყო განხილული). ასეთ პირობებში რა გასაკვირია, თუ საჩივართა ყუთები ცარიელია.

ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობა ცენტრალურ გამგეობებთან არსებულ დამხმარე კომისიებზე ძალზე სუსტია. ცენტრალურ კომისიას მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ჰქონდა სხდომა. კომისიის თავმჯდომარე სხვა საქმეებით დატვირთვის გამო სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობა მოსამზადებელი მუშაობის გაუმჯობესება-გაღრმავების საკითხებს. კომისიის დანარჩენ წევრებს კი საშუალება არ აქვთ დამოუკიდებლად იმოქმედონ.

კავშირი ადგილებთან მოუგვარებელია, ცენტრალურ კომისიას არავითარი ცნობები არ მოეპოვება იმის შესახებ, თუ რა კეთდება ადგილებზე. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროფკავშირების აპარატის წმენდა ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს.

ბათუმის საბაჟო კომბინატორების ხელში

ბათუმის საბაჟოს ზოგიერთ ხელმძღვანელთა [illegible], უყაირათობის და ბოროტმოქმედების შესახებ ხშირად იწერება ჩვენს გაზეთებში, მაგრამ პრესაში აღნიშნულ ნაკლთა გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს. საბაჟოს ხელმძღვანელები კვლავ ძველებურად განაგრძობენ თავის „სასარგებლო" საქმეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვემოდ ჩამოთვლილ უმსგავსოებათა სააშკარაოზე გამოტანის შემდეგ მაინც სათანადო ორგანოები გამოიკვლევენ ბათუმის საბაჟოში დამკვიდრებულ სისაძაგლეს და ბოროტმოქმედთ სათანადო ადგილს მიუჩენენ.

ბათუმის საბაჟოში მართველის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობს მოქ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სოლოვიოვი. საკვირველია, ეს კაცი როგორ მოხვდა ამ თანამდებობაზე, როდესაც მისი წარსულის მატიანე ამბობს, რომ მოქ. სოლოვიოვი იყო ნიკოლოზის დროის კადრის ოფიცერი კაპიტანის ჩინით, ოქტომბრის რევოლიუციის პერიოდში აფხაზეთში ჰქონდა მსხვილი სავაჭრო და წისქვილი, რაც კარგად ახსოვს მის მიერ უმოწყალოთ გაყვლეფილ ღარიბ დამშეულ გლეხებს. 1926 წელს ბაქოს საბაჟოდან მიითვისა 380 მანეთი. ხოლო ბელორუსიის საბაჟოდან 210 მანეთი, რომელთა გადაუხდელობის გამო საჩივრის ქაღალდია მიღებული ბათუმის საბაჟოში, მაგრამ მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ეს ყოველივე წარსულში მოხდა, რამდენიმე წლის წინად, მაგრამ სოლოვიოვი ხომ ეხლაც იმავე ხაზს განაგრძობს.

აჭარისტანში ყველამ იცის, რომ ზემოხსენებულ სოლოვიოვს მჭიდრო კავშირი აქვს ცნობილ ვაჭარ ომერ-ოღლთან, რომელსაც ეხმარება საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონლის საიდუმლოდ გასაღებაში.

სოლოვიოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი რიგი თანამშრომლები, მაგალითად, ინსპექტორი გალაქტიონ ლიპარტელიანი, ბუხჰალტერი ივანე ცერცვაძე, კანცელარიის გამგე შალვა ქადეიშვილი, საქმის მწარმოებელი ოლია გაბუნია, ალექსანდრე ალენიკოვი, ალექსანდრე ბაბუნაიშვილი, ვლადიმერ მხეიძე და სხვანი, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ გეგმიან საქმიანობის და კომუნისტ-კომკავშირელ მოსამსახურეთა წინააღმდეგ.

ოლია გაბუნია და შ. ქადეიშვილი მუშაობის ნაცვლად კაბინეტიდან კაბინეტში დაბორიალობენ, ჩვეულებრივი მოვლენაა მათ მიერ სამუშაო დროის გაცდენა. მათ არაფრის არ ეშინიათ, რადგან კარგი მფარველი ყავთ. ეს ჯგუფი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს საბაჟოში დამკვიდრებულ უმსგავსოებათა გამომაშკარავებლების წინააღმდეგ.

ადმინისტრატიულ და საკონფისკაციო განყოფილების გამგე მუშაობას გამოკეტილ კარებში აწარმოებს, რის გამო საქმისათვის მოსული ხალხი მას ვერ ნახულობს.

სოლოვიოვი კომუნისტ თანამშრომლებს ავიწროებს; მაგ.; პარტიის წევრი პიმენ კაჭარავა აიძულა საბაჟოს აღმასრულებლის თანამდებობიდან პირველად კანცელარიაში, ხოლო შემდეგ გემთანაწილში გადასულიყო. პარტიის წევრი ნესტორ ასათიანი სულ უბრალოდ გააგდო საბაჟოდან. პარტიის წევრს ნოე ჩხარტიშვილს, რომელიც ადგილობრივმა ორგანიზაციამ წამოაყენა ახალ თანამდებობაზე, შეუქმნა ისეთი არანორმალური პირობები, რომ ჩხარტიშვილი იძულებული გახდა ახალ სამუშაოსათვის თავი დაენებებია.

კომკავშირელები ეუნია მანჯგალაძე და დარეჯან კალანდია სამუშაოდან მოხსნა და მათ ადგილზე მიიღო სოციალურად და პოლიტიკურად საეჭვო ელემენტები.

გარდა ამისა მოქ. სოლოვიოვი დეზორგანიზატორულ მუშაობას ეწევა მუშებს შორის და ხშირად დებოშსაც ახდენს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ წითელი ფლოტის დღესასწაულის დღეს მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც მოქ. სოლოვიოვმა მოინდომა დემონსტრაციის ჩაშლა, ხოლო როდესაც ეს ვერ მოახერხა, მაშინ თვითონ არ მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში.

მოქ. სოლოვიოვი გეგმაშეუწონლად ხარჯავს საბაჟოს თანხებს. ამას წინად მან და ივანე მელიქაძემ საბაჟოს ხარჯზე გახსნეს ახალი საპარიკმახერო, რაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიას ბათუმის საბაჟოში ჯერ ფეხი არ შეუდგამს და წმენდისათვისაც არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ სწარმოებს. ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ კანდიდატებს აპარატის წმენდისათვის; ყველა ისინი სოლოვიოვის აქტიური დამხმარეებია.

ალექსანდრე ალენიკოვი, მეფის დროის გუბერნატორის კანცელარიის ჩინოვნიკი, კომბინატორი, რისთვისაც 1923 წ. გაასამართლეს და სამსახურიდან მოხსნეს. ამასთანავე არის კერძო მესაკუთრე.

დავით ერგემლიძე,—მენშევიკების „ოსობორიადნიკი", მონაწილეობა მიიღო თავის ძმასთან ერთად კლავდია კალანდაძის ასულის დაჩრჩობაში 1929 წ. ქ. ქუთაისში.

მიხაილოვსკი პეტრე—ყოფილი ჟანდარმი და დენიკინის ოფიცერი.

ლორია ლუკა, სოფ. სუფსიდან, ყოფილი დიაკვანი, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი და ამჟამად პოლიტიკურად საეჭვო პიროვნება. ასევე ითქმის ალ. ძაძამიაზე და კიდევ მრავალ სხვებზე, რომლებიც უხვად არიან გაფანტული ბათუმის საბაჟოს აპარატში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აჭარისტანის საბჭოთა აპარატის გამწმენდი კომისია სათანადოდ გამოიკვლევს ბათუმის საბაჟოში შექმნილ მდგომარეობას.

ფოტოგრაფი.

„სპეცი" ბაქოდან

ამ ბოლო დროს თბილისში გამრავლდნენ მოგზაური „სპეცები".

ერთი ასეთი მოგზაურთაგანია მოქ. ალპეროვიჩი—ბაქოდან.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოში „შემთხვევით შეიარა" ალპეროვიჩმა და საზოგადოების ხელმძღვანელთა გაეცნო, როგორც სახელგანთქმული და დახელოვნებული „სპეცი" თაგვებთან ბრძოლის საქმეში.

ავიაქიმის საბჭომ მიიღო ალპეროვიჩის წინადადება პროფილაქტიურ ბიუროს დაარსების შესახებ იმ პირობით, თუ ბიუროს შესანახი ხარჯები ავიაქიმის საზოგადოებას არ დააწვებოდა ტვირთად. ალპეროვიჩსაც ეს უნდოდა. ის ხსნის პროფილაქტიურ ბიუროს (ამ ბიურომ ბრძოლა უნდა აწარმოოს მავნებლებთან) და ხელშეკრულებას სდებს „ზაკტპოს" და მუშკოოპ-ის გამგეობასთან მათ მაღაზიებში თაგვების დახოცვის შესახებ.

პროფილაქტიური ბიურო იწყებს მუშაობას, ბიუროს თავმჯდომარეობა თვითონ ალპეროვიჩმა იკისრა.

გავიდა დრო და ბიუროს დასჭირდა ნამდვილი სპეცი-ქიმიკოსი. ალპეროვიჩი უცხადებს ავიაქიმს, რომ ამ საქმისათვის მას ლენინგრადიდან ჰყავს გამოწერილი „სპეცი" როზენოერი.

ლენინგრადიდან „სპეცი" მოდის თბილისში. იგი ბიუროს თანამშრომლებს უცხადებს, რომ მას ქიმიის არაფერი გაეგება, ის ალპეროვიჩის ნათესავია და ამ უკანასკნელმა ლენინგრადიდან ჩამოიყვანა როგორც უმუშევარი, მოაწყო ბიუროში და თვეში გასამრჯელოდ დაუნიშნა ასი მანეთი.

ალპეროვიჩს თბილისშიაც აღმოაჩნდა უმუშევარი ნათესავ-მეგობრები, რომლების სამსახურში მოწყობაც იკისრა. ის მიმართავს [illegible] შრომის ბირჟას, რომ გამოუგზავნონ დერატიზატორი, ხოლო შრომის ბირჟაში არა თუ დერატიზატორი, არამედ ამ სახელის მცოდნეც არავინ აღმოჩნდა. მაგრამ შრომის ბირჟა მაინც გზავნის ერთ-ერთ უმუშევარს. ალპეროვიჩმა ის არ მიიღო, ხოლო მის მაგივრად გამოიწერა მესამე „სპეცი" სიმხოვიჩი თავისი დედით. ამ უკანასკნელებმა მადლობის ნიშნად ალპეროვიჩს ერთი ოთახი უთავაზა თავისი მოწყობილობით. ალპეროვიჩმა სიმხოვიჩის საცოლე—აკოპოვაც მოაწყო სამუშაოზე.

ასე ტკბილად და უდარდელად გავიდა რამდენიმე თვე. ბოლოს ეს ამბავი ავიაქიმშიც გაიგეს და რეზონოერი და სიმხოვიჩი მოხსნეს სამუშაოდან; მათ ნაცვლად ადგილკომმა სამუშაოზე გაგზავნა მუშები, რომელთაც მოქ. ალპეროვიჩი პირველ ხანებში უხეშად ეპყრობოდა, ხოლო როცა ეს გარემოება მუშებმა ადგილკომს აცნობეს და უკანასკნელმა გაფრთხილება მისცა ალპეროვიჩს—იგი ცოტათი მოშინაურდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ალპეროვიჩის დიდი „ნიჭი" სხვადასხვა კომბინაციების „[illegible]": პროფილაქტიურ ბიუროს წამლების დასამზადებლად სჭირდებოდა შაქარი; ალპეროვიჩმა ავიაქიმის მარკით გამოიტანა ერთი ფუთი შაქარი, რომლიდანაც წამლების დამზადებას მოახმარა მხოლოდ 2 კილო, დანარჩენი 14 კილო სახლში წაიღო და მის ნაცვლად წამლებისათვის ხმარობდა სახარინს.

ალპეროვიჩი არ არის კავშირის წევრი, იგი ეხლა ლამობს კავშირში გაძრომას. ამ გარემოებას ადგილკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ალპეროვიჩმა, როგორც „სპეცმა" ძირითადი ჯამაგირი დაინიშნა 200 მანეთი, ხოლო „დატვირთვისათვის" პროცენტების სახით თვეში იღებს 400 მანეთს, ე. ი. თვეში ეძლევა 600 მანეთი.

საბჭოთა აპარატის გამწმენდმა კომისიამ ღირსეულად უნდა დააფასოს ალპეროვიჩის „ნიჭი" და სათანადო ადგილი მიუჩინოს მას და მის მფარველებს.

ავია.

გრძელდება ა.-კ. ფინსახკომის აპარატის წმენდა

24 ნოემბერს პირველად „იწმინდება" სამმართველოს ინსპექტორი ამხ. ემჩინოვი. მასზე დიდხანს არ შეჩერებულან. სერიოზული და [illegible] მუშაკია.

ბ. კაჯარი შთამომავლობით... სპარსეთის პრინცია. ამჟამად ისიც სახელმწიფო სესხთა ინსპექტორად მსახურობს სავალიუტო სამმართველოში. მისი პაპა, სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი მაძიებელთაგანი, გვირგვინისათვის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, რუსეთში გამოიქცა. კაჯარის მამა მსახურობდა არმიაში.

„რას აკეთებდით 1917 წლამდე"—ეკითხებიან კაჯარს.

— „ვსწავლობდი პეტერბურგის უფლების მცოდნეობის სასწავლებელში.

1919 წელს მსახურობდა დრაგომანად (მთარგმნელი) საბჭოთა აზერბეიჯანის წარმომადგენლობაში. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობს საბჭოთა დაწესებულებებში. ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას. კაჯარი ამჟამად მუშაობს სოფლად სესხის გავრცელების საქმეზე.

— ნორმალურად მიგაჩნიათ თუ არა ამიერკავკასიის სოფლებისათვის დანიშნული საკონტროლო ციფრები? —ხომ არ გამოგითქვამთ ეჭვი საკონტროლო ციფრების დაფარვის შესაძლებლობაში?—აყრიან მას შეკითხვებს ყოველის მხრიდან. კაჯარი უპასუხებს, რომ საკუთარი გამოცდილების მიხედვით, მას საკონტროლო ციფრების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია. მაგრამ საჭიროა დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

— როდის მიიღეთ საბჭოთა მოქალაქეობა?

შარშან, როდესაც თბილისში სანიმუშო მობილიზაცია მიმდინარეობდა, მე ვიგრძენი, რომ, თუ საბჭოთა კავშირისათვის რაიმე საფრთხე შეიქმნებოდა, მე გარიყული დავრჩებოდი და ამიტომ მაშინვე შევიტანე განცხადება საბჭოთა მოქალაქედ მიღების შესახებ.

სავალიუტო სამმართველოს უფროსი მას ახასიათებს, როგორც კარგ მუშაკს და თავისი მუშაობის ანალიზის უნარით დაჯილდოებულს.

უკანასკნელად სწმენდენ სავალიუტო სამმართველოს უფროსს ამხ. საფარიანს. იგი არის ხელოსნის შვილი. მამა მისი იყო თურქეთელი სომეხი. თვითონ ბავშვი იყო, როდესაც კავკასიაში გამოიქცნენ. 1903 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მონაწილეობდა მარქსისტულ წრეებში. 1917—20 წლებში ირიცხებოდა სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტების პარტიაში. პარტიის თვით ლიკვიდაციის შემდეგ დარჩა უპარტიოდ. მენშევიკების დროს იყო ბანკების და სარედაქციო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ორგანიზატორი და თავმჯდომარე. მას ახასიათებენ, როგორც დიდ სპეციალისტს, რომელიც კარგად უძღვება დაკისრებულ მუშაობას.

— მართალია, თუ არა, რომ დაწინაურებულ კომუნისტებს არ იყენებდით პირდაპირი დანიშნულებისამებრ და ამუშავებდით ქაღალდების გადაწერაზე—ეკითხებიან მას. დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭიროა მომზადება, გადასაწერის მიცემით მე მათ ვამზადებდი—უპასუხებს საფარიანი.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავება და ოჩემჩირეში მეტალურგიული ქარხნის აგების საკითხი

საქ. ს. მ. უ. ს. ინიციატივით, ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა სპეციალისტთა თათბირი ტყვარჩელის რაიონში ქვანახშირის დამუშავების დაწყებასთან დაკავშირებით ს. მ. უ. ს. წინადადებით თათბირმა განიხილა ტყვარჩელიდან ქვანახშირის გადასაზიდ სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობისა და ქ. ოჩემჩირეში დიდი მეტალურგიული ქარხნის მოწყობის საკითხი.

საქართველოს ს. მ. უ. ს აზრით, ოჩემჩირეში მოწყობილი უნდა იქნეს დიდი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც საჭირო სათბობ მასალას (ქვა ნახშირს) მიიღებს ტყვარჩელიდან, ხოლო ლითონის მადანს კი ქერჩიდან ტყვარჩელიდან ქერჩისაკენ ქვანახშირი გადაზიდული იქნება გემებით, ხოლო უკან დაბრუნებისას იგივე გემები ქერჩიდან ოჩემჩირეში გადმოზიდავენ თუჯის მადანს. საქ. ს. მ. უ. ს. უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ტყვარჩელის ქვანახშირით გემების დასატვირთავი ნავსადგური აგებულ იქნეს ოჩემჩირეში

მეორე ვარიანტით, განზრახულია მეტალურგიული ქარხნის აგება სხვა ადგილას იმ ვარაუდით, რომ ნედლეულათ გამოყენებულ იქნეს დაშკესანის მადნები, ხოლო ქვანახშირი და კოქსი კი ქარხანამ მიიღოს ტყვარჩელიდან

თათბირზე აღინიშნა, რომ ზესტაფონის მახლობლად, უმაღლეს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად, ორი წლის განმავლობაში აგებული უნდა იქნეს ფერო-მარგანეცის ქარხანა, რისთვისაც საჭირო იქნება პირველ წელს 35.000 ტონა კოქსი. კოქსის ეს რაოდენობა ფერო-მარგანეცის ქარხანამ უნდა მიიღოს ნაწილობრივ ტყიბულიდან და ნაწილობრივ კი ტყვარჩელიდან. ტყიბულის ქვანახშირიდან კოქსის მისაღებად საჭირო ცდები ამჟამად სწარმოებს და ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ტყიბულის კოქსით შესაძლებელი გახდება ფერომარგანეცის მრეწველობის უზრუნველყოფა. ამგვარად საჭიროა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავება უფრო ფართო მასშტაბით იქნეს დაწყებული, ვიდრე ეს განზრახული იყო პირველ ხანებში.

თათბირმა ყველა თავისი მოსაზრებები წარადგინა ს. მ. უ. საბჭოში.

თათბირი მეცხვარეობის შესახებ

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფ. კარპოვმა და ჯანდიერმა. ამხ. ელიავას და ლომთათიძის საბოლოო სიტყვების შემდეგ მოხსენებით მეცხვარეობის კოლექტივიზაციის შესახებ გამოვიდა ამხ. ძამანაშვილი.

გავაძლიეროთ მეცხვარეობის კოლექტივიზაცია

(ამხ. მ. ძამანაშვილის მოხსენება)

კოლმეურნეობათა მშენებლობამ, — სთქვა მომხსენებელმა,— უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო და იგი ყოველდღიურად იჭრება სოფლის მეურნეობის ახალ-ახალ დარგებში, მაგრამ მესაქონლეობის და კერძოდ მეცხვარეობის კოლექტივიზაცია მხოლოდ ეხლა იკიდებს ფეხს. საფეიქრო მრეწველობის საჭიროებანი გვიკარნახებენ მეცხვარეობის კოლექტივიზაციას სერიოზული ყურადღება მივაქციოთ, რადგან მისი კოლექტივიზაცია მეცხვარეობის განვითარების საწინდარია

ამჟამად არსებობს მეცხვარეთა 9 კოლექტივი (ყველა კახეთის ოლქშია), მათში გაერთიანებულია 203 წევრი 10734 სული ცხვარით, ე. ი. კოლექტივებში გაერთიანებულია მეცხვარეობის მხოლოდ 2,5 პროცენტი, რაც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

1929—30 წლის გეგმა ითვალისწინებდა მეცხვარეთა კოლექტივების კუთვნილი ცხვარის რაოდენობის გადიდებას 29.000 სულამდე, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული ეს ციფრები ძალზე დაბალია და საჭიროებენ გადასინჯვას. ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ, რომ მეცხვარეთა კოლექტივების რიცხვი ავიყვანოთ 86-მდე, 102.000 სული ცხვარით. ამ ამოცანის შესრულება კი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მტკიცე ეკონომიურ საფუძველს შეუქმნით კოლექტივებს, ამიტომ თავის თავად ისმება ახლად დაარსებულ მეცხვარეთა კოლექტივებისათვის სესხის გაცემის საკითხი. საკრედიტო თანხები შემდეგნაირად იქნება განაწილებული: გრძელვადიანი სესხი—887.000 მანეთი და მოკლევადიანი—130.600 მან. (ანუ ორივე ამ სახის სესხების თანხა კოლექტივებში თავმოყრილ საქონლის ღირებულებას გადააჭარბებს). ამასთანავე მეტი ყურადღება მიექცევა სავეტერინარო დახმარების საქმესაც. ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ საჭირო ახსნა- განმარტებითი მუშაობის ჩატარებას იმ შეღავათების შესახებ, რომლებიც მიენიჭებათ კოლექტივებში გაერთიანებულ მეცხვარეებს. ამ საქმეში მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინოს მიწა-ტყის პროფკავშირმაც, რომლის მუშაობა დღემდე სათანადო სიმაღლეზე არ სდგას.

—:—

ამხ. ძამანაშვილის მოხსენების დამთავრების შემდეგ საკავშირო სააქციო საზ-ბა „ოვცევოდ"-ის სახელით თათბირს მიესალმა ამხ. იანცევი, რომელმაც თათბირს გააცნო ამ საზოგადოების ამოცანები. საზ-ბა „ოვცევოდ"-ი მიზნად ისახავს კარგი ჯიშის ცხვრის განვითარებას საბჭოთა კავშირში. ამხ. იანცევი ამიერ- კავკასიაში ჩამოსულია იმ მიზნით, რომ გაეცნოს ა.-კავკასიაში კარგი ჯიშის ცხვრის განვითარების შესაძლებლობებს.

კამათი ამხ. ძამანაშვილის მოხსენების გამო

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მესაქონლეობის და კერძოდ მეცხვარეობის კოლექტივიზაციის სუსტ ტემპს და საჭიროდ მიაჩნდათ, რომ კოლმეურნეობათა ცენტრმა კურსი აიღოს უმთავრესად მეცხვარეობის მსხვილ კოლექტივების შექმნისკენ, რადგან წვრილი კოლექტივები არ შეიძლება საკმაოდ რენტაბელური იქნენ. გარდა ამისა, ორატორებს საჭიროდ მიაჩნდათ ერბო-ყველის ქარხნების მშენებლობა იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია მეცხვარეობა და სადაც ჩამოყალიბებული იქნება კოლექტივები. რაც შეეხება მეცხვარეთა კოლექტივებისათვის საჭირო კადრის მომზადებას, ორატორები მიუთითებდნენ სპეციალური მოკლევადიანი კურსების მოწყობის და აგრეთვე სასოფლო- სამეურნეო სკოლების კურსდამთავრებულთა გამოყენების საჭიროებაზე.

დასასრულ ილაპარაკა ამხ. ფ. მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

დღევანდელმა თათბირმა,— სთქვა ამხ. ფ. მახარაძემ,— დაგვანახვა, რომ სასოფლო- მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა მეცხვარეობა, საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. ამას მოწმობს, თუ გინდ, ის ფაქტი, რომ მეცხვარეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა დღემდე შედგენილი არ არის. თათბირზე გამოირკვა, რომ მეცხვარეობის განვითარებას წინ ეღობება საძოვრების ნაკლებობა; ამ საქმის მოსაწესრიგებლად ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია. რაციონალურად არ გამოგვიყენებია ის საძოვრებიც კი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, არსებული საძოვრების გაუმჯობესებაზე არც მიწათმოქმედების კომისარიატს და არც სახ.-სამ. კოოპერაციას არ უფიქრია. ზოგიერთი ორგანიზაციები რომ დაუდევრობას იჩენენ და ამ საქმით არ არიან დაინტერესებული, ამას გვიუბნება თუ გინდ ის ფაქტი, რომ მიწა-ტყის კავშირიდან ჩვენს თათბირს არავინ ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ კავშირის წარმომადგენელი მოწვეული იყო თათბირზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სასოფლო- მეურნეობის განვითარების საქმე ამ კავშირს მეორე ხარისხოვან საქმეთ მიაჩნია. ისმება კითხვა: ვინ უნდა დარაზმოს მასები ყველა იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებსაც პარტია გვიყენებს სოფლად, თუ არა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა?

მთელი რიგი კოლმეურნეობების მშენებლობის სტიქიური ხასიათი გვეუბნება, რომ მასები იჩენენ ინიციატივას ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების გადაჭრაში, მაგრამ ეს ინიციატივა ხშირად მოკლებულია სწორ ხელმძღვანელობას. ამიტომ, როგორც პარტიულ, ისე პროფკავშირულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობა წარმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმეში მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობანი. მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ადგილობრივი მომუშავენი, ისე ცენტრალური ორგანოები შეეცდებიან ცხოვრებაში გაატარონ თათბირის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი.

დასასრულ თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა საჭირო ღონისძიებათა გამომუშავება მეცხვარეობის განვითარების უზრუნველსაყოფად.

კომისია გამოყოფილია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ივანოვ-კავკასიელი, ძამანაშვილი, ჯულელი, ქურდაძე, ელიავა, ჯანდიერი, დევდარიანი, ქურციკაშვილი, რუხაძე, ალიევი, ვაშაძე, სააკიანი, რასულ-ზადე, არუთინოვი, ქუთათელაძე, ახმეტელი და კალატოზოვი.

დაიბეჭდა და იყიდება
საქართველოს მუშ-გლეხკაცთა 1-ლი თათბირის
დადგენილებანი
გაზ. „კომუნისტი"-ს გამოცემა   ფასი 10 კაპ.

ქრონიკა

სატრანსლიაციო ხაზების გაყვანა თბ. ოლქში

თბილისის პოლიტგანათლების განყოფილებამ პირობა დასდო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან თბილისის ოლქში სატრანსლიაციო ხაზების გაყვანის შესახებ. ამ ხაზებით თბილისიდან გადაცემული იქნება აკადემიურ თეატრებში გამართული კონცერტები.

სატრანსლიაციო ხაზები გაყვანილი იქნება შემდეგი მიმართულებით: თბილისი-მანგლისი, თბილისი-დუშეთი-ყაზბეგი. თბილისი-ალბულაღი-ლუქსემბურგი-წარნეული.

პოლიტხელმძღვანელების თათბირი

გაიხსნა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის პოლიტხელმძღვანელების თათბირი, რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები (მომხს. ამხ. შ. ელიავა), არმიის სარდლის და არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოხსენებები არმიის მომზადების და პარტ-პოლიტმუშაობის ამოცანების შესახებ და მოხსენება პარტწმენდის შედეგებზე.

თათბირი გასტანს 3 დღეს.

რემედასის კვირეული

21—29 დეკემბრამდე საქართველოში ჩატარებული იქნება რემედასის კვირეული.

კვირეულის წარმატებით ჩატარების მიზნით რემედასის სამაზრო ორგანიზაციებსა და უჯრედებს შორის მოეწყობა სოციალისტური შეჯიბრება. ის ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე უფრო წარმატებით ჩაატარებს კვირეულს, მიიღებს ჯილდოს.

სიცოცხლის დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის კომიტეტმა გადაწყვიტა შემნახველ სალაროების წევრთა შორის ჩაატაროს სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა. იმ პირის ოჯახს, რომელიც სიცოცხლის დასაზღვევათ ყოველთვიურად გადაიხდის 60 კ., მარჩენალის სიკვდილის შემთხვევაში მიეცემა 1000 მანეთი, ხოლო მათ კი, რომელნიც სიკვდილის და ინვალიდობის შემთხვევისაგან ერთად დაიზღვევენ თავს, ინვალიდობის დროს მიეცემა 1000 მან. ამ უკანასკნელებმა ყოველთვიურ[illegible] დაიხადონ 80 კ.

უმუშევართა მომზადება

მოტოციკლეტებზე მომუშავეთა მოსამზადებელ კურსებზე შრომის ბირჟიდან გაიგზავნა 20 უმუშევარი. მათ მოსამზადებლად შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასდო 1800 მან.

თბ. ალმასკომში

◆ **მუხრანის მოედანზე** საზოგადო საპირფარეშოს გასაკეთებლად გადადებულია 1300 მან.

◆ **მოძრავი კინოები.** პოლიტგანმა ოლქში დამატებით გააგზავნა 4 მოძრავი კინო.

◆ **თვალსაჩინო ხელსაწყოების ინსტიტუტი** შეუდგა სკოლებისათვის ფიზიკის და ქიმიის ტიპიურ კაბინეტების დამზადებას.

სხვადასხვა

◆ **ფოტო-აპარატები.** კულტგანყოფილებამ ფოტო-წრეებისათვის მიიღო 500 ფოტო-აპარატი.

◆ **შეღავათიანი ბილეთები მუშებს.** მუშებისათვის შეღავათიანი ბილეთების თავის დროზე მისაწოდებლად ლენინის რაიონში მოეწყობა ყველა აკადემიურ თეატრების და ცირკის სალარო.

შირაქის ნავთის სამუშაოები

მოემგზავრება პროფ. აბრამოვიჩის ექსპედიცია

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის განკარგულებით „აზნევტს" წინადადება აქვს მიცემული მიავლინოს შირაქში პროფ. აბრამოვიჩი, გეოლოგი სამოილოვი და სხვა სპეციალისტები.

სპეციალისტებისაგან შემდგარმა გეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც უხელმძღვანელებს პროფ. აბრამოვიჩი, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება შირაქის ნავთიანი ადგილების იმ უბნებზე, სადაც განზრახულია საექსპლოატაციო და საცდელი ჭაბურღილების ამოღება.

პროფ. აბრამოვიჩს თბილისში მოელიან მომავალ კვირაში.

სახელმწიფო სათესლე ფონდი

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა სახელმწიფო სათესლე ფონდების დაარსების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ღარიბეს მეურნეობების და კოლმეურნეობათა სავსებით უზრუნველყოფას ხარისხოვან თესლით.

სახელმწიფო სათესლე ფონდის დაარსება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს თავის დროზე და შეუფერხებლად მიაწოდოს მეურნეებს საჭირო თესლი, რაც ხელს შეუწყობს როგორც მოსავლიანობის აწევას, ისე თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

გეგმით პირველ 5 წელში სათესლე სიმინდზე მოთხოვნილება სავსებით დაკმაყოფილებული იქნება, ხოლო მეორე 5 წელში დაგროვილი ქნება ყველა დანარჩენ კულტურების იმდენი თესლი, რომ შესაძლებელი გახდეს სავსებით გადასვლა ხარისხოვან თესლზე.

1930 წელს სახელმწიფო სათესლე ფონდების შესაქმნელად სოფ. ანჟენში, ლაგოდეხში, აფენში, ყვარელში, გორში, სამტრედიაში და სუფსაში გამოყოფილი იქნება 3.000 ჰექტარი მიწა ხარისხოვან თესლეულის მეურნეობისათვის.

გარდა ამისა ხარისხოვან თესლის მისაღებათ ცალკე ნაკვეთები დაითესება საბჭოთა მეურნეობებში და საცდელ მინდვრებში.

ამავე მიზნით დაარსდება სათესლე ამხანაგობები და კოლმეურნეობებში იწარმოებს ხარისხოვან თესლების დამზადება.

აღსანიშნავია, რომ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს აგრეთვე გადაწყვეტილი აქვს შექმნას საქონლის საკვებ ბალახების ხარისხოვანი თესლის ფონდი, რაც ჩვენში სრულებით ახალი საქმეა.

სათესლე ფონდების ამხანაგობების დაარსება დაიწყება მომავალ წლის გაზაფხულიდან. პირველ ხანებში სულ დარსებული იქნება 25 ამხანაგობა— თვითეულ ამხანაგობას გადაეცემა 60 ჰექტარამდე მიწა, გარდა ამისა ამხანაგობებს მიეცემა კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა- იარაღები და გაეწევა შესაფერი აგრონომიული დახმარება.

სათესლე ფონდის საწყობები აგებული იქნება ნავთლუღში, გურჯაანში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, აბაშაში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

ამ საწყობების ასაგებათ გადადებულია 300.000 მანეთი.

სათესლე ამხანაგობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად დაიხარჯება 285.000 მანეთი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან სათესლე ბეღლების მოსაწყობად—220.000 მან.

სულ მომავალ წელში სახელმწიფო და ადგილობრივ ხარისხოვან თესლების ფონდების შესაქმნელად დაიხარჯება 1.900.000 მან.

მოთხოვნილება ა.-კ. ნოხ-ხალიჩებზე უცხოეთში

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, უცხოეთში თანდათანობით იზრდება მოთხოვნილება ამიერ-კავკასიაში დამზადებულ ნოხ-ხალიჩებზე.

განსაკუთრებით დიდი გასავალი აქვს ამიერ-კავკასიის ნოხებს ნიუორკში და ლონდონში, რაც აღნიშნულ ქალაქების ბაზრებიდან იწვევს სპარსეთის და ოსმალეთის ნოხების განდევნას.

ამიერ-კავკასიაში ხალიჩა - ნოხების წარმოების გასაძლიერებლად გადაწყვეტილია თბილისში მოწვეული იქნეს სპეციალური თათბირი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის უცხოეთის წარმომადგენლობათა რწმუნებულების მონაწილეობით.

ასეთივე თათბირი მოწვეული იქნება თურქმენისტანში.

საბიბლიოთეკო ლაშქრობა

საქ. სახელგამის გამოწვევა

საბიბლიოთეკო ლაშქრობასთან დაკავშირებით სახელგამს შეაქვს ცენტრალურ შტაბის განკარგულებაში ორი ათასი (2.000) მანეთის ლიტერატურა პროვინციის ბიბლიოთეკებისათვის დასაგზავნად და იწვევს ამავე თანხის ლიტერატურა გაიღონ შემდეგმა წიგნით მოვაჭრე დაწესებულებებმა: 1) „შრომამ", 2) „ზაკკნიგამ", 3) რუსეთის სახელგამის ა.-კ. განყოფილებამ და 4) ტრანსპორტის („ზაკტპო") კოოპერაციამ.

სახელგამის გამგე
ბ. ბიბინეიშვილი.

ამხ. ბ. ბიბინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ხონის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ საბიბლიოთეკო ლაშქრობის ცენტრალურ შტაბში ასი (100) მანეთი და ვიწვევ შესწირონ თავიანთ სოფლების ბიბლიოთეკა ქოხ - სამკითხველოებს ლიტერატურა შემდეგმა ამხანაგებმა: ქ. ქაცარავამ, ვ. კაკაბაძემ, ვ. ფანცულიამ (განსახკომი), სარდიონ ბახტაძემ, (ტფილისის ალმასკომი), დ. ქუთათელაძემ (აჭარისტ. განსახკ.), ვლ. გეგეჭკორმა (განსახკომი), გ. გოგიბერიძემ, ლ. ლომიძემ (ქალ. რაიკომი), ნ. მგელაძემ, დ. გვაზავამ, ღ. რუხაძემ, დ. მგელაძემ, სიმონ ხუნდაძემ, შ. რადიანმა, ბენიტო ბუაჩიძემ.

აკაკი გვახარია.

ხელოვნება

საქართველოს მხატვართა გამოფენა

საქართველოს მხატვართა საზოგადოებამ გამართა სურათების და ქანდაკებების მორიგი გამოფენა. ეს გამოფენა წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე გასული წლის გამოფენები იყო. გამოფენაზე 39 მხატვარი და მოქანდაკე მონაწილეობს, მრავლად არის ისეთ ნამუშევრები, რომლებიც გამოფენის შემდეგ დაჰკარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. ეს იმიტომ, რომ ნაშრომთა უმრავლესობა მიზნობრივად არაა გამართლებული. მათი სიუჟეტი არ შეეფერება ჩვენს ეპოქას და არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.

სიმბოლიური ეტიუდები და კაფე-შანტანური სიუჟეტები სრულიად არ არის მისაღები თანამედროვეობისათვის, და ამიტომაც შეუძლებელია, რომ თანამედროვე დამკვეთელებმა: კლუბმა, კულტკუთხეებმა, ქოხ-სამკითხველოებმა და სხვ. ასეთი პროდუქცია შეიძინონ. ამის გარეშე კი მხატვრული კულტურის განვითარება შეუძლებელია.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ყოველი გამოფენა მიზნობრივად გამართლებული იყო (რადგან მაშინდელი მხატვრები ასრულებდნენ იმ დროინდელ საზოგადოების სოციალურ დაკვეთას) არც დღეს უნდა დაჰკარგოს გამოფენამ ეს მიზნობრივი დანიშნულება. მხოლოდ უნდა შეიცვალოს გამოფენის შინაარსი. ამის გასაგებად 9 წელიწადი საკმაოდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ გამოფენაზე ამას ვერ ვხედავთ, თუმცა თანამედროვეობასთან დაახლოვების ცდები კი არის.

როგორც თანამედროვე თემების მონახვის მხრივ, ისე ოსტატობის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხატვ. ლადო გუდიაშვილი. მის უკანასკნელ ნამუშევრებს თანდათან ემჩნევა სოციალური სიმახვილე და ლოგიკური ეკონომიზმი ხაზებში (გ. გროსისებური). მას ახასიათებს თვით იდეის მხატვრული გაფორმება და არა ფოტოგრაფიული ნატურალიზმი. „პარიზის კომუნა" ნორჩი ბავშვის სახით და „არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოხრჩობის წინ" მხატვრის სრული გამარჯვებაა. კომპოზიციის მხრივ ძლიერია სიდამონ-ერისთავის „წითელი კავალერია". მხატვარი ერთი ხაზის მოსმით იძლევა სივრცეს და წითელი ჯარის ულეველობას. „მკა" და „ბაქო" აშკარავებს მხატვარის მგრძნობელობას ფერებისადმი. მოსე თოიძის „არ დავთმობთ ინდუსტრიას", შედარებით მის წინანდელ ნაშრომებთან, სუსტია როგორც კომპოზიციით, ისე ფერებით. ნივთები მოკლებული არიან მასიურობას (ნივთობრიობას) და ამასთანავე ასეთ დიდ ტილოზე არაა დაცული პერსპექტივა.

ფერებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ახალგაზრდა მხატვარი სანაძე. მას აქვს საგნების რეალური (და არა ნატურალისტური) ათვისება და ჰარმონიის ორიგინალური გაგება. მხოლოდ საშიშია, რომ მხატვარი ფერების ჰარმონიით ასეთმა გატაცებამ ის უსაგნობამდე არ მიიყვანოს. ამ აზრს იწვევს მისი „მწყემსი" და „მეთევზე". კარგია „მჭედელი" შესრულების მხრივ, მაგრამ მჭედელი, რომ გაშიშვლებული მუშაობდეს ეს შეუძლებელია ფიზიკურად. იდეიურად გამართლებულია რომანოვსკის „ალკოგოლი". ტატევოსიანის „ბორჯომის ეტიუდები", გველესიანი „ძველი თბილისი", ბებუთოვ-გაბუნიას „თბილისის ნახატები", ლანსერეს „პარიზის ქუჩა", შ. მამაშვილის „ეტიუდები", აპ. ქუთათელაძის „პორტრეტი", ციმაკურიძის ყველა სურათები, შარლემანის „დოსტოევსკი", ფოგელის „მახინჯაურის ეტიუდები", გძელიშვილის „დასვენება", თუმცა რაიმე ახალს არ შეიცავენ, მაგრამ ავტორების მხატვრულ კულტურას ააშკარავებენ.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ გვანცალაძის ერთად ერთი „ეტიუდი", ოქროპირიძის „პურის ცხობა" და ი. ჯავახიშვილის „ბაზარი". ეს სამი მხატვარი თუმცა დიდათ განსხვავდებიან წერის მანერით, მაგრამ მათი ნაშრომების თავისებურობა თვალსაჩინოა.

საგრძნობი წინმსვლელობა ემჩნევა ახალგაზრდა მხატვარს დ. წერეთელს. თუ ეტნოგრაფიულ ხაზით განაგრძობს მსვლელობას, ის მივა დიდ მიღწევამდის. ამის თავდებია „ქართლის ეტიუდები" და განსაკუთრებით „კალოობა". თ. აბაკელიას ესკიზები როგორც კომპოზიციის მხრივ, ისე შინაარსით წარმადგენენ საუკეთესო მასალას კედლის მხატვრებისათვის. სამწუხაროდ ამ ყველაზე საჭირო დარგს, ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა დღეს ჩვენი მხატვრების მიერ. ხერხეულიძის ფუტურისტული სურათები „ცათამბჯენი მთებში და „მადანის ინდუსტრიალიზაცია" საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც მაყურებელში აღვიძებს ბუნებასთან ბრძოლის სურვილს.

ქანდაკების განყოფილება არა ნაკლებ საინტერესოა დიდი ოსტატი ი. ნიკოლაძის სახის გამოსაცემაში პირდაპირ ვირტუოზობამდე მიდის. თუ არაფერს ვიტყვით მის „ლენინზე", სადაც მარმარილოს სიმტკიცე დაყვანილია ხორცის სირბილემდე,—უნდა აღვნიშნოთ ფილიპე მახარაძის ბიუსტი, მოცემული ცოცხალ და მკვეთრ ხაზებში. ამ ხაზებში შესახებად და უცნაურად არის შეზავებული რასიული ტემპერამენტი და რევოლიუციონური უდრეკელობა. მხატვრული ფანტაზიით და ტეხნიკური დახელოვნებით მოდის მოქანდაკე ს. კაკაბაძე. მისი „ოქტომბრის გუშაგი", „ხვნა" და განსაკუთრებით „აჯანყება" პირველ რიგში აყენებს მას. მეტად გაუბედავად მოქმედობს გ. ხუსიაშვილი. მისი ნაშრომი „დალმართზე", (ბრინჯაო) კარგად არის შესრულებული, მაგრამ საკმაო არაა ავტორის ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ. ვ. კოტეტიშვილის „ჩობანები" თავისებურია. ორიგინალურად არის მასში დაცული ფრესკის და ბარელიეფის სტილი. თ. აბაკელიას ელიავას ბიუსტი გაკეთებულია დამახასიათებელი ხაზების გარეშე და შთაბეჭდილებაც ნაკუცხათევი რჩება, როგორც კომპოზიციით, ისე შესრულებით განსაკუთრებით სდგას მთერის „ესკიზი". სჩანს ავტორი მოქმედობს აკადემიური და სკოლიური პრინციპების გარეშე.

ბ. გ.

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი

მოგებათა ოფიციალური ცხრილი *)

სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა	სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა
033083	38-50	100	033126	27	1000
033083	37	1000	033083	1-36	100
033126	1-26	100	033126	28-50	100
033236	1-50	100	033444	1-50	100
033519	1-50	100	033525	1-50	100
033588	1-50	100	034210	29	100
034210	1-28	100	034210	30-50	100
034312	1-50	250	034415	47	1000
034415	1-46	100	034415	48-50	100
034469	1-50	100	034960	40	1000
034960	1-39	100	034960	41-50	100
035059	1-50	100	035164	03	1000
035164	1-2	100	035164	4-50	100
036016	1-50	100	036092	1-50	100
036113	1-50	100	036298	19	5.000
036298	1-18	100	36298	20-50	100
036823	1-50	100	037104	1-50	250
037284	45	1.000	037284	1-44	100
037284	46-50	100	037662	1-50	100
037284	46-50	100	037662	1-50	100
039726	39	1.000	039726	1-38	100
039726	40-50	100	040185	45	1.000
040185	1-44	100	040185	46-50	100
040440	1-50	100	040597	1-50	100
040686	1-50	250	040930	04	1.000
040930	1-3	100	040930	5-50	100
041725	1-50	100	043287	1-50	250
044258	1-50	100	045645	1-50	100
045950	04	1.000	045950	1-3	100
045950	5-50	100	046727	1-50	250
046944	1-50	250	047270	48	1.000
047270	1-47	100	047270	49-50	100
047335	1-50	100	047336	42	1.000
047336	1-41	100	047336	43-50	100
047398	1-50	100	047449	1-50	100
047514	1-50	100	047650	1-50	100
047911	1-50	100	048326	1-50	250
048819	1-50	100	048925	1-50	250
049460	1-50	100	049484	1-50	100
050586	1-50	100	050599	14	1.000
050599	1-13	100	050599	15-50	100
050815	36	1.000	050815	1-35	100
050815	37-50	100			
051126	1-50	100	051497	1-50	100
051958	37	10.000	051958	1-36	100
051958	38-50	100	052166	1-50	100
052245	1-50	100	052392	24	1.000
052392	1-23	100	052392	25-50	100
052441	1-50	100	052979	12	5.000
052979	1-11	100	052979	13-50	100
053034	1-50	100	053145	40	5.000
053145	1-39	100	053145	41-50	100
053235	1-50	100	053807	1-50	250
053915	1-50	100	054248	1-50	100
054613	1-50	100	054736	1-50	100
054762	1-50	100	055300	1-50	100
056007	1-50	100	056147	1-50	250
056678	1-50	100	056852	1-50	250
056890	35	5.000	056890	1-34	100
056890	36-50	100	056925	1-50	100
056986	1-50	100	057526	1-50	100
058033	1-50	100	058665	1-50	250
058963	1-50	100	059049	1-50	100
059427	1-50	100	059523	1-50	100
059549	1-50	100	059753	1-50	100
060030	1-50	100	060627	1-50	100
060846	1-50	100	064389	1-18	100
061470	1-50	250	061578	1-50	250
061610	13	1.000	061610	1-12	100
061610	14-50	100	063009	1-50	100
063137	1-50	100	063401	17	1.000
063401	1-16	100	063401	18-50	100
063692	1-50	250	064316	1-50	100
064389	19	1.000	064389	20-50	100
064992	1-50	100	065324	1-50	100
065385	1-50	100	065420	1-50	250
065664	1-50	100	065832	1-50	100
065866	1-50	100	065968	1-50	100
066054	39	1.000	066654	1-38	100
066654	40-50	100	066449	03	1.000
066449	1-2	100	066449	4-50	100
066521	1-50	100	066527	1-50	250
067146	22	1.000	067146	1-21	100
067146	23-50	100	068034	38	1.000
068034	1-37	100	068034	39-50	100
068389	48	1.000	068389	1-47	100
068389	49-50	100	068521	1-50	100
069366	1-50	100	069496	19	1.000
069496	1-18	100	069496	20-50	100
070007	1-50	100	070419	46	10.000
070419	1-45	100	070419	47-50	100
070487	1-50	100	071171	1-50	100
071287	1-50	100	071589	19	1.000
071589	1-18	100	071589	20-50	100
071726	1-50	100	071741	1-50	100
072083	1-50	100			

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი" № 273.

სასამართლო

ხელს ითბობდა ხორცის კრიზისზე

გიორგი ნიკოლოზის ძე ხოსიტაშვილი 1927 წლიდან მუშაობდა მუშკოოპის № 54 ხორცის მაღაზიის გამგის თანამდებობაზე. ჯამაგირი თვეში ჰქონდა 60 მანეთი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხოსიტაშვილი, დააწინაურეს და დანიშნეს მუშკოოპის კანტრალიორად. 60 მანეთის მაგიერ, ჯამაგირი გაუხადეს 120 მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც უფლებრივად, ისე მატერიალურად ხოსიტაშვილისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ახალი თანამდებობა, ის დაჟინებით ითხოვდა ძველ 60 მანეთიან თანამდებობაზე დაბრუნებას.

ამან დიდი გაკვირვება გამოიწვია მუშკოოპის სამმართველოში. ვერაფრით ვერ ხსნიდნენ ხოსიტაშვილის დაჟინებით მოთხოვნას ნაკლებ ჯამაგირიან თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ. დაიბადა ეჭვი, რომ ხოსიტაშვილი კომბინაციებს აკეთებდა გამგედ ყოფნის დროს.

ასე იყო, თუ ისე, ხოსიტაშვილმა მიატოვა კანტრალიორობა და დაუბრუნდა ისევ თავის ძველ თანამდებობას.

მუშკოოპის სამმართველომ, რომელსაც ეჭვი შესდიოდა ხოსიტაშვილის კეთილსინდისიერებაში, თანამშრომლებს დაავალა მეთვალყურეობის გაწევა მისთვის.

იმ ხანებში ხორცის კრიზისი იყო. მომხმარებლებზე დაწესებული იყო მტკიცე ნორმა. 1 კილოგრამი ხორცი. მეტის მიცემა აკრძალული იყო.

ხოსიტაშვილი, რომელიც მხოლოდ „გამორჩენის" გულისათვის დაუბრუნდა ძველ თანამდებობას, ცდილობს თავის ხელქვეით თანამშრომლების გულის მოგებას, თავის გავლენის ქვეშ დაყენებას. ერთს ქრთამის სახით აძლევს თუმანს და ჰპირდება, თუ არ გაამხელს მის საიდუმლოებას, ყოველკვირაში „აჩირებს" თითო თუმანს.

მეორეს აღუთქვამს ჯამაგირის მომატებას, საუკეთესო ხარისხის ხორცს მუქთად განუსაზღვრელი რაოდენობით და სხვ...

ამნაირად გამგე ხოსიტაშვილი უდგება თავის კომბინაციების განხორციელებას.

მეორე და მესამე ხარისხის ხორცი მომხმარებლებს ეძლევა პირველ ხარისხის ფასად. თითქმის მოისპო მეორე და მესამე ხარისხი. მომხმარებლებს ხორცის არჩევის უფლებაც არ აქვს, რადგან ხოსიტაშვილს მხოლოდ ერთი ხარისხი აქვს დაწესებული. ხარის თავიც კი პირველ ხარისხში გადის. ეს დიდ სარფას აძლევს ხოსიტაშვილს, რომელი გაქექილი ყასაბი მოიგებს მასზე მეტს!

იმ დროს, როცა მომხმარებლებს კრიზისის გამო ხორცი განსაზღვრული რაოდენობით ეძლევა, ხოსიტაშვილი ფუთობით აწვდის კერძო პირებს საუკეთესო ხარისხის ხორცს, რასაკვირველია, აწეულ ფასებში.

ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ ფარდა არ აეხადა ხოსიტაშვილის ბნელ საქმიანობას. ეს იყო ა. წ. აპრილის თვეში. ხოსიტაშვილი დაპატიმრებულია. საქმის გამოძიება დამთავრდა.

ხოსიტაშვილი გასამართლებული იქნება საჩვენებელი პროცესით.

შურ.

შემთხვევები

თავის დაჭრა

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვასილ მარკოზისძე შონიამ რევოლვერით დაიჭრა თავი. თავის დაჭრის მიზეზი ირკვევა.

მკვლელობა

გუშინ ვაკეში ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერით მოჰკლა მარიამ ალექსის ასული კროკოფიევა.

დაღრჩობა

მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიღრჩო ვიღაც ქალი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია. გვამი არ არის ნაპოვნი.

ტრამვაის ქვეშ

ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი მე-9) მუხრანის ხიდთან დაეჯახა გლეხ მიხეილ ილორითონისძე სუხიშვილს და მძიმედ დააშავა.

თავის მოწამვლა

ნინა ალექსის ასულმა ეფშიევამ (მცხ. ლენინის ქ № 45) იოდით მოიწამლა თავი, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

აღმოჩენილია ნაქურდალი საოჯახო და ძვირფასი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კოპალეიშვილთან.

რკინისგზეზე

გზის მუშაობა

უკანასკნელ დღეებში ა.-კ. რკინის გზას განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. მთელ რიგ საკვანძო სადგურებზე ადგილი აქვს ტვირთების დიდძალი რაოდენობით თავმოყრას.

მაგალითად: ბალაჯარაში თავმოყრილია 657 ვაგონი ტვირთი, ნავთლუღში—315 ვაგ. და ხაშურში —100 ვაგონი.

მიღებულია ზომები სადგურების განსატვირთავად.

შაქარი

ფოთში მოვიდა შაქრით დატვირთული გემი. შაქარი გამოგზავნილია ამ.-კავკასიისათვის.

ყოველდღიურად რკინის გზა ტვირთავს და ფოთიდან ეზიდება 25 ვაგონ შაქარს.

მატარებლების დამტვრევა

სადგ. აჯიკაბულში დაიმტვრა საქონლის მატარებელი № 4004. მატარებლის დამტვრევა გამოიწვია რელსის გახეთქვამ.

ლიანდაგიდან გადავარდა შვიდი ცისტერნა. ერთ-ერთი მათგანი დაიმტვრა.

ხაზი გაფუჭდა—120 მეტრზე.

მატარებლების მოძრაობა არ შეწყვეტილა.

შემთხვევა სადგ. კამარლიუსთან

სალიანდაგო დარაჯის მე-17 უბნის ავტოდრეზინა სადგ. კამარლიუს მახლობლად დაეჯახა რელსებს შორის ჩაჭედილ რკინის სოლს.

დრეზინა გადაბრუნდა. შიგ მჯდომი სალიანდაგო უბნის უფროსის თანაშემწე ამხ. სპარტიანი და უფროსი ტეხნიკოსი კორგუნიანცი მძიმე დაშავდნენ.

დაშავებულები გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი

თბილისის რადიოცენტრი დილით გადასცემს მუშათა შუადღეს, ახალ ამბებს, კონცერტს.

საღამოს 5 საათიდან გადაცემული იქნება: მოხსენება ბავშვებისათვის თემაზე: „ანტირელიგიური მუშაობის შესახებ სკოლაში და რაზმში",— რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე: სოფლის საათი. აღმოსავლური მუსიკის კონცერტი,—ინფორმაცია და დროის შემოწმება; დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი რადიოთი,— შესავალი ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში— რუსულ ენაზე, გაზ. „კრასნი ვოინი" რადიოთი,— რუსულ ენაზე; რადიო-გამოძახება თბილისის, ბაქოსი და ერევნის სომხეთის გასაბჭოების დღესთან დაკავშირებით. მისალმებები საქართველოს ამ.-კავკასიის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების; სომხეთის გასაბჭოებისათვის მიძღვნილი სალიტერატურო -მუსიკალური საღამო. მოხსენება „თანამედროვე სომხეთის ლიტერატურა", —რუსულ ენაზე (მომხს. ამხ. ტატულოვი); უკანასკნელი ცნობები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 28 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: კ. მურადაშვილი, რ. ობოლენსკი, ი. ჯაში, ა. ანოხინა, რ. კოჩაროვა, გულიევი, ტ. მხითარიანი, ბ. საფაროვა, ი. შალიკაშვილი, ტ. მელუკაშვილი, ეს. სანადიროვა, სალარაშვილი, ნ. ჰუსეინოვა, დ. ვასილიევა, ს. მათიაშვილი, თ. გოჩიაშვილი, შ. ბეისადურიანი, ა. ბულგაკოვა, მ. მიკირტიჩიანი, ა. ქორელი, ნ. მეტრეველი, ს. კრასავსკაია, თ. მარკოვა, დ. გოჩელეიშვილი, რ. ტუმასოვა.

ახალგაზრდათა სექციიდან: მ. კოჭლამაზაშვილი, მ. სუხიაშვილი, ა. უსტინოვა, ა. მოლოდცოვა, კ. ჭუმბურიძე, ს. ნაზარიანი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ე. გვარამაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. არუთინოვა, თ. კარაპეტოვა, ე. ტერ-მაკარიანი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ოვანესიანი, ნ. ხავთასი, კ. ბუმბიაშვილი, ი. გუბელაძე, თ. ოსიპოვა, პ. გერასიმოვა, ა. რომანოვა.

შავ მუშათა სექციიდან: ა. ლეკიშვილი, ა. სარქისოვა, თ. მამედოვა, ა. მიქაძე, თ. ბერაშვილი, ე. ალასანია, ც. საბაშვილი, თ, მაკაროვა, ნ. გორბუნოვა, მგალობლიშვილი, მანუკავძე, რ. ნეუდაჩინა, ს. თევზაძე, ნ. ქურხული, ი, უჩანეიშვილი, რ. ტურასოვა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

უნივერსიტეტის კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი თხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდნენ დღეს სრულ 1 საათზე, დეკანის კაბინეტში.

ბლაგიძე დავით, კენკიშვილი ალექსანდრე მამაცაშვილი ნიკოლოზ, უჩანეიშვილი გრიგოლ, ნადარეიშვილი იუსტინე, კიკნაძე დავით, ქოიავა ალექსანდრე, შენგელია იოკიმე, თითბერიძე ამბროსი, კაპანაძე გრიგოლ, აბულაძე სერგო, ხვადაგიანი შიო, სვანიძე რაჟდენ, მაიოროვი ბიჭ., დგვეფაძე ტიტე, კეკელიძე ნეოფიტე, პეტრიაშვილი აკაკი, კუპატაძე გრიგ. ჩიჩუა არჩილ, მებუკე სერგო, ჩიქოვანი გრიგ. მაგრაქველიძე ნიკოლოზ, ზეთეიშვილი გრიგოლ, მახარაძე ბენიამინ, დარსანია იასონ, ებრალიძე ვლადიმერ. კერესელიძე ვიქტორ, ორაგველიძე დავარ, ანდღულაძე ვალერიან; გაბელია კონსტანტინე, კაჭარავა ვარლამ, ლეჟაშვილი გიორგი, პეტრიაშვილი ალექსანდრე, ფრანგიშვილი ლუბა, ჯაფარიძე განთიადი.

—:—

ს. ს. პ. ი. სამთო ქიმიური ფაკულტეტის ქიმიურ ტეხნოლოგიურ დარგთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება პარასკევს 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე.

—:—

სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს რომ დღეს,28 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე მოწვეულია პედ. ფაკ. 1—2 კურსთან არსებულ № 3 ა. ლ. კ. კ. უჯრედის გაერთიანებული კრება, დასწრება ამავე უჯრედის წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ა. წ. 29 ნოემბერს დღის სრულ პირველ საათზედ ცეკაში, დანიშნულია თათბირი, რომელზედაც დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ-ბი.

დ. კომახიძე, შ. ცავარეიშვილი, კ. ჩხარტიშვილი, ბუდილაევი (კ. პ. ა.-კ. კ.), გ. კაჭახიძე (ქარ. მუშფაკი), ბახტაძე (ა. ა. ც. კ.), მ. მეგრელიძე (მეთოდჯგუფი), გოჯაევი (ა. კ. კ. უნივ.), შახოვი (მეთოდ. ჯგუფ.), ოსიპოვი (მეთოდ. ჯგუფი), დავიდოვი (მეთოდ. ჯგუფი), ჩერქეზიშვილი (მეთოდ. ჯგუფი), ბუზული (მეთოდჯგუფი). დღის წესრიგში სდგას მოხსენება: მაზრებში და ოლქებში მივლინებულ ამხ-ბის მეთოდიური კურსი. კონფერენციების ჩატარების შედეგებზედ თქვენი დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

—:—

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე აგრონომიული ფაკულტეტის შენობაში შესდგება დახურული კრება აგროფაკის კომუჯრედის კომკავშირის ბიუროს წევრების თანადასწრებით.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისია იუწყება, რომ შაბათს 30 ნოემბერს, საღამოს შვიდ საათზე ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ბიუროში დანიშნულია ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა. სავალდებულოა ამხ. ილიკო ჭელიძის, გიორგი რამიშვილის, ალექსანდრე ერისთავი, ნიკოლოზ ათოევის, ვანო ჯანეზაშვილის და სონია თალაკვაძის გამოცხადება.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, რძალი ელიჩქა და ძმა გრიშა სარჯველაძეები, დები: ელენა თურნავასი, ანეტა იმნაძისა და ფედოსი ფირცხალაიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ-მეგობრებს, რომ კვირას 1 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ ჯალათების მიერ 1919 წ. 28 ნოემბერს, დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

4—2

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დები და სიძეები: ელენე და ბათლომე თურნავები, ანეტა და კოლია იმნაძენი, ფედოსი და გიორგი ფირცხალაიშვილები შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1919 წ. 28/XI მენშევიკ ჯალათების მიერ დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

(ე) 2—1

გაუბედურებული მშობლები: ელისაბედ (ცირა) და ბესარიონ ლევანის-ძე, და თამარა, ბებია ელისაბედ გეგენავები, ბაბუა მიხეილ, დეიდა შუშუ ჭკადუები, გამზრდელი ფაშუ ფანცულაია მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, მათი ნუგეშის, პატარა

რეზიკო (გოჩა) გეგენავას

უდროოდ დაკარგვას. სამოქა[illegible]პანაშვიდი 3 საათზე; გამოსვენება დღეს 28 ნოემბერს, ნაშუადღ. 4 საათზე, [illegible] უფ. დავითის ქ. მე-2 პარალელის ქ. № 8. დაკრ[illegible]ვერის ახალ სასაფლაოზე.

4465

ჩხეტუ ლავრენტი, და თინა გეგენავები ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თავიანთ ბიძაშვილის ელისაბედ (ცირა) და ბესარიონ გეგენავების პატარა ბიჭიკოს

გოჩას

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ახლო მეგობრები: ქ. კაჭკაჭოვი, მელ. გურგენიძე, ჟ. დაბაგოვა, მარო ცხოვრებაძე, ანდრო დავითაშვილი, სერგო ბურჭულაძე, ი. ჭანკვატაძე, ქ. მაძალუა, ივ. თაქთაქიშვილი, გრ. გურგენიძე, ვ. გობეჩია, ს. ფავლენიშვილი, მ. მამარდაშვილი, ვ. ხარაძე, გ. რუხაძე, ა. დევიძე, ვალ. გურგენიძე, ლ. გუგუშვილი, მ. იაშვილი, გ. მიმინაძე იუწყებიან ამხ. ბესარიონ გეგენავას შვილის

პაწია გოჩას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 28 ნოემბერს, დღის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

4463

თბილისის ოლქის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას თანამოსამსახურის ამხ. ბ. გეგენავას შვილის

პაწია გოჩას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხთება დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება მე-2 პარალელური ქ. № 8.

4462

პაპა თეიმურაზ გეგენავა, დესპინე გეგენავა-ჯავახიას ასული შვილებით: ფართხუ, ბაბუცა, ხუტუ, თამარ, პეტრე, ოლია და კოლია, რძალი ქეთო, სიძე ილიკო ხაჟომია და შვილისშვილები: ნათელა, დოდო და ქეთოთი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობთ მათი ძვირფასი ძმისწულის, ბესარიონ ლევანის-ძე გეგენავას საყვარელი შვილის, მათთვის დაუვიწყარ

პატარა გოჩას

უდროოდ დაკარგვას.

447

მამიდა გოგუცა და ბიძია სანდრო ქაჯაიები გულდაწყვეტით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ მათი საყვარელი

პატარა რეზიკოს (გოჩა)

უდროოდ დაკარგვას.

4470

უახლოესი ნათესავები: პატუ, ილუშა და თამარა ჯავახიები; მარუსა და მიხეილ მოსიძეები—შვილებით: ქეთოთი და ვახტანგით და მარია გოგიავა მწუხარებით იუწყებიან საყვარელ პატარა

რეზიკო (გოჩა) გეგენავას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან მე-2 პარალელური № 8, 28 ნოემბერს 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

4468

ნუცა ჭყონია, ნადია ჩახნაშვილი, მარიამ მაჭავარიანი, ლინა ჭავჭავაძე და მარგარიტა ყაუჩიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის

დორა კუჭუხიძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს, 6 საათზე, გრიბოედოვის ქ. № 10.

4458

აგრონომიული ფაკულტეტის დეკანატი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ფაკულტეტის მეცნიერულ თანამშრომლის

დორა კუჭუხიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა პარასკევს, 29 ნოემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე 3 ნახ. საათზე. პანაშვიდი დღეს. 6 საათზე. (გრიბოედოვის ქ. 10).

(დ)

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები: თეოფანე ქილოსავა, კოტე ტყავაძე, გალაქტიონ მეტონიძე და ვარლამ გოგუაძე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალ. ოზურგეთში, მოიდანახის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტეხნიკოს

შალვა ლუკას-ძე შარაშიძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

ნ. 3423

ღრმად დამწუხრებული ქმარი შალვა სიმონის ძე და ქალიშვილი ნუნუ კანდელაკები და დედა პელაგო მაყაშვილისა იუწყებიან, რომ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

თამარ იოსების ასული კანდელაკისა

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე. გამოსვენება შაბათს, 30 ნოემბერს, 4 საათზე, წყნეთის ქ. № 20. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

4464

დამწუხრებული დედა ოლღა, და თამარა, ძმა დავით, (საშურა) და თინა ამაღლობელები, ბიძა სპირიდონ, ბიძაშვილები: ნინო (ქსენია), ვალიკო, რძალი გალინა ამაღლობლები: მამიდა მინადორა, მამიდაშვილი მარო, ქენია; დეიდა ალექსანდრ ; დეიდაშვილები: მამია, გრიშა და მიტუშა ასათიანები; ბიძაშვილები: ჟორჟიკა და (?)აბელი ჩახუნაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ბორის (ბუჭუ) დავითისძე ამაღლობელი

დასაფლავება მოხდება ა. წ. 1-ლ დეკემბერს, 3 საათზე სოფ. დაფნარში.

4475

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, მე-5 აბონემ. მე-3 წარმოდგენა **ცისანა**

პარასკევი, 29 ნოემბერი, მე-2 აბონემ. მე-3 წარმ. უკანასკნელად ნ. კ. პეჩკოვს მონაწილეობით **ევგენ ონეგინ**

შაბათი, 30 ნოემბ. აბონ. გარეშე, ნ. კ. პეჩკოვსკის უკანასკნელი გამოსვლა I ჯამბაზები II კონცერტი.

ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. აბონემენტების მე 5 მორიგი შეტანანი მიიღება ყოველდღე სალარო № 3-ში 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ნ. 3424

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.

ნ. 3422

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს,
სერია ბ მე-2 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
პ. იალცევის **ღვარძლი**
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
ნუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.

დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის – 50 კაპ.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—94.

დღეს, ხუთშაბათს 28 ნოემბერს
სადებიუტო წარმოდგენები 3 განყოფილებად
განახლებული პროგრამა
პირველად თბილისში. უცხოელი არტისტის
ვ. რაჩინის პირველი დებიუტი.
დუო ბეზკოროვაინიების პირველი დებიუტი.
საჰაერო ევოლიუცია. პროგრამაშია საცირკე ჟანრის კიდევ 12 ნომერი
ნ. 3408 3—2 წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. **დირექცია.**

საქ. ფინსახკომის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ა. წ. 1 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადებით დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება პიანინო, როიალი, ბუფეტები, შიფონერკები, პირისაბანი, ხალიჩები, საყინულე, საკერავი მანქანები და სხვა საოჯახო ნივთები.

ცნობების მიღება შეიძლება სააუქ. კამერაში 9—4 საათამდე.

ნ. 3426

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერის

სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ პარასკევს და შაბათს 29 და 30 ნოემბერს დილის 11 საათისათვის კომინტერნის ქუჩაზე № 3 დანიშნულია უკანასკნელი

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი და სხვა ორგანიზაციათა მიმართ დავალიანებათა ასანაზღაურებლად.

გაიყიდება პიანინო, როიალი, ბუფეტები, შიფონერკები, კამოდები, სარკეები, ხალიჩები და სხვა საოჯახო ნივთები.

ნ. 3420 **ლიკვიდკომი.**

აპოლო ლია დე პუტი და ვერნერ კრაუსი ახალ სურათში **ექვიანობა**

სოლეი „ნერო ფილმ"-ის მხატვრული სურათი **ლუ-ლუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.

მინიონი ნორმა ტოლმეჯი სურათში **სამი გამოცდა**

პალასი ყოველდღე ანშლაგები **იმპერიის ნამსხვრევი**

არფასტო მხატვრული ფილმი **მთის ბალადა**

დარბაზი **პატი ზღაპარი** ლავროვების გასტროლები

მალე: „კაენი და არტემი" და „ლუ-ლუ".

0—24

მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე

ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხ. დან № 5.

9—12 საათ. 4—6 საათ.

8—7 4213

სამტრედიის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბში, დანიშნულია

მორიგი წლიური კრება

განსახილველია: 1. 1928—1929 წლის მოქმედების ანგარიში. 2. 1929—1930 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. 3. არჩევა 3 საბჭოს დეპუტატის გამგეობის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის სამი კანდიდატის. უკეთუ ამ დღეს კანონიერი კრება არ შესდგება, მეორე მოწვეულია იმავე ადგილას ა. წ. 8 დეკემბერს

ნ. 3428 **გამგეობა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან

თბ. საუ. უნივ. ბიბლიოთეკამ გადასწყვიტა სასამართლოს მეოხებით ჩამოართვას ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნები ყველა იმ აბონენტებს, რომელნიც არ აბრუნებენ წიგნებს დადებულ ვადაზე. საჩივარი აღძრული იქნება სასამართლოში ორი კვირის შემდეგ დღიდან ამ განცხადებისა. ეს გაფრთხილება – უკანასკნელია.

ნ. 3427 თბ. ს. უნ. ბიბლიოთეკა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს, რომ კვირას 1-ლ დეკემბერს დილის 10 საათზე განყოფილებაში (პლეხანოვის გამზირი № 50) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

განყოფილების ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია განყოფილების დარბაზში (პლეხანოვის გამზ. № 50).

ნ. 3421

კინო-სოლეი

დღეიდან, 28 ნოემბრიდან
მხატვრული ფილმი
„ნერო-ფილმ"-ის ნაწარმოები
ლუ-ლუ
ფ. ვედეკინდის პიესის მიხედვით
„პანდორას ყუთი"
რეჟისორი გ. პაბსტი.
მთ. როლში **ლუიზა ბრუკს.**

ნ. 3425

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — პურის წიგნაკი № 2581 გიორგი აბელაშვილის სახელზე. 4459
- — „ზაკტპოს" წიგნაკი № 2732 ნატა დიმიტრის ასული ტატიშვილის სახელზე. 4461
- — კავშირის წიგნაკი № 23722 ვასილი გიორგის-ძე მამუკაძეს სახ. 4466
- — ოპერის შეღავათიანი უსახელო ტალონი № 840 1929/30 წლ. სეზონისათვის. 4472
- — მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 59219 სერგო ხიზანოვის სახელზე. 4468
- — კავშირის წიგნაკი № 25541 ნიკოლოზ ახვლედიანის სახელზე. 4474
- — დამზღვევი წიგნაკი და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა კავშირის წევრობის წიგნაკი სოლომონ შევარდენის-ძე წულაიას სახ. (ე)

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს

1929 წ. 17 აპრილის და სექტემბრის 11-ს დადგენილების თანახმად

ყველა სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო პუნქტები ვალდებულნი არიან იქონიონ სავაჭროში თვალსაჩინო ალაგას გამოკრული

რუსულ სისტემიდან მეტრიულზე გადამყვანი ზომა-წონის ტაბულები.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად სავაჭრო პუნქტებს ეძლევათ ამა განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადა.

ტაბულების შეძენა შეიძლება საქ. საზ. საწონთა პალატაში. თბილისი, ჯულაშვილის ქუჩა (ყოფ. როტმისტროვის) № 18.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული მეტრულ რეფორმის გატარების საქმის მეთვალყურე-ინსტრუქტორი **ა. ზალდასტანიშვილი.**

ნ. 3419

მიხა ცხაკაიას სახელობის
ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი
(ლენინის ქ. № 49)

მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.

მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] საათამდე.

შინაგანი სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობა, რევმატიული დაავადება და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.

ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15-48.

ნ. 3[illegible]

ტირაჟი—43.420

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა [illegible] № 68

მთავლიტი № 904